პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ივლისი **შაბათი** 2011
№ 171 (13468) ფასი 80 თეთრი



12

## ეროვნული მართლა ეროვნულია

### სამმა გუნდმა ძმურად უნდა გაიყოს

### სერიოზულ საკლუბო დონეზე უეფასთვის სხვები ჯერჯერობით ნულია



2

## სამსაათიანი ბრძოლა მესამე ჩოგანთან

### ტატიშვილმა ზვონარევასთან გოლოსლა დათმო

## კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ფინალის წინ

### ხვალ უცნაური ფინალია

9

ურუგვაი VS პარაგვაი

## მეფე სოლომონი

### მაკარიძის სასტარტო სტარტი



საბა კვირკველია (N 67)

ბურთით გიორგი მაკარიძე

გუშინ რუსული პრემიერლიგა „ტერეკისა“ და „რუბინის“ მატჩით განახლდა. ამ შეხვედრაში საჩემპიონატო დებიუტი ჰქონდა ყაზანელთა 19 წლის მცველ სოლომონ (საბა) კვირკველიას, რომელმაც ახლახან „რუბინის“ პირველი გუნდის მაისურა თასზეც მოირგო. კვირკველია აქამდე სამჯერ მოხვდა ჩემპიონატის განაცხადში, ახლა კი ყურბან ბერდიევმა დებიუტანტი ეგრევე სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და არც ინანა - „რუბინმა“ 1:0 მოიგო, საბამ კი 90 წუთი ითამაშა. მასპინძელთაგან 63 წუთი გაისარჯა ლევან გვაზავა. გუშინვე საბა მკითხველს სპორტს.რუ-მ საკმაოდ ვრცელი წერილით გააცნო, რომელიც ასე დაასათაურა: „მეფე სოლომონი“. კვირკველია „რუბინის“ ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტებში მე-6 ადგილი უკავია, გუშინ ის 19 წლისა და 166 დღისა შესრულდა. „რუბინი“ 30 ქულით მე-2 ადგილზეა.

საფრანგეთში საფეხბურთო სეზონი ლიგის თასით დაიწყო. გიორგი მაკარიძის „ლე მანმა“ 1:0 მოუგო ლიგა 1-იდან გავარდნილ „არლ ავინიონს“, ქართველი მეკარე თამაშობდა, ხოლო მისი შემცვლელი დიდიე ოვონო იყო. მაკარიძემ კარი „მშრალად“ შეინახა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ბოლო 15 წუთი 10 კაცით თამაშობდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## მეთევზის ბიჭის ოქროს თევზი

### ვინ არის ალექსის სანჩესი

8



## ალექსის სანჩესი უკვე ბარსელონელია

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● სიხარული და... პრობლემა

# ეროვნული და... სხვა?

ივლისში, გასახარია, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთდროულად სამი ქართული გუნდი რომ გავიდა, მაგრამ სიხარულმა ჩვენი პრობლემებიც გამოაჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ფეხბურთში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო, ჯერ მაინც კატასტროფული მდგომარეობაა - ევროდონის მატჩების სამასპინძლოდ ჩვენი სტადიონების აბსოლუტური უმრავლესობა მზად არ არის. რუსთავისა და ზესტაფონის სტადიონებს ევროლიცენზია საწყის ეტაპებამდე აქვთ – რუსთავის "ფოლადს" მხოლოდ ორზე, ზესტაფონის "დავით აბაშიძეს" კი - სამ ეტაპზე.

სამწუხაროდ, "დაჩიასთან" ზესტაფონის სტადიონზე უბილეთო გულშემატკივართა შეღწევის გამო უეფამ შეგვრისხა და ახლა "დინამოც", "მეტალურგიც" და "ზესტაფონიც" იძულებულნი არიან, მეტოქეებს ერთ არენაზე, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლონ.

სხვა არენა, სადაც უეფა ამ ეტაპის მატჩების მასპინძლობის უფლებას მოგვცემდა, არ გაგვაჩნია – ქუთაისის სტადიონიც ჯერ მხოლოდ „ორეტაპიანია", ლიცენზიის მქონე "მიხეილ მესხი" 1 სექტემბერს განახლებულ-გალამაზებული კი იქნება, მაგრამ თამაშები გაცილებით ადრე იმართება.

ცხადია, დავინტერესდით, რომელი გუნდი როდის ითამაშებს. მართალია, საბოლოო შეთანხმება ჯერ არ მიღწეულა, მაგრამ წინასწარ მონახაზს მაინც გაგაცნობთ.

**26 ივლისი**

**ჩემპიონთა ლიგა.**
**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**
**"ზესტაფონი" (საქართველო)**
**VS**
**"შტურმი" (ავსტრია)**
**21:00. ეროვნული სტადიონი**

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, უეფას მოთხოვნით, მატჩის ორგანიზებაში კლუბის დახმარება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაევალა, ვინაიდან "ზესტაფონს" ამ დონის შეხვედრების ჩატარების გამოცდილება არ აქვს.

გუშინ ამასთან დაკავშირებით ფედერაციაში გაიმართა „ზესტაფონის" ხელმძღვანელებისა და სფფ-ის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** შეხვედრა და საორგანიზაციო ჯგუფიც შეიქმნა.

მატჩის დირექტორად დაინიშნა **დიმიტრი ბოკერია**; უსაფრთხოების ოფიცერი **ლევან თოფურია** იქნება, ხოლო მედიასთან ურთიერთობა **თათია ბურდულს** დაევალა.

ჯერ არ დაზუსტებულა თამაშის დაწყების დრო, ქართული მხარის სურვილია, შეხვედრა თბილისის დროით 21:00 საათზე დაიწყოს. ბილეთები კი, 5, 7, 10 და 15 ლარი ეღირება.

**28 ივლისი**

**ევროპის ლიგა.**
**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**
**"მეტალურგი" (რუსთავი)**
**VS**
**"რენი" (საფრანგეთი)**
**21:00. ეროვნული სტადიონი**

**4 აგვისტო**

**ევროპის ლიგა.**
**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**
**"დინამო" (საქართველო)**
**VS**
**"რეიკიავიკი" (ისლანდია)**
**21:00. ეროვნული სტადიონი**



*„მოვიგეთ იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთი ვაჩვენეთ, ვითამაშეთ პასებზე აგებული კომბინაციური ფეხბურთი",* – განაცხადა „ირტიშთან" მოგებული მატჩის შემდეგ რუსთავის „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა არმაზ ჯელაძემ.

**რუსთავის „მეტალურგში" თორნიკე მაისურაძის დანიშვნას ყველა სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ ამ ახალგაზრდა და გამოუცდელმა კაცმა ყველა დააჯერა: როდესაც გაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები, რწმენა და ნიჭი, გამოუცდელობასაც გადალახავ და იმ ყაზახურ ბარიერსაც, რომელიც ბოლო წლებში ქართული გუნდებისთვის სცილა და ქარიბდა იყო.**

**„მეტალურგმა" „ირტიშთან" საშინაო ფრის (1:1) შემდეგ ყაზახები სტუმრად 2:0 დაამარცხა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ფრანგულ „რენს" დაუპირისპირდება.**

● ინტერვიუ თორნიკე მაისურაძესთან

# დავიბრუნოთ ქართული!

**- ყაზახური პრესის გაცნობისას არმაზ ჯელაძის სიტყვები მენიშნა, ქართული ფეხბურთი ვაჩვენეთო. არადა, ეს ფეხბურთი ბევრს თაროზე შემოდებული დამტვერილი წიგნი ეგონა.**

- ბედნიერი კაცი ვარ, რომ ეს ყაზახებსაც ვათქმევინეთ. გადაუჭარბებლად შემიძლია იმის თქმა, რომ მინიმუმ ოთხი გოლი უნდა გაგვეტანა. პირველივე ტაიმში 1:0-ზე ირაკლი ქობალია, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ვერ გაიტანა, მერე კი ახლო მანძილიდან დარტყმული თავური ოდნავ ააცილა მიზანს. ყაზახებს მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ ასპროცენტიანი – არც ერთი.

**- საინტერესოა, მეტოქეს როგორი ტაქტიკა დაუპირისპირეთ.**

- აქცენტი მოკლე და საშუალო პასებზე გავაკეთეთ, რათა მეტოქე უბურთო მოძრაობებით დაგვეღალა და ამან გაამართლა. 2:0-ზე კი ისე აირივნენ, ლამის ყოველ ორ წუთში ვუქმნიდით სახიფათო მომენტს. იმითაც ვისიამოვნე, სტადიონი „რუსთავი, რუსთავის" რომ ყვიროდა.

**- რომელიც ბოლო დროს დავიწყებული იყო.**

- სამწუხაროდ ასეა, მაგრამ ყველანაირად ვცდილობთ, ჩვენ ვაჩვენოთ. ყველაფერი დამოკიდებულია შემადგენლობაზე, ჩვენ კი ისეთი ბიჭები შევკრიბეთ, რომელთაც ეს შეუძლიათ. „ბანანცთან" მატჩის შემდეგ კიდევ უფრო შეთამაშდნენ, რაც ძალიან გვჭირდებოდა, რადგან ოთხი ახალწვეული გვყავდა. სასიამოვნოა, რომ გუნდი შეიკრა, აქ სიხარულიც და ტკივილიც ერთია. ყველა გუნდში არის რთული პერიოდები და „ბანანცთან" შინ 1:1 რომ ვითამაშეთ, სწორედ იმ დროს დაემთხვა ჩვენთვის მძიმე პერიოდი. მაგრამ ბიჭებმა ვაჟკაცობა გამოიჩინეს და შემდეგ ეტაპზე გავედით. ახლაც მოედანზე თავი დადეს, რისთვისაც მადლობას ვუხდი.

**- რუსთავული ფრის შემდეგ გამარჯვებაში დარწმუნებული იყავით. საგარეო მატჩი გქონდათ და რა გაიმედებდათ?**

- რუსთაველი მატჩის მსვლელობიდან და ხარისხიდან გამომდინარე მივხვდი, რომ ჩვენ უკეთესი გუნდი და შემსრულებლები გვყავდა და პავლოდარში ყაზახებს განსაკუთრებული რა უნდა ეჩვენებინათ?

**- თუმცა ჩვენს გუნდებს ყაზახური კომპლექსი გაუჩნდათ.**

- მე არ მქონდა, რადგან ყაზახებს პირველად ვხვდებოდი. ან რატომ უნდა მქონოდა ყაზახური კომპლექსი, როდესაც კარგად ვიცი ქართული და მათი ფეხბურთის ტრადიციები და მიღწევები. საბედნიეროდ, პირველი მატჩის შემდეგ თავად ბიჭები მიხვდნენ, რომ „ირტიშზე" უკეთესი გუნდი ვართ და ისე ითამაშეს, წარმატების მცირედი შანსიც არ დაუტოვეს მეტოქეს.

ამას გარდა, 1:1 ისეთი გაურკვეველი შედეგია, მასპინძლები იძულებულები იქნებოდნენ, წინ წამოსულიყვნენ და ეს ფაქტორი ტაქტიკის შემუშავებისას გამოვიყენეთ.

მიმაჩნია, რომ შედეგი კანონზომიერია, რადგან „მეტალურგი" და ზოგადად ქართული ფეხბურთი „ირტიშსა" და ყაზახურზე მაღლა დგანან. ის, რომ აქამდე ერთხელაც ვერ მოვუგეთ, ჩვენივე მიზეზით ხდებოდა და არა მეტოქის სიძლიერის გამო. სხვათა შორის, ეს აღნიშნა კიდეც ბაისუფინოვმა, რომელიც გულიანი და კეთილშობილი ადამიანი გამოდგა. გულწრფელად გვისურვა ფრანგებთან წარმატება. საერთოდ, ყაზახები ღირსეულად მოიქცნენ და მადლობა მათ ამისთვის.

**- თქვეს კიდეც, ასეთ შედეგს არ ველოდითო.**

- ისევე, როგორც არ ელოდა ამას ბევრი ქართველი, მაგრამ სირცხვილი იყო ყაზახებთან მუდმივად წაგება. მე ჩემზე, ჩვენზე კი არა, ქართულ ფეხბურთზე ვამბობ, რადგან ბევრად უკეთესი ფეხბურთი გვაქვს. „ირტიში" „მეტალურგზე"ზე მდიდარი კლუბია, მაგრამ ეს მათ უპირატესობას არ ნიშნავს.

ქართველებს ფეხბურთის თამაში ნამდვილად შეგვიძლია, თანაც ძალიან მინდა, ჩვენი კლუბი გაიგივდეს იმ ფეხბურთთან, რომელიც ქართველ გულშემატკივარს ახარებს.

საბჭოთა პერიოდში, ვიგებდით თუ ვაგებდით, სახეს ვინარჩუნებდით, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთმა ჩვენი ფეხბურთის სახე წაშალა. თუმცა მოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც ქართული ფეხბურთის აღორძინება შეუძლიათ. ნაკრებში ეს უფრო რთულია, რადგან ევროპიდან ჩამოდიან იქაურ ფეხბურთს შეჩვეული ბიჭები, საკლუბო დონეზე კი ეს შესაძლებელია.

თუნდაც დღევანდელი პირობებით ყაზახებს მუდამ უნდა ვუგებდეთ, ოღონდ საჭიროა კლუბში იყოს სტაბილური გარემო, ფეხბურთელები ხანგრძლივი დროით რომ გავაჩეროთ და დარწმუნებული ვარ, შემადგენლობის შესათამაშებლად ორი წელიც საკმარისი იქნება, ჩვენი კლუბები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ლეგიონერების გარეშე რომ გავიდნენ. სამწუხაროდ, სტაბილურობა ფინანსებზე არანაკლებ გვაკლია.

იმედია, „მეტალურგში" მალე ყველაფერი დალაგდება და ქვემო ქართლს და მთლიანად ქვეყანას კიდევ ერთი სოლიდური გუნდი ეყოლება.

**- ახლა „ირტიშზე" გაცილებით სერიოზულ მეტოქესთან თამაში გელით.**

- რა თქმა უნდა, „რენი" უკეთესი გუნდია, მაგრამ მოედანზე შიშით გასვლას ის სჯობს, საერთოდ არ ითამაშო. დარწმუნებული ვარ, ბიჭები ისევე გულანთებულები ითამაშებენ, როგორც პირველ და მეორე ეტაპებზე. ახლა მათ ორდღიანი დასვენების საშუალება მივეცი, დიდი ენერგია დახარჯეს მატჩშიც და მგზავრობაშიც. კვირას კი ვარჯიშს „ამერზე" განვაახლებთ.



● ირტიში-მეტალურგი. ნამატჩევს

# კაცი ყოფილა გალგატი

"ირტიში"-"მეტალურგის" მატჩის შემდეგ საინტერესო კომენტარები გააკეთეს მეტოქე გუნდების წარმომადგენლებმა.

განსაკუთრებით ენაწყლიანი აღმოჩნდა "ირტიშის" მთავარი მწვრთნელი **ტალგატ ბაისუფინოვი**: *"ჩვენი წყვილიდან შემდეგ ეტაპზე ღირსეული გავიდა. "ირტიში" ჯერ ვერ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის მოთხოვნებს. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ქართული გუნდის წარმატება გულწრფელად მიხარია.*

*დღეს ჩვენ მოგება ძალიან გვინდოდა, მაგრამ ფეხბურთის ღმერთები ქართველთა მხარზე იყვნენ. "მეტალურგს" ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეები ჰყავს და გუნდმაც თანამედროვე ფეხბურთი ითამაშა. ადრე კავკასიური კლუბების პრობლემა უბურთოდ თამაში იყო, მაგრამ რუსთაველებს ეს არ ეტყობოდათ. ქართველებს ყველაფერი გამოსდიოდათ, გუნდური ურთიერთქმედებაც და ზონური თამაშიც".*

**ალექსანდრ კუჩმა**, "ირტიშის" მცველი: *"ჯერ კიდევ არ გამიანალიზებია, რა მოგვივიდა. წაგების გამო შოკში ვარ... უაზრო გოლი გავუშვით და უკანმოუხედავად შეტევაში გავქანდით. ჩვენ გვყავდა ძალიან ღირსეული მეტოქე".*

**ირაკლი ქობალია**, "მეტალურგის" თავდამსხმელი: *"ძალიან გახარებული ვარ ყაზახეთში მოგებით, რაც სულაც არ იყო იოლი საქმე. მთავარია, რომ ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენეთ.*

*სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მნიშვნელოვანი არ იყო, გოლს ვინ გაიტანდა. მთავარია, გავიმარჯვეთ. ახლა "რენთან" თამაში გველის, რომელიც ძლიერი მეტოქეა, მაგრამ საბრძოლო განწყობაზე ვართ. შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსი გვაქვს, მაგრამ შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას შევეცდებით".*

● U21

# აქ ერთხელ უკვე მოვიგეთ

10 აგვისტოს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოლდოვაში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს ამხანაგურად დაუპირისპირდება.

მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, მატჩი გაიმართება ორხეიში იმ სტადიონზე, სადაც ცოტა ხნის წინ "მილსამიმ" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა.

შეხვედრა თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

მერაბ ჟორდანია სამძიმარს უცხადებს კახა და ქართლოს ჭუმბურიძეებს **მამის** გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროთეტროქეები

# შემოდგომაზეც შემოვდგეთ

ქართული კლუბები მიმდინარე ევროტურნირებზე ღირსეულად ასპარეზობენ. სასიხარულოა, რომ ჩვენთვის ევროსეზონი ნაადრევად არ სრულდება. საერთაშორისო საკლუბო ფეხბურთი აგვისტოში უკვე გარანტირებული გვაქვს და, ვინძლო, ამით შემოდგომაზეც ვისიამოვნოთ. შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში "ზესტაფონი" ავსტრიულ "შტურმს" დაუპირისპირდება, ხოლო ევროპის ლიგის ამავე ეტაპზე "დინამო" ისლანდიურ "რეიკიავიკს" შეხვდება, "მეტალურგი" კი – ფრანგულ "რენს".



## სახელია, შეგაშინებს, მაგრამ...

### შტურმი (ავსტრია)

**დაარსდა** 1909 წელს
**სტადიონი:** UPC-არენა (15 400 მაყურებელი)
**პრეზიდენტი:** გერალდ შტოკენჰუბერი
**ფერები:** შავი, თეთრი
**ტიტულები:** ავსტრიის 3-გზის ჩემპიონი (1998, 1999, 2011), ავსტრიის თასის 4-გზის მფლობელი (1996, 1997, 1999, 2010), ავსტრიის სუპერთასის 3-გზის მფლობელი (1996, 1998, 1999)

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. კრისტიან გრატცაი | 29 | |
| 22. სილვიე კავლინა | 34 | ხორ. |
| 34. ალექსანდერ შახნერი | 20 | |
| **მცველები** | | |
| 2. გიორგი ფოფხაძე | 24 | საქ. |
| 4. დომინიკ პიურშერი | 23 | |
| 5. ფერდინანდ ფელდჰოფერი | 31 | |
| 13. თომას ბურგშტალერი | 31 | |
| 16. ფლორიან ნოიჰოლდი | 18 | |
| 17. მარტინ ერენრაიხი | 28 | |
| 18. იოახიმ შტანდფესტი | 31 | |
| 23. შტეფან შტანგლი | 19 | |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. მანუელ ვებერი | 25 | |
| 8. ანდრეას ჰიოლცლი | 26 | |
| 9. ჰარის ბუკვა | 23 | |
| 10. სამირ მურატოვიჩი | 35 | ბოსნ. |
| 14. ფლორიან კაინცი | 18 | |
| 20. მათიას კოხი | 23 | |
| 21. დეიან მარიჩი | 21 | |
| 27. კრისტიან კლემი | 20 | |
| 29. სანდრო ფოდა | 21 | გერ. |
| 33. პატრიკ ვოლფი | 30 | |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. მარიო ჰაასი | 36 | |
| 11. იმრე ჟაბიში | 30 | უნგ. |
| 24. რომან კინასტი | 27 | |
| 26. მარვინ ვაინბერგერი | 22 | |
| **მთავარი მწვრთნელი** | | |
| ფრანკო ფოდა | 45 | გერ. |

ქართულ ფეხბურთს "შტურმთან" საერთო საკმაოდ ბევრი აქვს. დავიწყოთ იმით, რომ გრაცელთა ღირსება თავის დროზე **დავით მუჯირსა** და **ილია კანდელაკს** დაუცავთ, დღეს კი **ფრანკო ფოდას** გუნდის წევრი **გიორგი ფოფხაძეა.**

"შტურმს" საუკუნეზე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნამდე საშუალო დონის გუნდი იყო, ხსენებული პერიოდი კი მისთვის ნამდვილი ოქროს ხანაა. "შტურმი" ზედიზედ ორჯერ გახდა ავსტრიის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირსაც გაუგო გემო, სადაც ხელწამოსაკრავი არავისთვის ყოფილა.

როცა "შტურმში" მუჯირი გადავიდა, გრაცელები ძველებურად ველარ ბრწყინავდნენ, ვეღარც ჩემპიონობა შეძლეს და ევროპაშიც ველარ გამოირჩეოდნენ, თუმცა ქართველმა ნახევარმცველმა, რომელსაც ავსტრიაში თავდამსხმელად უფრო ათამაშებდნენ, "შტურმში" წარმატებული წლები გაატარა. მოგვიანებით მეორე პლანზე არც კანდელაკი ყოფილა.

ბოლო წლებში ავსტრიულ ფეხბურთში "ზალცბურგი" და დედაქალაქური კლუბები, "აუსტრია" და "რაპიდი" დომინირებდნენ, თუმცა გასული სეზონი "შტურმმა" მძლავრად ჩაატარა და ამ სამეულის ჰეგემონია დაამხო. ბუნდესლიგა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, "შტურმმა" "ზალცბურგს" სამი, ხოლო "აუსტრიას" ხუთი ქულით გაუსწრო.

რა მოხდა შარშანდელი სეზონის დასაწყისში, ესეც კარგად უნდა გახსოვდეთ – "შტურმი" ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე თბილისის "დინამოს" გადაეყარა და, მართალია, დამაჯერებლად (2:0 შინ და 1:1 სტუმრად) აჯობა, თბილისურ მატჩზე მისული ქომაგი დაგვეთანხმება, რომ ავსტრიელებმა ბევრით ვერაფრით გვაჯობეს და რომ არა არაობიექტური მსაჯობა, "დინამოს" ამ ბარიერის გადალახვის შანსი აუცილებლად ექნებოდა. შეგახსენებთ, 1:0-ზე საეჭვო ვითარებაში არბიტრმა **გიორგი კახელიშვილი** გააძევა და მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. "შტურმმა" ანგარიში გაათანაბრა და ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედიც იქვე გადაწყვიტა.

"შტურმის" შემადგენლობა შარშანდელს აქეთ დიდად არ შეცვლილა. ავსტრიის ჩემპიონის განაცხადში მრავლად ალმოაჩენთ ცნობილ ფეხბურთელებს, რომელთაგანაც ვეტერანები, მარიო **ჰაასი, სამირ მურატოვიჩი** და **იმრე ჟაბიში** უნდა გამოვარჩიოთ. "შტურმში" ავსტრიის ეროვნული ნაკრების არაერთი წევრიც თამაშობს.

სიმპათიებს იმსახურებს გუნდის გერმანელი თავკაცი ფრანკო ფოდა, რომელიც შემტევი სტილის მიმდევარია. "შტურმი" თავადაც თამაშობს და არც მეტოქეს "ახრჩობს", რაც "ზესტაფონის" ყაიდის გუნდისთვის ურიგო ამბავი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ფოფხაძეს, მან "შტურმს" სწორედ "ზესტაფონიდან" მიაშურა და ახალი გუნდის ძირითადში დამკვიდრების კარგი შანსი აქვს. ჩემპიონთა ლიგის მეორე რაუნდში გიორგიმ უნგრულ "ვიდეოტონთან" პირველი მატჩი (შინ 2:0) სათადარიგოთა სკამზე გაატარა, განმეორებითში კი (2:3) მოედანზე შესვენების შემდეგ გავიდა. მისი უშუალო კონკურენტი **დომინიკ პიურშერი** ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო 26 ივლისს თბილისურ შეხვედრას გამოტოვებს და მოსალოდნელია, რომ "ზესტაფონთან" "შტურმის" დაცვის მარცხენა ფრთაზე სწორედ ფოფხაძე ვიხილოთ.

## გრანდი ვერა, უფრო დონე

### რენი (საფრანგეთი)

**დაარსდა** 1901 წელს
**სტადიონი:** "რუტე დე ლორიენი" (31 127 მაყურებელი)
**პრეზიდენტი:** პატრიკ ლე ლაი
**ფერები:** შავი, წითელი, თეთრი
**ტიტულები:** საფრანგეთის თასის 2-გზის მფლობელი (1965, 1971)

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ბენუა კოსტილი | 24 | |
| 16. შეიხ ნდიაიე | 26 | სენ. |
| 30. აბდულაიე დიალო | 30 | გვინ. |
| **მცველები** | | |
| 2. კევინ კატერინი | 21 | გვად. |
| 3. კრის მავინგა | 20 | კონგო |
| 4. ადამ ონიეკაჩი | 24 | ნიგ. |
| 5. კადერ მანგანი | 28 | სენ. |
| 15. ჟან-არმელ კანა-ბიიკი | 22 | კამ. |
| 22. იასინ ჯებური | 19 | მარ. |
| 24. პაპე მალიძ კანდჯი | 18 | სენ. |
| 25. ჯონ ბოიე | 24 | განა |
| 29. რომენ დანსი | 25 | |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ალექსანდერ ტეტეი | 26 | განა |
| 8. ჟულიენ ფერე | 29 | |
| 10. სტეფან დალმა | 32 | |
| 14. ჟორჟ მანჟიეკი | 22 | კამ. |
| 17. იან მვია | 21 | კონგო |
| 18. ფაბიენ ლემონი | 24 | |
| 20. იასინ ბრაჰიმი | 21 | ალჟ. |
| 23. ძამალ ისა | 18 | განა |
| 26. ვენსან პაიო | 20 | |
| 28. ტონგო ჰამედ დუმბია | 21 | კოტ. |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. ჟონათან პიტროიპა | 25 | ბურკ. |
| 11. ჟირეს კემბო-ეკოკო | 23 | კონგო |
| 12. რაზაქ ბუძარი | 24 | |
| 19. ჯონ ვერჰოეკი | 22 | ჰოლ. |
| 21. ვიქტორ მონტანო | 27 | კოლ. |
| 27. აბდულ კამარა | 21 | გვინ. |
| **მთავარი მწვრთნელი** | | |
| ფრედერიკ ანტონეტი | 49 | |

"რენმა" საფრანგეთის ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულა, რაც შთამბეჭდავი შედეგი სულაც არ არის, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სეზონის დაახლოებით ორი-მესამედი **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და ერთი პერიოდი ლიგა 1-ს ლიდერობდა კიდეც.

"რენი" მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და თამაში ბრეტანის ლიგაში დაიწყო, რომელიც სამჯერ მოიგო. პირველ სერიოზულ ტიტულთან ახლოს კი 1922 წელს იყო, როცა საფრანგეთის თასის ფინალში დამარცხდა. ელიტურიდან ქვედა ლიგებში და უკუმიმართულებით მოგზაურობა რუსთაველთა მეტოქისთვის უცხო არ ყოფილა, შედარებით სოლიდურ გუნდად კი 50-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა.

საფრანგეთის ჩემპიონობას "რენი" ერთხელაც ვერ შეწვდა, სამაგიეროდ, ქვეყნის თასი ორჯერ მოიპოვა. ბოლო წლებია, ლიგა 1-ის "ოქროს შუალედს" მიეკუთვნება და შიგადაშიგ უეფას თასის საგზურის მოპოვებასაც ახერხებდა. ბოლოს ამ ტურნირზე 2008 წელს ითამაშა და ნორვეგიული "სტაბეკის" ძლევის შემდეგ ბრძოლას ჰოლანდიურ "ტვენტესთან" მარცხით გამოეთიშა. საერთოდ კი კლუბი ევროასპარეზზე წარმატებული თამაშით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის.

ბოლოს "რენი" ტიტულთან ახლოს 2009 წელს იყო, როცა საფრანგეთის თასის ფინალი წააგო.

საფრანგეთში აფრიკელები ყველა კლუბში მრავლად არიან, მაგრამ "რენში" მათი სიჭარბე მაინც თვალშისაცემია. გუნდში ამინდს შავი კონტინენტის წარმომადგენლები ქმნიან, თუმცა ყველაზე ცნობილი და გამორჩეული ფიგურა ფრანგია – **სტეფან დალმას**, რომელიც უკვე 32 წლისაა, ჩინებული კარიერა აქვს გავლილი, უთამაშია თავისი ქვეყნის ნაკრებში, "ინტერში", "ტოტენჰემში", პსჟ-ში, "ბორდოში", "მარსელსა" და კიდევ რამდენიმე ცნობილ კლუბში. დალმა დღესაც მშვენიერ ფორმაშია და "რენის" შეტევებს მაღალ დონეზე უძღვება.

გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი 9 გოლით კოლუმბიელი **ვიქტორ მონტანო** გახდა.



სტეფან დალმა

## კაჭკაჭობენ და არიან

### რეიკიავიკი (ისლანდია)

**დაარსდა** 1899 წელს
**სტადიონი:** ვიოლური (6 000 მაყურებელი)
**პრეზიდენტი:** გუდიონ გუდმუნდსონი
**ფერები:** შავი, თეთრი, ყვითელი
**ტიტულები:** ისლანდიის 24-გზის ჩემპიონი (ბოლოს 2003-ში), ისლანდიის თასის 11-გზის მფლობელი (ბოლოს 2008-ში), ისლანდიის ლიგის თასის 4-გზის მფლობელი (ბოლოს 2010-ში)

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ჰანეს ჰალდორსონი | 27 | |
| 29. ატლი იონასონი | 23 | |
| **მცველები** | | |
| 6. გუნარ ტორ გუნარსონი | 25 | |
| 7. სკული ფრიდრეიგსონი | 22 | |
| 12. დოფრი სნორასონი | 21 | |
| 18. არონ იოსეპსონი | 21 | |
| 21. გუდმუნდორ გუნარსონი | 22 | |
| 30. ჟორდაო დიოგო | 25 | პორ. |
| **ნახევარმცველები** | | |
| 2. გრეტარ სიგურდასონი | 28 | |
| 3. ასგეირ ორნ ოლაფსონი | 23 | |
| 4. ბიარნი გუდიონსონი | 32 | |
| 8. ბალდურ სიგურდსონი | 26 | |
| 11. ოსკარ იორნ ჰაუკსონი | 26 | |
| 14. ვიქტორ არნარსონი | 28 | |
| 15. ეგილ იონსონი | 20 | |
| 17. ჰროარ სიგურდსონი | 19 | |
| 25. ტორფი ოლაფსონი | 19 | |
| 26. ალექსანდერ კოსტიჩი | 18 | |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. გუნარ იორნ იონსონი | 26 | |
| 10. კიარტან ფინბოგასონი | 25 | |
| 20. მაგნუს ლუდვიკსონი | 30 | |
| 23. გუდიონ ბალდვინსონი | 25 | |
| 24. ბიორნ იონსონი | 20 | |
| 28. დავიდ ეინარსონი | 18 | |
| **მთავარი მწვრთნელი** | | |
| რუნარ კრისტინსონი | 41 | |

"რეიკიავიკმა" ისლანდიის წინა ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა, მაგრამ მიმდინარე გათამაშებაში, რომელიც სხვა ჩრდილოური ქვეყნების მსგავსად გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება, ერთპიროვნულად ლიდერობს. 10 მატჩიდან დედაქალაქელებმა 7 მოიგეს და 3 ფრედ დაასრულეს, რაც, დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი შედეგია.

ისლანდიის უძველესი და უტიტულოვანესი კლუბი შავთეთრზოლიანი მაისურებით "ნიუკასლის" პატივსაცემად თამაშობს. 1912 წელს, როცა "რეიკიავიკი" პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მისმა ფეხბურთელებმა, რომელთა უმრავლესობაც ამ ინგლისური კლუბის ქომაგი იყო, გადაწყვიტეს, "ნიუკასლის" ფორმა შეეძინათ და თამაში მისი ფერებით განეგრძოთ.

თუ წლეულს იჩემპიონა, "რეიკიავიკი" ტიტულს რვაწლიანი პაუზის შემდეგ დაიბრუნებს, რაც ასეთი წარსულის მქონე კლუბისთვის დიდი დროა.

"დინამოს" მეტოქე ადგილობრივებს ეყრდნობა და ერთადერთი ლეგიონერი ჰყავს. მიმდინარე სეზონში "რეიკიავიკის" საუკეთესო ბომბარდირები **ფინბოგასონი** და **ბალდვინსონი** არიან, შესაბამისად, 5 და 4 გოლით.

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის წინა ეტაპზე "რეიკიავიკმა" სლოვაკურ "ჟილინას" აჯობა (შინ 3:0, სტუმრად 0:2), მანამდე კი ფარერულ "ფულგაფიორდურს" სტუმრად 3:1 სძლია, საკუთარ მოედანზე კი 5:1 გაანადგურა.

ისლანდიელებმა შარშან ევროპის ლიგაზე ასპარეზობა "ზესტაფონის" მძლეველ "კარპატისთან" უსახური თამაშით დაასრულეს – უკრაინელებთან შინ 0:3 წააგეს, სტუმრად კი 2:3 დამარცხდნენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



რეიკიავიკის საჩემპიონო ზეიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# საქართველოს ნაკრების ოფიციალური ისტორია

მართალია, ამ დღეებში ყველაზე აქტუალური თემა ქართული კლუბების ევროტურნირებზე გამოსვლაა, მაგრამ არც საქართველოს ეროვნული ნაკრები უნდა დავივიწყოთ. 10 აგვისტოს ხომ თემურ ქეცბაიას გუნდი პოლონეთში ამხანაგურად ითამაშებს, სექტემბერ-ოქტომბერში კი უმნიშვნელოვანესი ოფიციალური მატჩები ელის.

ჩვენი ეროვნული გუნდის შესახებ საერთო სტატისტიკა კი არსებობს, მაგრამ გადავწყვიტეთ, ამჯერად ნაკრები მხოლოდ ოფიციალური ტურნირების ჭრილში წარმოგიდგინოთ. გაგაცნობთ ვრცელ სტატისტიკას იმის თაობაზე, თუ რომელ მწვრთნელსა და ფეხბურთელს როგორი მონაგარი აქვს ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ტურნირებზე.

ჩვენი ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდი ოფიციალურ მატჩებზე 13 მწვრთნელს გაუყვანია. აქედან ზოგი დროებითი ყოფილა, ერთზე მეტ შესარჩევ ტურნირში კი მხოლოდ ალექსანდრე ჩივაძესა და დავით ყიფიანს უმუშავიათ. თავიდან ბოლომდე მთელი ციკლი ჩივაძეს, ტოპმიოლერსა და კუპერს გაუვლიათ და ალბათ, მათ რიცხვს თემურ ქეცბაიაც შეუერთდება. შესარჩევებში ნაკრები ყველაზე შედეგიანად ყიფიანის მთავარმწვრთნელობისას თამაშობდა, სამაგიეროდ, ვერ გაამართლა ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის შეწყვილებამ...

აქვეა ფეხბურთელთა მონაგარი, სადაც ბომბარდირობას შოთა არველაძე არავის უთმობს, ოფიციალური მატჩების რაოდენობით კი ლევან კობიაშვილის დაწევის ყველაზე დიდი შანსი კაპიტან კახა კალაძეს აქვს. ლევანისა და კახას სტატისტიკაში შთამბეჭდავი კიდევ ის არის, რომ ორივესთვის მიმდინარე ციკლი მერვეა.

ოფიციალურ შეხვედრებში საქართველოს ღირსება 120 ფეხბურთელს დაუცავს.



თემურ ქეცბაია: გამორჩეული მოთამაშე, გამორჩეული მწვრთნელი

## საქართველოს ეროვნული ნაკრები შესარჩევი ტურნირების სტატისტიკა



ალექსანდრე ჩივაძე

### მწვრთნელები

#### ალექსანდრე ჩივაძე (1-2-4-5)

| | | |
|---|---|---|
| შ | მოლდოვა | 0:1 |
| ს | ბულგარეთი | 0:2 |
| შ | უელსი | 5:0 |
| ს | ალბანეთი | 1:0 |
| შ | გერმანია | 0:2 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უელსი | 1:0 |
| ს | გერმანია | 1:4 |
| შ | ბულგარეთი | 2:1 |
| ს | მოლდოვა | 2:3 |
| ს | იტალია | 0:1 |
| შ | ინგლისი | 0:2 |
| შ | უნგრეთი | 3:1 |
| შ | ლიტვა | 2:0 |
| ს | რუმინეთი | 1:1 |
| ს | შვეიცარია | 1:4 |
| შ | ირლანდია | 1:2 |
| შ | შვეიცარია | 0:0 |

18 თამაში, 7 მოგება, 2 ფრე, 9 წაგება
ბურთები 18-24
*საშუალოდ 1.27 ქულა თამაშში*

#### დავით ყიფიანი (2)

| | | |
|---|---|---|
| ს | ინგლისი | 0:2 |
| შ | მოლდოვა | 2:0 |
| ს | პოლონეთი | 1:4 |
| შ | იტალია | 0:0 |
| ს | მოლდოვა | 1:0 |
| შ | პოლონეთი | 3:0 |

6 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება
ბურთები 7-6
*საშუალოდ 1.66 ქულა თამაშში*

#### ვლადიმერ გუცაევი (3)

| | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 1:0 |
| ს | ლატვია | 0:1 |
| ს | საბერძნეთი | 0:3 |
| შ | სლოვენია | 1:1 |
| შ | ნორვეგია | 1:4 |

5 თამაში, 1 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება
ბურთები 3-9
*საშუალოდ 0.80 ქულა თამაშში*

#### იოჰან ბოსკამპი (3)

| | | |
|---|---|---|
| ს | ნორვეგია | 0:1 |
| შ | საბერძნეთი | 1:2 |
| ს | სლოვენია | 1:2 |
| შ | ლატვია | 2:2 |
| ს | ალბანეთი | 1:2 |

5 თამაში, 1 ფრე, 4 წაგება
ბურთები 5-9
*საშუალოდ 0.2 ქულა თამაშში*

#### დავით ყიფიანი - რევაზ ძოძუაშვილი (4)

| | | |
|---|---|---|
| ს | ლიტვა | 4:0 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | რუმინეთი | 0:2 |
| შ | იტალია | 1:2 |
| ს | უნგრეთი | 1:4 |

5 თამაში, 1 მოგება, 4 წაგება
ბურთები 6-10
*საშუალოდ 0.6 ქულა თამაშში*



ივო შუშაკი

#### ივო შუშაკი (5)

| | | |
|---|---|---|
| შ | რუსეთი | 1:0 |
| ს | ირლანდია | 0:2 |

2 თამაში, 1 მოგება, 1 წაგება
ბურთები 1-2
*საშუალოდ 1.5 ქულა თამაშში*

#### მერაბ ჟორდანია (5)

| | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 3:0 |
| ს | ალბანეთი | 1:3 |
| ს | რუსეთი | 1:3 |

3 თამაში, 1 მოგება, 2 წაგება
ბურთები 5-6
*საშუალოდ 1 ქულა თამაშში*

#### ალენ ჟირესი (6)

| | | |
|---|---|---|
| ს | თურქეთი | 1:1 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უკრაინა | 0:2 |
| შ | დანია | 2:2 |
| შ | საბერძნეთი | 1:3 |
| შ | თურქეთი | 2:5 |
| ს | ალბანეთი | 2:3 |

7 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება
ბურთები 10-16
*საშუალოდ 0.71 ქულა თამაშში*

#### გაიოზ დარსაძე (6)

| | | |
|---|---|---|
| ს | ყაზახეთი | 2:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | დანია | 1:6 |
| შ | ყაზახეთი | 0:0 |
| ს | საბერძნეთი | 0:1 |

5 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება
ბურთები 5-9
*საშუალოდ 1 ქულა თამაშში*

#### კლაუს ტოპმიოლერი (7)

| | | |
|---|---|---|
| ს | ფარერები | 6:0 |
| შ | საფრანგეთი | 0:3 |
| ს | უკრაინა | 2:3 |
| შ | იტალია | 1:3 |
| ს | შოტლანდია | 1:2 |
| შ | ფარერები | 3:1 |
| ს | ლიტვა | 0:1 |
| ს | საფრანგეთი | 0:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | შოტლანდია | 2:0 |
| შ | ლიტვა | 0:2 |

12 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 8 წაგება
ბურთები 16-19
*საშუალოდ 0.83 ქულა თამაშში*

#### ჰექტორ კუპერი (8)

| | | |
|---|---|---|
| შ | ირლანდია | 1:2 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | კვიპროსი | 1:1 |
| შ | ბულგარეთი | 0:0 |
| ს | ირლანდია | 1:2 |
| ს | კვიპროსი | 1:2 |
| შ | ჩერნოგორია | 0:0 |
| შ | იტალია | 0:2 |
| ს | ჩერნოგორია | 1:2 |
| ს | ბულგარეთი | 2:6 |

10 თამაში, 3 ფრე, 7 წაგება
ბურთები 7-19
*საშუალოდ 0.3 ქულა თამაშში*

#### თემურ ქეცბაია (9)

| | | |
|---|---|---|
| ს | საბერძნეთი | 1:1 |
| შ | ისრაელი | 0:0 |
| შ | მალტა | 1:0 |
| ს | ლატვია | 1:1 |
| შ | ხორვატია | 1:0 |
| ს | ისრაელი | 0:1 |
| ს | ხორვატია | 1:2 |

7 თამაში, 2 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება
ბურთები 5-5
*საშუალოდ 1.28 ქულა თამაშში*

### მწვრთნელთა რეიტინგი ქულათა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

| | |
|---|---|
| 1. დავით ყიფიანი | 1.66 |
| 2. ივო შუშაკი | 1.5 |
| 3. თემურ ქეცბაია | 1.28 |
| 4. ალექსანდრე ჩივაძე | 1.27 |
| 5. გაიოზ დარსაძე | 1 |
| 6. მერაბ ჟორდანია | 1 |
| 7. კლაუს ტოპმიოლერი | 0.83 |
| 8. ვლადიმერ გუცაევი | 0.80 |
| 9. ალენ ჟირესი | 0.71 |
| 10. ყიფიანი/ძოძუაშვილი | 0.6 |
| 11. ჰექტორ კუპერი | 0.3 |
| 12. იოჰან ბოსკამპი | 0.2 |



ნაკრების რეკორდსმენი - ლევან კობიაშვილი

### ფეხბურთელთა მონაგარი შესარჩევ მატჩებში (მატჩი, გოლი)

| | | |
|---|---|---|
| ლევან კობიაშვილი (2-3-4-5-6-7-8-9) | 60 | 8 |
| კახა კალაძე (2-3-4-5-6-7-8-9) | 52 | - |
| ზურაბ ხიზანიშვილი (3-4-5-6-7-8-9) | 45 | - |
| შოთა არველაძე* (1-2-3-4-5-6-7) | 40 | 18 |
| ალექს. იაშვილი (3-4-5-6-7-8-9) | 39 | 12 |
| გიორგი დემეტრაძე* (3-4-5-6-7) | 36 | 5 |
| გიორგი ნემსაძე* (1-2-3-4-5) | 35 | - |
| გოჩა ჯამარაული* (1-2-3-4-5-6) | 33 | 1 |
| ლევან ცქიტიშვილი* (1-3-4-5-6-7-8) | 32 | - |
| გიორგი ქინქლაძე* (1-2-3-4-5) | 31 | 5 |
| თემურ ქეცბაია* (1-2-3-4-5) | 28 | 9 |
| დავით კვირკველია (5-6-7-8-9) | 27 | - |
| გიორგი ლომაია (მეკ.) (5-6-7-8) | 27 | -47 |
| მალხაზ ასათიანი (5-6-7-8-9) | 26 | 4 |
| ლაშა სალუქვაძე (6-7-8-9) | 26 | - |
| მიხეილ ყაველაშვილი* (1-2-3-4-5) | 25 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი (4-6-7-8) | 21 | - |
| დავით სირაძე (7-8-9) | 18 | 5 |
| არჩილ არველაძე* (1-2-3-4) | 18 | 3 |
| ჯაბა კანკავა (6-7-9) | 17 | 1 |
| მურთაზ შელია* (1-2-3) | 16 | - |
| კახა გოგიჩაიშვილი* (1-2) | 15 | - |
| ალექს. რეხვიაშვილი* (3-4-5-6) | 15 | - |
| ოთარ ხიზანეიშვილი (3-5-6-7) | 14 | - |
| გოგიტა გოგუა (6-7-9) | 14 | - |
| გიორგი შაშიაშვილი (5-7-8) | 13 | 1 |
| გიორგი ჩიხრაძე* (1-2) | 13 | - |
| დავით გვარამაძე* (მეკ.)...(3-4-5) | 13 | -18 |
| კახა ცხადაძე* (1-2) | 12 | 1 |
| აკაკი დევაძე* (მეკ.) (1-6) | 12 | -15 |
| მიხეილ აშვეთია* (3-5-6-7) | 12 | 1 |
| ვლადიმერ ბურდული (4-5-6-7) | 12 | 1 |
| დავით მუჯირი (6-7) | 12 | 1 |
| უჩა ლობჯანიძე (8-9) | 12 | - |
| გიორგი გახოკიძე* (2-3-4-6-7) | 11 | 2 |
| გივი დიდავა (3-5) | 11 | - |
| ირაკლი ზოიძე* (მეკ.) (1-2-4) | 10 | -20 |
| გელა შეყილაძე* (2-3-5) | 10 | - |
| დავით ოდიკაძე (6-8) | 10 | - |
| ვლადიმერ დვალიშვილი (8-9) | 9 | 2 |
| ლევან ყენია (7-8) | 9 | 1 |
| ალექს. ამისულაშვილი (5-6-9) | 9 | 1 |
| რატი ალექსიძე (3-4-5-8) | 9 | - |
| ლევან მჭედლიძე (7-8) | 8 | 1 |
| დიმიტრი კუდინოვი* (1-2) | 8 | - |
| კახა მჟავანაძე (6) | 8 | - |
| გიორგი მერებაშვილი (8-9) | 8 | - |
| გელა ინალიშვილი* (1-2) | 7 | - |
| ნუგზარ ლობჟანიძე* (1-2) | 7 | - |
| ოთარ მარცვალაძე (7-9) | 7 | - |
| ლუკა რაზმაძე (8) | 7 | - |
| გოჩა გოგრიჭიანი* (1-2) | 6 | 1 |
| მამუკა წერეთელი* (3) | 6 | - |
| რევაზ ძემოკლიძე (4-5) | 6 | - |
| ბექა გოცირიძე (6-8) | 6 | - |
| ლევან ხმალაძე (8) | 6 | - |
| ჯანო ანანიძე (8-9) | 6 | - |
| ნუკრი რევიშვილი (მეკ.) (9) | 6 | -3 |
| ზაზა რევიშვილი* (1) | 5 | - |
| ნიკა ტოგონიძე* (მეკ.) (2-3) | 5 | -7 |
| გიორგი კიკნაძე* (2-3) | 5 | - |
| ზაზა ჯანაშია* (2-3-4) | 5 | 2 |
| ლევან სილაგაძე* (3-4) | 5 | - |
| ლაშა ჯაკობია (6-7) | 5 | - |
| მურთაზ დაუშვილი (9) | 5 | - |
| ილია კანდელაკი (7) | 5 | - |
| გიორგი ლუდუშაური* (1-2) | 4 | - |
| გრიგოლ ჭანტურია* (მეკ.) (3-7) | 4 | -8 |
| ედიკ საჯაია (4-5) | 4 | - |
| გიორგი განუგრავა (6) | 4 | - |
| ზაალ ელიავა (7-8) | 4 | - |
| ალექსანდრე კვახაძე (7-8) | 4 | - |
| რევაზ არველაძე* (1-2) | 3 | - |
| ბესიკ ბერაძე* (1) | 3 | - |
| გიორგი კილასონია* (1) | 3 | - |
| დავით ჭიჭველიშვილი* (3) | 3 | - |
| ვიტალი დარასელია* (5-6) | 3 | - |
| კახა ალადაშვილი (6-7) | 3 | - |
| ამირან სანაია (8) | 3 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი (7-8-9) | 3 | - |
| აკაკი ხუბუტია (9) | 3 | - |
| გიორგი ლორია (მეკ.) (8-9) | 3 | -6 |
| გია გურული* (1) | 2 | - |
| დავით ჯანაშია* (1-3) | 2 | 1 |
| მამუკა მაჭავარიანი* (1-2) | 2 | - |
| გიორგი დარასელია* (2-3) | 2 | - |
| ვალტერ გუჩუა* (2-3)... | 2 | - |
| ზურაბ ფოფხაძე* (3) | 2 | - |
| თენგიზ სიჭინავა* (3) | 2 | - |
| ბადრი ახვლედიანი* (3) | 2 | - |
| ვალერი აბრამიძე (4) | 2 | - |
| ნუკრი რევიშვილი (მეკ.) (6) | 2 | -1 |
| რატი წინამძღვრიშვილი (6) | 2 | - |
| მათე ღვინიანიძე (7) | 2 | - |
| გურამ კაშია (8-9) | 2 | - |
| გიორგი მაკარიძე (მეკ.) (7) | 2 | -2 |
| მიხეილ ჯიშკარიანი* (1) | 1 | - |
| დავით ყიზილაშვილი* (1) | 1 | - |
| გოჩა გუჯაბიძე* (1) | 1 | - |
| გიორგი ჩხაიძე* (3) | 1 | - |
| გიორგი ბალაშვილი* (3) | 1 | - |
| სოსო გრიშიკაშვილი (მეკ.) (3) | 1 | -1 |
| მიხეილ ფოცხვერია* (3) | 1 | - |
| სევასტი თოდუა (4) | 1 | - |
| ზვიად სტურუა (მეკ.) (6) | 1 | -3 |
| ლევან მაღრაძე (6) | 1 | - |
| მამია ჯიქია* (6) | 1 | - |
| გივი კვარაცხელია (6) | 1 | - |
| მიხეილ ბოგოხიძე (6) | 1 | - |
| ვასილ გიგიაძე (7) | 1 | - |
| დავით იმედაშვილი (7) | 1 | - |
| დიმიტრი ტატანაშვილი (7) | 1 | - |
| ირაკლი კლიმიაშვილი (8) | 1 | - |
| მათე ვაწაძე (8) | 1 | - |
| გიორგი ფოფხაძე (8) | 1 | - |
| ჯაბა ლიპარტია (8) | 1 | - |
| ზურაბ მამალაძე (მეკ.) (8) | 1 | -3 |
| გია გრიგალავა (9) | 1 | - |
| თორნიკე აფციაური (9) | 1 | - |
| ალექსანდრე კოშკაძე (9) | 1 | - |

შენიშვნები: ფრჩხილებში მოცემული ციფრი აღნიშნავს იმ ციკლის რიგით ნომერს, რომელშიც მწვრთნელმა და ფეხბურთელმა მიიღეს მონაწილეობა.

**1** – ევრო-96-ის შესარჩევი
**2** – 1998 წლის მუნდიალის შესარჩევი
**3** – ევრო 2000-ის შესარჩევი
**4** – 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი
**5** – ევრო-2004-ის შესარჩევი
**6** – 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი
**7** – ევრო-2008-ის შესარჩევი
**8** – 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი
**9** – ევრო-2012-ის შესარჩევი

** ნიშნით აღნიშნულია ფეხბურთელი, რომელმაც კარიერა დაასრულა*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

გაბრიელ ჰაინცე



# ლუის ენრიკემ ჰაინცე დაიმატა

## კრკიჩი გააფორმეს

**ბოიან კრკიჩი** რომ მომდევნო სეზონიდან „რომას" ღირსებას დაიცავს, დიდი ხნის გადაწყვეტილი ამბავია — თუმცა, მხარეებს შორის ხელშეკრულებას გუშინ მოეწერა ხელი. დიახ, სერბული წარმოშობის ესპანელი შემტევი ოფიციალურად სწორედ გუშინ გახდა რომაელი და ამ სტატუსით პირველი კომენტარიც გააკეთა:

„ბედნიერი ვარ, რომ ისეთი დიდი გუნდის წევრი გავხდი, როგორიც „რომაა". ბევრი მსმენია იმის შესახებ, რომ სერია A-ში თავის გამოჩენა ურთულესი საქმეა, რაც მოტივაციას კიდევ უფრო მმატებს. ერთი სული მაქვს, როდის გავალ მოედანზე და საკუთარ შესაძლებლობებს წარმოვაჩენ. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ლუის ენრიკესთან მქონდა საუბარი. მითხრა, რომ ბოლომდე მენდობა და ჩემზე დიდ იმედებს ამყარებს. ფეხბურთელისთვის სწორედ ისაა მთავარი, რომ მას ენდობოდნენ და პირველივე ჩაგდებული შეხვედრის შემდეგ, სათადარიგოთა სკამზე არ უკრან თავი".

კრკიჩს მის ახალ თანაგუნდელებზე დაუსვეს კითხვა და შემდეგი მოისმინეს: „კონტაქტური ადამიანი ვარ და ურთიერთობაში შესვლა არ მიჭირს. ასე რომ, ახალ თანაგუნდელებს ძალიან მალე დავუმეგობრდები. „რომას" ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, თუმცა არის ერთი მოთამაშე, რომელიც განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს - ეს, რა თქმა უნდა, ფრანჩესკო ტოტია, რომელმაც მთელი კარიერა ერთ გუნდს მიუძღვნა და უამრავ მაცდურ შეთავაზებაზე განაცხადა უარი. ჩემთვის დიდი პატივია ისეთი ფეხბურთელის მხარდამხარ თამაში, როგორიც ტოტია".

საინტერესოა კრკიჩის ხელშეკრულების დეტალები, რომელიც იტალიელი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა. რომაული გუნდი ესპანელის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს გადაიხდის, კატალონიელებს მისი დაბრუნების შესაძლებლობა ორი წლის შემდეგ 13 მილიონ ევროდ შეეძლებათ - თუმცა, იტალიელებს დაბრუნებისთვის ვეტოს დადების უფლებაც აქვთ, მხოლოდ, ამ შემთხვევაში ესპანელთა ბიუჯეტში კიდევ 28 მილიონი ევრო უნდა გადარიცხონ. თუ მოვლენები სწორედ ასე განვითარდა, მაშინ კრკიჩის საერთო ღირებულება 40 მილიონ ევროს შეადგენს. ერთი სიტყვით, „ბარსამ" კრკიჩთან გარკვეული კავშირი დაიტოვა და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან.

ამასობაში, „რომა" კიდევ ერთი ფეხბურთელით, 33 წლის **გაბრიელ ჰაინცეთი** გაძლიერდა. თუ „კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, არგენტინელმა მცველმა თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა „მარსელი" და „რომასთან" ორწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს. „კორიერე" იმასაც გვაუწყებს, რომ ჰაინცეს წლიური ჯამაგირი 700 000 ევრო იქნება, სამჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე ფრანგულ კლუბში ჰქონდა. „რომას" სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** ადასტურებს, რომ სამხრეთამერიკელთან კონტრაქტის გაფორმება იგეგმება:

„ჰაინცე რომშია, მასთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და უახლოეს დღეებში ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს. გამოცდილი მცველია და დარწმუნებული ვარ, რომ უკანა ხაზს საგრძნობლად გააძლიერებს. გაბრიელის დამატების სურვილი ლუის ენრიკემ გამოთქვა და საბედნიეროდ, სწორედ ამ ზაფხულს დაუმთავრდა კონტრაქტის ვადა „მარსელთან". შესაბამისად, მისი გადმობირების საკითხი უმტკივნეულოდ მოგვარდა".

ჰაინცე მართლაც გამოცდილი ფეხბურთელია და ისეთ დიდ გუნდებში აქვს ნათამაშები, როგორებიც მადრიდის „რეალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" არიან - არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 71 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 3 გოლი გატანილი. ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს „ჯალოროსიში"...

**ლაშა ნიკლაური**

სატრანსფერო ამბავი

# იოვეტიჩი და ჯილარდინო არ იყიდებიან

## ვიოლამ მუნარი დაიმატა

რამდენიმე დღის წინ, „ნაპოლის" პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** საჯაროდ განაცხადა, რომ თუ **ეზეკილ ლავეცის** შენარჩუნებას ვერ მოახერხებს და არგენტინელი შემტევი რომელიმე სხვა გუნდში გადავა, მაშინ მის ადგილს „ფიორენტინას" ჩერნოგორიელი გარემარბი **სტევან იოვეტიჩი** დაიკავებს. ამ ინფორმაციამ „ვიოლას" ტიფოზებსა და „ფიორენტინას" მესვეურებს შორის კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა, ამიტომ, ვითარების დასასტაბილურებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა გამოიკვეთა. სწორედ ამიტომ, „ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა **პანტელეო კორვინომ** „გაძეტა დელო სპორტს" შემდეგი განუცხადა:

„გულშემატკივრები სულ ტყუილად ღელავენ, რადგან არც სტევან იოვეტიჩის გაყიდვას ვაპირებთ და არც ალბერტო ჯილარდინოსი, როგორც ეს არაერთ გაზეთში ეწერა. ჩვენი სურვილია, რომ ყველა წამყვანი ფეხბურთელი შევინარჩუნოთ და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებთ. ამასთან, ვცდილობთ, რომ გავაძლიეროთ გუნდი".

გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ფიორენტინამ" „ლეჩეს" 28 წლის ნახევარმცველი **ჯანი მუნარი** გაიფორმა - ხელშეკრულების დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**ლაშა ნიკლაური**



იოვეტიჩი და ჯილარდინო

ტრანსფერი

# ვიდალი ტურინელია

**გუშინ** ტურინის „იუვენტუსმა" ოფიციალურად გაიფორმა ჩილელი **არტურო ვიდალი** და მას ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამით ბოლო მოეღო ივლისის განმავლობაში აგორებულ სპეკულაციებს. იტალიურ გრანდს 24 წლის ნახევარმცველი 10,5 მილიონი ევრო დაუჯდა. ლევერკუზენის „ბაიერი" ამ თანხიდან 5 მილიონს ეგრევე მიიღებს, 3 მილიონს - მომავალი წლის ივნისის ბოლომდე, 2,5 მილიონს კი - 2012 წლის ბოლომდე. სატრანსფერო თანხა, შესაძლოა, კიდევ 2 მილიონი ევროთი გაიზარდოს, თუკი ვიდალი ამ ხუთი წლის განმავლობაში „იუვენტუსში" გარკვეული რაოდენობის მატჩებს ჩაატარებს. სხვათა შორის, ტრანსფერიდან ჩილეს „კოლო კოლოც" იხეირებს, რომელსაც 30% შეხვდება, ვიდალი გერმანიაში 2007 წელს სწორედ „კოლო კოლოდან" გადავიდა. ვიდალმა გუშინ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იუვენტუსი

# მელო არენდით გალათასარაიში

## პირლომ კრასიჩი აღაფრთოვანა

**ფელიპე მელოს** საქმეები უფრო და უფრო უკან მიდის - ჯერ იყო და ეროვნულ ნაკრებში დაკარგა ადგილი, რის გამოც კოპა ამერიკის გამოტოვება მოუხდა, სულ ახალი ინფორმაციით კი, „იუვენტუსი" დატოვა და კარიერის გასაგრძელებლად თურქეთს მიაშურა.

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „გალათასარაიმ" 28 წლის ნახევარმცველი იჯარის წესით ერთი წლით აიყვანა და თუ მხარეები კმაყოფილნი დარჩებიან თანამშრომლობით, მაშინ თურქებს ბრაზილიელის 13 მილიონ ევროდ გამოსყიდვა მოუწევთ. ეს ცნობა თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა და შემდეგი განაცხადა:

„თურქეთში ძალიან ძლიერი ჩემპიონატი აქვთ და საინტერესო იქნება ძალების მოსინჯვა. ბევრ ჩემს მეგობარს უთამაშია იქაურ ლიგაში და კარგის მეტი არაფერი უთქვამთ. არ დავმალავ, „იუვენტუსში" ნამდვილად მსურდა დარჩენა, მაგრამ მწვრთნელის გეგმებში ვერ ჩავჯექი და შესაბამისად, ახალი გუნდის მოძებნამ მომიწია. „გალათასარაი" ნამდვილად კარგი ვარიანტია, თურქეთში სრულიად ახალ გამოცდილებას მივიღებ, რაც აუცილებლად წინ დამხვდება".

„იუვენტუსზე" საუბარი **ანდრეა პირლოს** თემით განვაგრძოთ, რომელმაც უკვე მოასწრო და თანაგუნდელები საკუთარი ოსტატობით მოხიბლა. **მილოშ კრასიჩი** იმდენად არის აღფრთოვანებული ანდრეათი, რომ ამის შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა: „პირლო ნამდვილი ფენომენია და ბედნიერი ვარ, რომ მის მხარდამხარ მომიწევს თამაში. აქამდე არასრდროს მინახავს, რომ ერთ ფეხბურთელში ამდენი ოსტატობა იყოს თავმოყრილი. საოცრად ზუსტ გადაცემებს აკეთებს, რამაც ჩემში აღფრთოვანება გამოიწვია. ნამდვილად არ მიკვირს, რომ უამრავი ტროფეი აქვს მოგებული და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება".

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ სიტი

# მანჩინი დირექტორებს გაუბრაზდა

**რობერტო მანჩინიმ** „მანჩესტერ სიტის“ დირექტორატს შეახსენა, რომ დროა გუნდი ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდეს. ისტლენდელებს ყველა ფულის ტომრებს ეძახის, არადა, ფაქტია: ამ ზაფხულს კლუბს მნიშვნელოვანი შენაძენი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, შეიძლება იყოს დანაკარგი: 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელი, **კარლოს ტევესი** ყველა ღონეს ხმარობს გუნდიდან რომ გაიქცეს.

მანჩინიმ თქვა: *„ჯერ ფეხბურთელები უნდა დავიმატოთ და მერე განვსაზღვროთ რისი პრეტენზია უნდა გვქონდეს. გასულ სეზონში „ჩელსიმ“ და ჩვენ ქულათა თანაბარი რაოდენობა დავაგროვეთ და, შესაბამისად, ლონდონელებთან ერთად მეორე ადგილზე გავედით, მაგრამ ახლა გაძლიერებაა საჭირო. „სიტი“ პირველად მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგაში, რაც განსაკუთრებულ მონდომებას საჭიროებს. გუნდის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად კი დროა საჭირო და ამიტომ, იმედი მაქვს, რომ „ქომუნითი შილდისთვის“ უკვე გვეყოლება ახალი მოთამაშეები. ერთი კვირა, მაქსიმუმ 10 დღე შეგვიძლია დავიცადოთ. ორი-სამი კაცი გვყავს შეგულებული და ვნახოთ ამ საქმიდან რა გამოვა“.*

შეგახსენებთ, რომ „სიტის“ ძალიან უნდოდა 22 წლის ჩილელი თავდამსხმელის, **ალექსის სანჩესის** ყიდვა, მაგრამ ის დაახლოებით 26 მილიონ ევროდ „უდინეზესგან“ „ბარსელონამ“ შეიძინა. „სიტის“ სახელს აკავშირებდნენ „არსენალის“ 24 წლის ფრანგ ნახევარმცველ **სამირ ნასრისთან**. ბოლო დროს დაბეჯითებით ამბობენ, რომ ისტლენდელებმა „ატლეტიკოსთან“ გამონახეს საერთო ენა და მადრიდიდან 23 წლის არგენტინელი, **სერხიო აგუერო** გადაჰყავთ.



ამდენი ხმაურიანი სატრანსფერო ამბის მიუხედავად, ამ ზაფხულს „სიტიმ“ მხოლოდ ორი მოთამაშე დაიმატა: 25 წლის ფრანგი მცველი **გაელ კლიში**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში „არსენალში“ გამოდიოდა და 20 წლის **სტეფან სავიჩი**, ბელგრადის „პარტიზანიდან“.

შეგახსენებთ, რომ ზემოთ ნახსენებ ტევესს ბრაზილიურ „კორინთიანსში“ უნდოდა გადასვლა, მაგრამ გარიგება, რომლის საფასურიც 40 მილიონი ფუნტი ანუ 45,5 მილიონი ევრო უნდა ყოფილიყო, ჩაიშალა. მანჩინი ამბობს, რომ თუ ტევესის სურვილიც იქნება, ის მზად არის ფეხბურთელი დაიტოვოს. ცნობისათვის: ამ დღეებში პაპარაცებმა ტევესი სარდინიაზე გადაიღეს. აქ, მას ნომერი იმავე სასტუმროში აქვს აღებული, რომელშიც „ინტერის“ ტექნიკური დირექტორი **მარკო ბრანკა** დაბინავდა. ტევესი და ბრანკა ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ, როგორც ფეხბურთელის ნაცნობები ამბობენ, თითო სიტყვა გაცვალეს და სულ ეს იყო. თუმცა, არიან სხვებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მართალია, შეხვედრა შემთხვევითი იყო, ფეხბურთელს და დირექტორს შორის საფუძვლიანი მოლაპარაკება გაიმართა. მანჩინიმ თქვა:

*„კარლოსთან არ მილაპარაკია, ტელეფონი გამორთული აქვს. მეორე მხრივ, ისევე, როგორც სამი დღის წინ, ის დღესაც „სიტის“ ფეხბურთელია, არსად გადასულა. მისი ამბავი მომავალში გაირკვევა. ზოგადად ასეა: ტევესს „მანჩესტერ სიტიდან“ წასვლა უნდა, რადგან არგენტინაში, თავის ოჯახთან ერთად სურს ცხოვრება. კლუბი ფეხბურთელის მდგომარეობაში შედის და მხოლოდ ამიტომ ყიდის მას“.*

● ჩელსი




# ტანჯვა სახელად ტორესი

„ჩელსის“ ახალი მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** ამბობს, რომ არ დაუშვებს, 27 წლის ესპანელი თავდამსხმელი, **ფერნანდო ტორესი** ახალ სეზონშიც ტანჯვისა და კრიტიკის ობიექტად რომ იქცეს. ტორესის თემა „ლურჯებისა“ და „მალაიზია XI“-ის ამხანაგური შეხვედრის შემდეგ წამოიჭრა. მოგეხსენებათ, დასავლეთლონდონელები სეზონისწინა შეკრებას შორეულ აღმოსავლეთში ატარებენ და სპარინგ-პარტნიორებსაც იქ პოულობენ. კუალა ლუმპურში გამართული თამაში „ჩელსიმ“ 1:0 მოიგო, ტორესმა კი კვლავ ვერაფრით გამოიჩინა თავი. სტატისტიკა მეტყველებს, რომ იანვრის მერე ანუ რაც „ლივერპულიდან“ „სტემფორდ ბრიჯზე“ 50 მილიონ ფუნტად გადავიდა, ტორესმა 18 შეხვედრაში ერთადერთი გოლის გატანა მოახერხა, არადა, „ჩელსიმ“ ის სწორედ გოლებისთვის იყიდა. ვილაშ-ბოაშმა თქვა:

*„ხალხი ტორესს სტანჯავს, ის საშინელი ზეწოლის ქვეშ ჰყავთ, მე კი ასე არ მოვიქცევი. ტორესზე დროის ხარჯვას არ ვაპირებ. არ გეთანხმებით, რომ მას საკუთარი ძალების რწმენა აკლია. ყოველთვის, როდესაც ამ თავდამსხმელს გოლი ვერ გააქვს, მის შესახებ მეკითხებიან. კი ბატონო, ვიცი, რომ მასში „ჩელსიმ“ 50 მილიონი ფუნტი გადაიხადა, მაგრამ ჩემი მთავარი ამოცანა რომელიმე ინდივიდუმის ათამაშება კი არ არის, გუნდის ათამაშებაა. ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, ვინ გაიტანს. თან, ჯერჯერობით, სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრებს ვატარებთ, რომელთაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. „ჩელსიში“ ყველა ფეხბურთელი მონდომებით ვარჯიშობს, რათა კარგ ფორმაში იყოს და ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს. თერთმეტ კაცში მხოლოდ ის მოხვდება, ვინც ვარჯიშზე გამოიჩენს თავს“.*

ზემოთ ნახსენებ შეხვედრაში ტორესმა ორი დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. მეორე ტაიმში ვილაშ-ბოაშმა ის **დიდიე დროგბათი** შეცვალა. შეხვედრის ერთადერთი გოლი ასე გავიდა: დროგბამ ჯარიმა დაარტყა, ბურთს მეკარე მისწვდა, მაგრამ მისი მოგერიებული იქვე მოედანზე დავარდა და უკან შეძვრა... ყოველ შემთხვევაში მსაჯმა ჩათვალა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა. მსაჯი, ალბათ, მართალი იყო, თუმცა დროგბამ თქვა:

*„ჩვენ გაგვიმართლა რომ მოვიგეთ და... არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი დარტყმის მერე ბურთმა ხაზი გადაკვეთა“.*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რუნი: მინდა მესივით ძლიერი ვიყო

**უეინ რუნის** **ლიონელ მესის** დონეზე სურს თამაში. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 25 წლის ვარსკვლავი 24 წლის ბარსელონელს მაისის მიწურულს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეხვდა. გოლი ორივემ გაიტანა, თუმცა მესის გუნდმა 3:1 მოიგო და ტიტულსაც დაესაკუთრა. ახლა ინგლისელს გადაუწყვეტია ისე ითამაშოს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ისიც დაასახელონ, ხოლო „იუნაიტედმა“ კვლავ მოიპოვოს ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდო.

რუნიმ თქვა: *„მესი დიდი ფეხბურთელია, მან მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის ტიტული სამართლიანად მიიღო. ეს ის ტიტულია, რომლის მოპოვებაც განა მარტო ჩემი, ნებისმიერი ფეხბურთელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებ. მინდა მუდმივად კარგად ვთამაშობდე და ვიცი, რომ ზრდის შესაძლებლობა მაქვს. ყოველდღიურად თავს არ ვზოგავ, ძალიან ბევრს ვმუშაობ და როდესაც მიზანს მივაღწევ, ჩემთვისაც და კლუბისთვისაც ძალიან კარგი იქნება“.*

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბარსელონას“ ფინალი რუნისთვის რთული სეზონის ბოლო წერტილი გახლდათ. ამ შეხვედრას ცუდი სტარტის შემდეგ ევროპულ ფეხბურთში „იუნაიტედის“ ადგილი უნდა განესაზღვრა. პირადად რუნისაც დიდი ამბები გადახდა თავს. ჯერ იყო და „ოლდ ტრეფორდიდან“ გაქცევას ლამობდა. იმავდროულად ჰქონდა ოჯახური პრობლემებიც. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ახალი ხელშეკრულება გააფორმა, დამშვიდდა და სეზონის მეორე ნახევარში უკეთ ათამაშდა. საბოლოოდ, რუნიმ სეზონში 15 გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ დასასვენებლად მაინც უკმაყოფილო წავიდა - „იუნაიტედმა“ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში სამ წელიწადში მეორედ წააგო და ამ მარცხმა პირში მწარე გემო დაუტოვა. რუნი ამბობს:

*„მათ თავისებური სტილი აქვთ. ჩვენ სხვანაირები ვართ. „ბარსელონას“ ყაიდაზე თამაში ყველას კი არ შეუძლია. მათ ჩვენ აშკარად გვაჯობეს და დამსახურებულად მოიგეს ჩემპიონთა ლიგა, თუმცა, ეს უკვე წარსულია და, ახლა უკვე მომავალ სეზონზე ვფიქრობთ. რასაკვირველია, ფინალში გასვლაც, თავისთავად, დიდი მიღწევა იყო, მაგრამ დამარცხება, მაინც, ყოველთვის გულს გწყვეტს“.*

„იუნაიტედს“ გასულ სეზონში, პრემიერლიგაში ჰქონდა დიდი წარმატება - მეცხრამეტედ გახდა ინგლისის ჩემპიონი. ბევრჯერ დაგვიწერია, რომ ეს იყო რეკორდი - მანამდე, ინგლისში, ყველაზე ტიტულიანი გუნდი „ლივერპული“ გახლდათ. დიდ წარმატებაში ლომის წილი სწორედ რუნიმ და 23 წლის მექსიკელმა თავდამსხმელმა, **ხავიერ ერნანდესმა** შეიტანეს. წარმოშობით ლივერპულელი რუნი ამბობს:

*„ხავიერმა დიდებულად ითამაშა. დიდი იმედი მაქვს, რომ მე და მას მომავალში ყველაფერი კიდევ უკეთ გამოგვივა. ახლა მას დასვენება სჭირდება, რადგან მთელი ზაფხული შეჯიბრებებში გაატარა. ამის გამო ის შედარებით მოგვიანებით ჩაერთვება საქმეში, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს - აქ, თავდასხმაში, ორი, ხანდახან კი ერთი ადგილისთვის ჯანსაღი კონკურენციაა. თითოეულ ჩვენგანს უამრავი მუშაობა და კარგ ფორმაში ყოფნა სჭირდება. კონკურენცია იმდენად დიდია, რომ შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს სათადარიგოთა სკამზე დაგტოვონ. წამითაც არავის შეეცოდები. ეს დიმიტარ ბერბატოვმა საკუთარ თავზე გამოსცადა“.*



ბერბატოვის ხსენებაზე რუნის ჰკითხეს, დაწყდა თუ არა გული ბულგარელის გამო. 30 წლის ბერბატოვი ხომ დიდებულად თამაშობდა, მაგრამ მაინც სათადარიგოთა სკამზე დასვეს - ერნანდესი უფრო ძლიერიაო. რუნიმ უპასუხა:

*„პირადად მე მოედანზე ყოფნა მინდა და ამისათვის თავს არ დავზოგავ. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია. ბერბა, რასაკვირველია, ძლიერი ფორვარდია და ჩვენთვის დიდი საქმის გაკეთება შეუძლია. ფაქტია: გასულ სეზონში ის ჩვენი საუკეთესო ბომბარდირი იყო, 22 გოლი შეაგდო და ამ გოლებიდან, რამდენიმე გადამწყვეტი გახლდათ“.*

ერნანდესის, იმავე **ჩიჩარიტოს** გამოჩენამ რუნიზეც იმოქმედა - მას მოედნის სიღრმისკენ მოუხდა გადანაცვლება და ბურთთან უფრო ხშირი ურთიერთობა დასჭირდა. სწორედ ასე ათამაშა ის **ალექს ფერგიუსონმა** ამერიკულ ტურნეზე, „სიეტლ საუნდერსთან“ 7:0 მოგებულ ამხანაგურ შეხვედრაშიც. სხვათა შორის, რუნიმ მხოლოდ მეორე ტაიმი დაყო მოედანზე, მაგრამ ჰეთ-თრიკი შეასრულა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა სიეტლელთა თავკაც **სიგი შმიდს** ეთქვა, რაც მწვრთნელად ვმუშაობ, ასეთი კოშმარული დღე არ მქონიაო.

*„მანჩესტერელებმა დიდებული გოლები გაგვიტანეს, მაგრამ მე ჩვენსას ვდარდობ. მინდა ფანებს ბოდიში მოვუხადო“* - თქვა შმიდმა.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგიუსონი: დე ხეას ამბავი ჯერ გადასაწყვეტია

ხვალ ჩიკაგოში, მორიგ ამხანაგურ შეხვედრაში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარს მადრიდის „ატლეტიკოსგან“ თითქმის 21 მილიონ ევროდ ნაყიდი 20 წლის **დავიდ დე ხეა** დაიცავს. ეს ინგლისის ჩემპიონის მესამე შეხვედრა იქნება ამერიკულ ტურნეში. პირველ ორში „იუნაიტედის“ კარში 27 წლის დანიელი **ანდრეს ლინდეგარდი** და 21 წლის ინგლისელი **ბენ ამოსი** იდგნენ. მიმომხილველები წერენ, რომ ორივემ კარგად ითამაშა, ფერგიუსონმა კი დასძინა, რომ დე ხეასთვის მისი გუნდის მთავარი მეკარეობა ჯერ არავის მიუწოდებია. „იუნაიტედის“ შეფმა თქვა:

*„რასაკვირველია, არჩევანს უპირველეს ყოვლისა დე ხეაზე შევაჩერებ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდის დანარჩენი ორი მეკარე ფიქრობს, რომ ედვინ ვან დერ საარის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მათაც მიეცემათ „იუნაიტედის“ კარის დაცვის შანსი, ასე რომ, ჩემთვის საკითხი დახურული სულაც არ არის. ჩიკაგოში დე ხეას დავაყენებ, მაგრამ, სანამ საბოლოოო გადაწყვეტილებას მივიღებ, სამივეს კარგად დავაკვირდები. ჯერ ვნახოთ, როგორ მოერგება დე ხეა ახალ გუნდს“.*



ფერგიუსონმა მეკარეების თემის გარდა 24 წლის პორტუგალიელი გარემარბის, **ნანის** პერსპექტივაზეც ილაპარაკა. მოგეხსენებათ, გასული სეზონი ნანიმ შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ შემდეგ, 25 წლის ეკვადორელმა **ანტონიო ვალენსიამ** წაართვა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

*„ნანი მუდმივად ვითარდება - ბრძანა „იუნაიტედის“ შეფმა - მომავალ სეზონში ის შეიძლება ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთ წამყვან წევრად მოგვევლინოს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის სუპერთასი. შალკე-ბორუსია (დ)

# ეს თასი ვის სჭირდება? მთავარი პრესტიჟია!

## რურის დიდი დერბი სუპერთასზე: თასის მფლობელი შალკე ჩემპიონი ბორუსიას წინააღმდეგ



რურის დიდი დერბი დღეს გერმანიის სუპერთასის ველით გაიმართება

ჯერ სუპერთასი რა ოხრობაა და მით უმეტეს არაოფიციალურიო – გერმანიაში თასის მფლობელისა და ჩემპიონის დაპირისპირებას დასცინიან. მაგრამ ასეა თუ ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს გერმანიაში სეზონის პირველი ტიტული გათამაშდება. თუმცა მატჩის მონაწილეები დღევანდელ დაპირისპირებას ძალიან სერიოზულად უყურებენ – არა იმიტომ, რომ სუპერთასის მოგებაზე ოცნებობენ, არამედ იმის გამო, რომ სასწორზე პრესტიჟი დევს. არ შეიძლება, გამორიცხულია, რომ „შალკესა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ მატჩს სიმძაფრე აკლდეს. ისინი ხომ მოსისხლე მტრები არიან და ერთმანეთთან ყოველთვის ანგარიში აქვთ გასასწორებელი.

*„ჯერ ერთი, სუპერთასს ძალიან ბევრი ფული მოაქვს. მეორე: ვეთამაშებით „შალკეს“ და ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. და მესამეც: რაც არ უნდა იყოს, ერთმანეთს გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებიან. შესაბამისად, ყველას, ვინც ხელოვნურად ცდილობს ამ შეხვედრის მნიშვნელობის დაწევას, შემიძლია ვთქვა, რომ ბუნდესლიგა და ზოგადად ფეხბურთი არ ესმის,* - ეს დორტმუნდელთა გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, - *ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამ თამაშის მოსაგებად.“*

რურის დიდი დერბი ემოციურად ყოველთვის გადატვირთულია ხოლმე, ამ შემთხვევაში კი, მუხტი „შალკეს“ უფრო აქვს, რასაც გუნდის მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკიც** ადასტურებს – „დორტმუნდის“ დამარცხების სურვილი გერმანიის სუპერთასის მოგების სურვილზე გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი რამ არისო.

ესეც რომ არ იყოს, გასულ სეზონში „შალკე“ ჩემპიონ „დორტმუნდს“ 13 ადგილით ჩამორჩა, რაც გელზენკირხენული კლუბისთვის, მოსისხლე მტერ „ბორუსიასთან“ ბრძოლაში ისტორიული მარცხია. ამდენი ადგილით შალკელები დორტმუნდელებს ბუნდესლიგის ისტორიაში მანამდე მხოლოდ ერთხელ, 1965 წელს ჩამორჩნენ.

„პროფესორმა რალფმა“ კარგად იცის, რა მოეთხოვება. მისი ამოცანა ზედმეტად ძვირი და უმაქნისი „ვარსკვლავების“ თავიდან მოშორება და „ბორუსიას“ ახალგაზრდული სტილის კოპირებაა. რაც ყველაზე მთავარია, რანგნიკს მთელი გელზენკირხენი დერბის მოგებას ავალდებულებს. და მერე რა, რომ დღეს საქმე არც ქულებს ეხება და სუპერთასიც არ არის ისეთი ტიტული, რომლისთვისაც თავის მოკვლა ღირს – რანგნიკი ამბობს, „დორტმუნდთან“ ბრძოლაში სასწორზე ჩვენი პრესტიჟი დაიდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თამაშის მოსაგებად ყველაფერი უნდა გავაკეთოთო.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვერც რანგნიკი და ვერც „ბორუსიას“ თავკაცი **იურგენ კლოპი** ვერ მისცემენ თავს იმის უფლებას, რომ დღევანდელ დერბიში ექსპერიმენტებს მიმართონ.

*„60 000 მაყურებელი სტადიონზე იქნება, მის მიღმა კი მილიონობით ფანმა უნდა გვიყუროს. მართალია, სეზონის ბოლოს იმის თქმა, რომ გუნდმა თავისი საუკეთესო მატჩი სუპერთასზე აჩვენა, სასაცილო და არაფრისმთქმელია, მაგრამ რაკი ამ შემთხვევაში ჩვენი მეტოქე „შალკეა“, ეს ბრძოლა აუცილებლად უნდა მოვიგოთ,“* - ეს კლოპის სიტყვებია.

### დორტმუნდში ტრავმიანობაა

კლოპს საკადრო პრობლემები თავზესაყრელად აქვს და გარკვეულწილად ექსპერიმენტირება მაინც მოუწევს. იურგენი მიიჩნევს, რომ ზოგადად მისი გუნდი ახლა უფრო კარგადაა დაკომპლექტებული, ვიდრე შარშან იყო – მიუხედავად იმისა, რომ „ბორუსია“ **ნური შაჰინმა** დატოვა – მაგრამ ხუთი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა მაინც სერიოზული დანაკლისია.

მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** 99 პროცენტით ვერ ითამაშებს. კითხვის ნიშნის ქვეშაა **სვენ ბენდერის, მარიო გიოტცეს** და **კევინ გროსკროიტცის** ასპარეზობაც. დიდი შანსია, რომ მოედანზე გასვლა ვერც **ნევენ სუბოტიჩმა** შეძლოს – ამ უკანასკნელმა „ლიგა ტოტალის“ თასზე, „ჰამბურგთან“ მოგებულ ფინალში ტვინის შერყევა მიიღო.

„შალკესთვის“ დამატებითი მოტივაცია იქნება ფულიც – შემოსავლის 50 პროცენტს გამარჯვებული მიიღებს, დამარცხებულს კი 40 პროცენტი დარჩება. დანარჩენი ათი პროცენტი ორგანიზატორებისაა. ზუსტად არავინ იცის, რამდენია გერმანიის სუპერთასის შემოსავალი, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შეხვედრას 60 000 მაყურებელი დაესწრება და თანაც მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი 175 ქვეყანაში გადაიცემა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**შალკე (4-1-3-2):** ფერმანი – უჩიდა, პაპადოპულოსი, ჰიოვედესი, ფუხსი – მატიპი (ან კლუგე) – ბაუმიოჰანი, ჰოლტბი, დრაქსლერი – ჰუნტელაარი, რაული.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიუჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, ლიოვე – კელი, გიუნდოგანი – გიოტცე (ან ლაიტნერი), კაგავა, პერიშიჩი – ლევანდოვსკი.

ბაიერნი



არიენ რობენი

# არიენ რობენს ფალშსტარტის ეშინია

## დაცვის ხაზი ჯერ კიდევ არასტაბილურია

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა“ **რაფინიასა** და **ჟერომ ბოატენგის** სახით ორი მაღალი კლასის, ძვირადღირებული მცველი შეიძინა, რეკორდმაისტერს დაცვაში მაინც ძველი პრობლემები ემჩნევა. ამიტომაც შემოჰკრეს განგაშის ზარებს სპორტულმა დირექტორმა **კრისტიან ნერლინგერმა** და **არიენ რობენმა**. ჰოლანდიელი გარემარბი შიშობს, რომ მიუნხენური გრანდი სეზონს ფალშსტარტით დაიწყებს, მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** კი დაცვით და შემტევ ფეხბურთს შორის ოქროს ბალანსის პოვნას ცდილობს.

„ლიგა ტოტალის“ თასს „ბაიერნისთვის“ სპორტული თვალსაზრისით არაფერი მოუტანია. სხვამხრივ კი, მიუნხენური კლუბის მწვრთნელი და ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე 10 დღით ადრე (პირველ აგვისტოს გერმანიის თასის პირველი რაუნდი, „ბრაუნშვაიგთან“ მატჩია დაგეგმილი), „ბაიერნს“ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. ზემოთ ხსენებულმა ამხანაგურმა ტურნირმა ჰაინკესს ერთი დასკვნა გააკეთებინა: ორ მატჩში ოთხი გოლის გაშვება ნამეტანია! ეს იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნის“ დაცვის ხაზი ჯერ კიდევ არ არის სტაბილური.

პირველი საგანგაშო გასროლა სპორტულმა დირექტორმა კრისტიან ნერლინგერმა „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა: *„ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საქმეა. იმედი მაქვს, რომ „ბრაუნშვაიგთან“ მატჩამდე ყველაფერს მოვასწრებთ, მანამდე კი ბევრი რამ არის შესაცვლელი. გუნდის თამაში არცერთ ხელმძღვანელს არ მოგვეწონა!“* - თქვა ნერლინგერმა.

კრიტიკული განცხადებები უკვე გუნდიდანაც გაისმა. ხმა ამჯერადაც არიენ რობენმა აიმაღლა: *„ბალანსი არ შემდგარა, ისევ ქაოტურად ვუტევთ და ან თავს უაზროდ ვიცავთ. შარშან სეზონი ძალიან ცუდად დავიწყეთ. თუ გახსოვთ, შვიდი ტურის შემდეგ მხოლოდ რვა ქულა გვქონდა. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს!“* – ამბობს ჰოლანდიელი გარემარბი.

მიუხედავად იმისა, რომ რობენსაც სჯერა, ჰაინკესის გუნდი ახალ სეზონს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდება, მენეჯერი ნერლინგერი თითქმის დარწმუნებულია, რომ „ბაიერნს“ ჩემპიონობის მოპოვება ამ სეზონშიც არ გაუადვილდება.

ამბები

### დოლი საუდის არაბეთში წავიდა

გადაწყვეტილია, რომ გერმანელი მწვრთნელი თომას დოლი, რომელიც ბუნდესლიგაში ბოლოს დორტმუნდის „ბორუსიას“ და „ჰამბურგს“ წვრთნიდა, კარიერას საუდის არაბეთში გააგრძელებს, სადაც „ალ ჰილალს“ გაწვრთნის. კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაიწერა, რომ თომასმა კონტრაქტი დღეს უნდა გააფორმოს. „ალ ჰილალი“ საუდის არაბეთის სუპერგრანდია და ბოლოს ზედიზედ ორჯერ იყო ჩემპიონი.

### ჰილდებრანდი მანჩესტერ სიტიში?

გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე, ერთ დროს გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული ტიმო ჰილდებრანდი დღესდღეობით უმუშევარია. უახლესი ინფორმაციით, ტიმო შესაძლოა „მანჩესტერ სიტიში“ აიყვანონ. „ბილდის“ ცნობით, 32 წლის ჰილდებრანდი მანჩესტერშია და „სიტიში“ სინჯებს გადის. აღსანიშნავია ისიც, რომ „სიტის“ ჰილდებრანდი მეორე მეკარედ სჭირდება – პირველი ნომერი ჯო ჰარტია. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ „სიტის“ მწვრთნელი და ხელმძღვანელები ჰილდებრანდის შესახებ გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში მიიღებენ.

### მაგათი კმაყოფილია

„ვოლფსბურგის“ მენეჯერმა და მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა, რომელიც უკიდურესი სიმკაცრითაა ცნობილი, უჩვეულო სირბილე გამოიჩინა და სამკვირიანი მოსამზადებელი შეკრების შემდეგ, ფეხბურთელებს ორი დღე ასვენებს.

„ამ სამი კვირის განმავლობაში ძალიან ბევრი ვიშრომეთ და ვფიქრობ, კონდიციის თვალსაზრისით ძალიან კარგად ვართ მომზადებულები. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ფეხბურთელებმა ორდღიანი დასვენება დაიმსახურეს,“ - განაცხადა 57 წლის მაგათმა გუშინ.

„დესპოტი ფელიქსი“ იმასაც ამბობს, რომ სატრანსფერო ბაზარზე კიდევ სურს გააქტიურება და ამასთან, რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებასაც აპირებს. „რაღაც-რაღაცები კიდევ შეიცვლება. ერთი-ორ ფეხბურთელს კიდევ ვიყიდი და ამდენივესაც გავყიდი,“ - ამბობს მაგათი. წამსვლელთა სიაში ნომერ პირველი კანდიდატი ბრაზილიელი დიეგოა. შეკრებაზე მაგათს ყველაზე მეტად ჟოსუე და დიეგო ბენალიო მოეწონა – ორივე საუკეთესო ფორმაშია და სეზონის სტარტისთვისაც მზად არიანო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბარიგება

# ჰოფენჰაიმი ინტერს დაუმეგობრდება

„ჰოფენჰაიმი“ და მილანის „ინტერი“ სულ მალე აქტიური თანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ. ეს ინფორმაცია გუშინ გერმანული კლუბის მფლობელმა, მილიარდერმა მეცენატმა დიტმარ ჰოპმა დაადასტურა. 70 წლის ჰოპის თქმით, „ინტერი“ და „ჰოფენჰაიმი“ მომავალში კონცეფციებთან ერთად, ფეხბურთელებსაც გაცვლიან.

„ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ჰოფეს“ ბოსმა გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელ ჰოლგერ სტანისლავსკიზეც ისაუბრა და „ზანკტ პაულიდან“ გადაბირებული სპეციალისტი შეაქო. „სტანი ძალიან კარგად მუშაობს, პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ და ვხედავ, რომ უკვე ფანებსაც შეუყვარდათ. ჰოლგერმა იცის, როგორ უნდა მოექცეს ფეხბურთელებს,“ - განაცხადა ჰოპმა და იქვე დასძინა, მომავალ სეზონში შარშანდელზე გაცილებით უკეთესად უნდა ვიასპარეზოთო. „ჰოფენჰაიმის“ მფლობელი დარწმუნებულია იმაში, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონის ტიტულს დაიბრუნებს, თუმცა ფიქრობს, რომ რეკორდმაისტერის უმთავრესი კონკურენტი მოქმედი ჩემპიონი „დორტმუნდი“ იქნება.




ჰოფენჰაიმის ფლობელი დიტმარ ჰოპი

ამასობაში, „ჰოფენჰაიმმა“ სტადიონის სახელი გაყიდა და „რაინ ნეკარ არენას“ ამიერიდან სამი წლით „ვირსოლ რაინ ნეკარ არენა“ ეწოდება. თანხის ოდენობა არ დაკონკრეტებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონა

# ალექსის ბარსელონელი

## ტოკოპილიელი ალექსის სანჩესის აღზევება

„პირველი ჩილელი „ბარსელონაში", - იუწყება კატალონიური გრანდის ოფიციალური ვებგვერდი - მორჩა, გათავდა, **ალექსის სანჩესი** „ბარსელონაშია". 22 წლის ჩილელი ტალანტის სანაცვლოდ ესპანელებმა „უდინეზეს" 26 მილიონი ევრო გადაუხადეს, თუმცა ეს თანხა სხვადასხვა ვარიაციით კიდევ 11,5 მილიონი ევროთი გაიზრდება. ფეხბურთელი, რომელიც ახლახან კოპა ამერიკაზე ასპარეზობდა, ბარსელონაში დღეს ჩავა, ორშაბათს კი სამედიცინო შემოწმება და კონტრაქტზე ხელის მოწერის ცერემონიაა დაგეგმილი. ალექსის სანჩესი „ბარსაში" 5 წელი დარჩება.

ჩრდილოეთ ჩილეს პატარა სასპორტო ქალაქი ტოკოპილია ალექსის სანჩესის სამშობლოა. ადგილობრივ ინდიელთა ენიდან ესპანურზე ეს სახელწოდება ითარგმნება, როგორც „ელ რინკონ დელ დიაბლო" ანუ ეშმაკის კუთხე. ასე 7-8 წლის წინათ ტოკოპილიას ძველები ამბობდნენ, რომ მე-4 ქუჩის ბოლოში ერთი მეთევზის ბიჭი ცხოვრობს, მისი თამაშის ყურება კი ერთ რამედ ღირს, ის შორს წავაო - და მართლებიც იყვნენ. თუმცა ალბათ ისინიც ვერ წარმოიდგინდნენ, რა შორს წავიდოდა ალექსის სანჩესი, ჩილეური ფეხბურთის მომავალი, ახლა უკვე სრულუფლებიანი ბარსელონელი.

სანჩესმა **პეპ გვარდიოლას** ყველაფრის მპყრობელ, ელიტურ გუნდში თამაში აშკარად დაიმსახურა, საფუძველი ამ ყველაფერს კი სწორედ შორეულ სამხრეთ ამერიკაში ჩაუყარა. სანჩესმა ჯერ მათი გულები მოიგო ბრწყინვალე თამაშით. ბავშვობაში სანჩესი იმდენად ნიჭიერი იყო, რომ 13 წლის ასაკში ტოკოპილიას რეგიონალურ ჩემპიონატში წარადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანჩესის მშობლიურ ქალაქში ბეისბოლი და ფრენბურთი ფეხბურთზე პოპულარული სპორტის სახეობებია. ახალგაზრდულ ტურნირში (18-წლამდელებში) 13 წლის ბიჭმა 8 გოლი გაიტანა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩილეს ამ პროვინციის ყველაზე კარგ საფეხბურთო კლუბ „კორბელოას", ალექსისი ამ კლუბის 14-წლამდელებში ჩარიცხეს.

იქ მას დიდხანს ყოფნა რომ არ მოუწევდა, ცხადი იყო, ჩილეს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა (იმ დროს „კორბელოას" წვრთნიდა) ნელსონ აკოსტამ ტალანტი უმალ შეამჩნია და 2005 წლის თებერვალში მას ჩილეს ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა. მან სულ 13 წუთი ითამაშა, ალექსისი 16 წლისა და 2 თვის იყო.

იმავე წლის მარტში ალექსისმა „დეპორტეს კონსეპსიონის" წინააღმდეგ გოლი გაიტანა და მის აქტიურობას მეტოქის ავტოგოლი მოჰყვა, მატჩი „კორბელოამ" 2:1 მოიგო, ალექსის კი ხალხში „კორბელოას მხსნელის" სახელი შერჩა.

2005 წელს სრულიად ჩილემ მას „ელ ნინიო მარავილია" შეარქვა, რაც ქართულად საოცნებო ბიჭს ნიშნავს - ეს ბიჭიც სათანადოდ პასუხობდა ქომაგს, ჩემპიონატში ვარგოდა, ლიბერტადორესის თასზე ბრწყინავდა, სამხრეთ ამერიკის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ყოჩაღობდა...

ევროპული გრანდების რადარები გვიან ჩაირთო, ყველას „უდინეზემ" დაასწრო და 2006 წელს 3 მილიონი ევრო გადაუხადა „კორბელოას" მეთევზის ნიჭიერ ბიჭში, რათა ზუსტად 5 წლის შემდეგ ათმაგად გაეყიდა... მაშინ „უდინეზემ" „ბაიერნს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" აჯობა. იტალიურმა გუნდმა ნაყიდი სანჩესი ჩილეში დატოვა, „კოლო კოლოში" გაანათხოვრა.

„კოლო კოლოში" ალექსისის ტალანტი კიდევ უფრო გაიფურჩქნა, მან კარგად ითამაშა ჯერ სუდამერიკანას თასზე (სადაც „კოლო კოლო" ფინალში გავიდა), შემდეგ - ლიბერტადორესის თასზეც. სანჩესმა კონტინენტი უზადო ტექნიკითა და მებრძოლი ხასიათით მოაჯადოვა.

სწორედ მაშინ ჩილელთა დღევანდელმა თავკაცმა **კლაუდიო ბორგიმ** თქვა: *„თუკი სათანადოდ მოინდომებს და ბევრს იშრომებს, ის ფენომენი გახდება"*. ეს ფრაზა 2007 წლითაა დათარიღებული...

სანჩესის კარიერის შემდგომი ორი ეტაპი: იჯარა „რივერ პლეიტში" და თამაში „უდინეზეში" შედარებით ცნობილია და მათ არ შევეხებით.

ორშაბათს ალექსის სანჩესი პირველად მოირგებს „ბლაუგრანას" ფორმას და ეს მისი კარიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იქნება. არის ერთი მიზეზი, რომელიც ხსნის, თუ რატომ გაიძახდა მაის-ივნისში სანჩესი, რომ მხოლოდ „ბარსელონაში" გადავიდოდა - ორი თვის წინათ კიბოთი გარდაიცვალა **ხოსე დელაიგე**, მისი პირველი მწვრთნელი და „პაპიჩულე" (მამობილი), რომლის უკანასკნელი თხოვნა ყოფილა, თუ „ბარსელონაში" თამაშის შანსი რეალური იქნებოდა, ალექსისი მხოლოდ იქ გადასულიყო - შეგირდმა პირობა შეასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსის სანჩესი

პარი სენ-ჟერმენი



პსჟ-მა შეტევა საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელით გააძლიერა

# პარის მენეზი!

გუშინდელმა "პარიზიენმა" "რომადან" **ჟერემი მენეზის** "პარი სენ-ჟერმენში" გადასვლა ამცნო მსოფლიოს. "ჯალოროსი" თავდაპირველად 24 წლის განაპირა თავდამსხმელში 17 მილიონ ევროს ითხოვდა, თუმცა შემდეგ რომაელები მიხვდნენ, რომ ამ თანხას არავინ გადაიხდიდა და პარიზელთა მიერ შეთავაზებულ 8,5 მილიონს დასჯერდნენ. მთავარი პრეტენზია, რაც "რომას" ხელმძღვანელობას ფეხბურთელთან ჰქონდა, ეს დაბალი შედეგიანობა იყო. 2008 წლის შემდეგ ფეხბურთელს სერია A-ში სულ რაღაც 7 გოლი ჰქონდა გატანილი. პლუს, მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა კლუბის "ულტრასებთანაც".

მენეზის გადაბირების შემდეგ ალბათ აღარავის გაუკვირდება, თუკი გაცნობებთ, რომ "პარი სენ-ჟერმენმა" საბოლოოდ უთხრა უარი **ლუდოვიკ ჟიულის** თუნდაც ერთწლიან კონტრაქტზე. 35 წლის ფეხბურთელი შარშან "ლურჯ-წითლების" ძირითადის წევრი იყო, თუმცა ძველებურად ველარ ბრწყინავდა. "ევროსპორტის" ინფორმაციით, ფეხბურთელმა გუშინვე დაიწყო "მონაკოსთან" ერთად ვარჯიში და სავარაუდოდ კარიერასაც იქვე გააგრძელებს. ლუდოვიკს კარიერის საუკეთესო პერიოდი 1998/04 წლებში სწორედ "მონაკოში" აქვს გატარებული, ვისთან ერთადაც ის ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც კი გავიდა. ამას გარდა ის "ბარსელონაში" (2006 წელს "ბლაუგრანასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო), "ლიონსა" და "რომაშიც" თამაშობდა.

გუშინ "ბრესტმა" თავის ოფიციალურ საიტზე პსჟ-დან 21 წლის მარცხენა მცველის **ტრიპი მაკონდას** გადაბირების ფაქტი დაადასტურა. მხარეთა შორის 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. შარშან ფეხბურთელი პარიზელთა შემადგენლობაში მხოლოდ ხანდახან თუ ხვდებოდა ხოლმე. სულ კი მის ანგარიშზე 17 შეხვედრა იყო. პრესა წერს, რომ "ბრესტს" ფეხბურთელის შეძენა სულ რაღაც 500 ათასი ევრო დაუჯდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ახალი პორტუ

გუშინ "რიუ ავემ" "პორტუს" საკუთარ ეშტადიო "რიუ ავეზე" უმასპინძლა და 3:1 დამარცხდა. დუბლით გამოიჩინა თავი ჩემპიონთა ახალწვეულმა **კლებერმა**, ერთი გოლი კი **მოუტინიოს** ანგარიშზეა. მასპინძელთაგან ბურთი **ჯონ ტომასმა** გაიტანა. "პორტუმ" შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: *ბრაკალი – საპუნარუ, როლანდო, ფუსილე, ოტამენდი – ფერნანდო, მოუტინიო, რუბენი, ჯალმა – კლებერი, ვარელა.* შეცვლაზე შევიდნენ: *ბეტო, ფერნანდო, სოუზა, სერენო, მაიკონი, ედი, ბელუსკი, კასტრო, ვალტერი, კელვინი.* თუ შემადგენლობას თვალს გადაავლებთ, ფერნანდოს გვარი ორჯერ მოგხვდებათ თვალში. ნუ იფიქრებთ, რომ შეცდომაა, ფეხბურთელი მწვრთნელებმა გამოცვალეს, შემდეგ კი მინდორზე ისევ დააბრუნეს, რაც ამხანაგურ მატჩებში ნამდვილად არ არის გასაკვირი.

"რიუ ავესთან" მატჩის განაცხადში არ ყოფილა ბრაზილიელი **ჰალკი**. თავდამსხმელს მთავარმა მწვრთნელმა **ვიტორ პერეირამ** დასვენების საშუალება მისცა. *"მასთან ამ თემაზე სერიოზული საუბარი გვქონდა და გადავწყვიტეთ, ასე მოვქცეულიყავით. უკეთესი იქნება, თუკი ის ცოტა კიდევ დაისვენებს"*, - განაცხადა პერეირამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

## ბლინდი: სტეკე? არა ამ ფასად

"აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა **დანი ბლინდმა** განაცხადა, რომ თუკი "რომას" **მაარტენ სტეკელენბურგის** გადაბირება სურს, მას წინადადების გაუმჯობესება მართებს: *"ვადასტურებ, მოლაპარაკება დაწყებულია, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ჩვენ ველოდებით, შეცვლის თუ არა "რომა" შემოთავაზებას. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვინდა სტეკელენბურგთან განშორება და მას ხელშეკრულების გაგრძელებაც კი შევთავაზეთ, მაგრამ ფეხბურთელის სურვილს პატივს ვცემთ. სამაგიეროდ ღირსეულ კომპენსაციას ველოდებით, 5 მილიონ ევროს კი ამას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ"*.

## ფეიენოორდი დიდებული ვარიანტია

"ფეიენოორდის" ახალი მთავარი მწვრთნელი **რონალდ კუმანი** მშვენიერ ხასიათზეა. ის გამოტყდა, რომ მოხარული იყო, როცა როტერდამელები დაუკავშირდნენ და სახელოვანი კლუბის ჩაბარება შესთავაზეს. აი, რა განაცხადა ბრწყინვალე ჰოლანდიელმა: *"მე ერთი მიზანი მაქვს, გუნდს ძველებური სახელი უნდა აღვუდგინო. ფეხბურთელებთან და ხელმძღვანელობასთან ერთად მე ამ მიზანს მივაღწევ და მთელ მსოფლიოს ვაჩვენებ, რომ ამ გუნდს თამაში ბევრად მაღალ დონეზე შეუძლია, ვიდრე ბოლო წლებში ხდებოდა. იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტად მიმაჩნია, თუ რამხელა პატივია ჩემთვის აქ ყოფნა და სამწვრთნელო კარიერის "ფეიენოორდში" გაგრძელება"*.

## ლიონის გეგმა: ნდინგა

საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონებს ფინანსური პრობლემები აქვთ და ამას არც პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** მალავს. სწორედ ამიტომ იყო, რომ კლუბმა ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ანაზღაურებად ფეხბურთელ **ჟერემი ტულალანს** "მალაგაში" გადასვლის უფლება მისცა. ამით ხომ მათ სახელფასო ფონდი მნიშვნელოვნად შეამცირეს. ტულალანში აღებული თანხით კლუბს "ოსერიდან" კონგოელი ნახევარმცველის **დელვინ ნდინგას** შეძენა უნდაო, გვამცნობს "სქაი სპორტსი".

ინგლისურმა კლუბებმა გაიგეს თუ არა, რომ "ლიონს" ფინანსური პრობლემები აქვს, ამაზე "ხელის მოთბობა" გადაწყვიტეს და კლუბს **მირალემ პიანიჩის** ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. ცხრა მილიონი ევრო, აი ჯერჯერობით ყველაზე უხვი შეთავაზება. პიანიჩით "ასტონ ვილა" და "ტოტენჰემი" არიან დაინტერესებულნი. საქმეს ის ართულებს, რომ 21 წლის ბოსნიელს კონტრაქტი 2013 წელს უმთავრდება და "ლიონს" არ შეუძლია მისთვის გაუმჯობესებული ხელშეკრულების შეთავაზება.

## კაპელი სპორტინგში



დიეგო კაპელი

ესპანური "სევილიის" 23 წლის ნახევარმცველი **დიეგო კაპელი** ანდალუსიიდან საცხოვრებლად ლისაბონში გადავიდა და "სპორტინგთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. "სპორტინგს" ეს გარიგება 3,5 მილიონი ევრო დაუჯდა. კონტრაქტში გათვალისწინებულია მუხლი, რომ კონკრეტული რაოდენობის მატჩების ჩატარების შემთხვევაში "სევილია" დამატებით 1 მილიონ ევროს მიიღებს.

## იესტე ოლიმპიაკოსში

**ფრანსისკო იესტე** "ოლიმპიაკოსში" გადაბარგდა. 31 წლის ფეხბურთელი 19 წელი ირიცხებოდა "ბილბაოს" ჯერ აკადემიაში, შემდეგ ასაკობრივ გუნდებში, ბოლოს კი ძირითად გუნდშიც. ბასკთა ქვეყნიდან ის შარშან არაბეთის გაერთიანებული საამიროების "ალ ვასლში" სათამაშოდ წავიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, "პენსიონერების ლიგაში" ასპარეზობამ არ მოხიბლა და ისევ ევროპაში დაბრუნება მოინდომა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ქოპა ამერიკა 2011
ფინალის წინ

# დუბლ ვაი-ს ფინალი

## გახსოვდეთ ლარისა...

ასეთ ფინალს არავინ ელოდა, არც ასეთ კოპას - პირველად ისტორიაში ტოპ ოთხეულში ვერ მოხვდნენ არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები. სენსაციები კარგია, თუ მათ თან აუტსაიდერთა მოულოდნელი გაბრწყინებები ერთვის, მაგრამ, სიმართლე ვთქვათ - არგენტინაში მოულოდნელობები უფრო ფავორიტთა უნიათო თამაშის გამო ხდებოდა. სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ვარსკვლავთა სამჭედლო ტურნირმა მსოფლიოს ახალი სახელები ვერ მისცა. წარმოიდგინეთ, ახლებიდან ყველაზე იმედისმომცემი... კოსტარიკელი **ჯოელ კემპბელი** გვგონია. ეს კი კოპას კრიზისზე მიუთითებს. რითი დაამახსოვრდება საფეხბურთო სამყაროს წლევანდელი ტურნირი? არგენტინისა და ურუგვაის სუპერდერბის თუ არ ჩავთვლით, პოზიტიურს ბევრს ვერაფერს ჩამოვთვლით. ისე კი, კი ბატონო - ზემოთ ერთი უკვე ვახსენეთ, დავუმატებთ: ფინალში გავიდა გუნდი, რომელსაც 5 მატჩიდან ერთიც კი არ მოუგია, ბრაზილიის ნაკრებმა „მოახერხა“ და პენალტების სერიაში 4-დან 4 პენალტი ვერ გამოიყენა, არგენტინამ და ბრაზილიამ ჯამში ორი შეხვედრა მოიგეს და ასე შემდეგ...

მაშ ასე, ხვალ ბუენოს აირესის „მონუმენტალზე“ კოპა ამერიკას რიგით 43-ე გამარჯვებულის ვინაობა უნდა გაირკვეს - ერთმანეთს ურუგვაის და პარაგვაის ნაკრებები ხვდებიან. პირველად ფინალში ასეთი წყვილია. თუკი ურუგვაის ნაკრები მოიგებს, ის სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი გახდება - „სელესტემ“ კოპა აქამდე 14-ჯერ მოიგო (ამდენჯერვე მოგებული აქვს არგენტინას), პარაგვაი კი ტიტულს ორჯერ შესწვდა. ურუგვაელთა ტრიუმფი ბოლოს 1995 წელს მოხდა, პარაგვაელთა კი შორეულ 1979 წელს.

### გზა ფინალამდე

**ურუგვაი**

**ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-პერუ (სუარესი) | 1:1 |
| ურუგვაი-ჩილე (ა. პერეირა) | 1:1 |
| ურუგვაი-მექსიკა (ა. პერეირა) | 1:0 |
| **მეოთხედფინალი** | |
| ურუგვაი-არგენტინა (პერესი) | 1:1 (5:4) |
| **ნახევარფინალი** | |
| ურუგვაი-პერუ (სუარესი 2) | 2:0 |

**პარაგვაი**

**ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პარაგვაი-ეკვადორი | 0:0 |
| პარაგვაი-ბრაზილია (სანტა კრუსი, ვალდესი) | 2:2 |
| პარაგვაი-ვენესუელა (ალკარასი, ბარიოსი, რივეროსი) | 3:3 |
| **მეოთხედფინალი** | |
| პარაგვაი-ბრაზილია | 0:0 (2:0) |
| **ნახევარფინალი** | |
| პარაგვაი-ვენესუელა | 0:0 (5:3) |

ფინალს ბრაზილიელი არბიტრი **სალვიო ფაგუნდეში** განსჯის. სტადიონი კი, მოგეხსენებათ, არგენტინულია. აი, ამით ამოიწურება არგენტინისა და ბრაზილიის მონაწილეობა ფინალში. კოპას გამარჯვებული 2013 წლის კონფედერაციათა თასზე იასპარეზებს, რომელიც მუნდიალის გენერალური რეპეტიციაა და ბრაზილია უმასპინძლებს. ფინალში „სელესტეს“ რიცხობრივი უპირატესობა ექნება ტრიბუნებზე. მხოლოდ 6 ათასი ბილეთი მონტევიდეოში გაიყიდა, ბევრმა ურუგვაელმა კი ფინალის ბილეთი ბუენოს აირესშივე შეიძინა. პარაგვაის კი ლარისა რიკელმე და 2-3 ათასი ფანი თუ უგულშემატკივრებს. პარაგვაის დისკვალიფიცირებული ჰყავს მწვრთნელი **ხერარდო მარტინო**. პარაგვაელთა პრობლემები ამით არ ამოიწურება, მათ არ ეყოლებათ ფორვარდი **როკე სანტა კრუსი** და მცველი **აურელიანო ტორესი**. სამაგიეროდ, ურუგვაის ბანაკში ტრავმირებული **ედინსონ კავანიც** გამოჯანმრთელებულა და, შესაძლოა, ითამაშოს.

### ურუგვაი VS პარაგვაი (სტატისტიკა)

| ურუგვაი | | პარაგვაი |
|---|---|---|
| 1060 | ზუსტი პასი | 1447 |
| 217 | უზუსტო პასი | 223 |
| 22 | ზუსტი ჩაწოდება | 19 |
| 72 | უზუსტო ჩაწოდება | 74 |
| 92 | ზუსტი გრძელი პასი | 116 |
| 167 | უზუსტო გრძელი პასი | 209 |
| 33 | წარმატებული დრიბლინგი | 27 |
| 18 | წარუმატებელი დრიბლინგი | 15 |
| 107 | მოგებული ორთაბრძოლა | 162 |
| 25 | წაგებული ორთაბრძოლა | 38 |
| 25 | ზუსტი დარტყმა | 22 |
| 41 | უზუსტო დარტყმა | 29 |
| 108 | ჯარიმა | 85 |
| 99 | ჯარიმა (მათზე) | 89 |
| 139 | ბურთის მოპოვება | 201 |
| 9 | თამაშგარე | 17 |
| 227 | ბურთის ფლობა (წთ) | 251 |

**23 ივლისი. ლა პლატა. 23:00**

*მატჩი მე-3 ადგილისთვის*

**პერუ-ვენესუელა**

პერუ (სავარაუდო): ფერნანდესი, კარმონა, აკასიეტე, როდრიგესი, ვილჩესი, ბალბინი, იოტუნი, ბალონი, კრუსადო, გერერო, ადვინკულა.

ვენესუელა (სავარაუდო): ვეგა, როსალესი, რეი, ვისკარონდო, ჩიჩერო, ლუსენა, გონსალესი, რინკონი, არანგო, მიკუ, რონდონი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტრიბუნებზე ურუგვაელებს დიდი უპირატესობა ექნებათ

● ფეხბურთელების ცოლები

**კრისტენ პაზიკი**

**დაბადების თარიღი:** 1978 წლის 11 აგვისტო
**დაბადების ადგილი:** აშშ, მინესოტა
**სიმაღლე:** 180სმ
**პარამეტრები:** 88-60-90
**თვალის ფერი:** ღია მწვანე
**თმის ფერი:** ქერა
**არის:** უკრაინელი ფეხბურთელის, **ანდრეი შევჩენკოს** ცოლი - პოპულარული ამერიკელი მოდელი.



### კრისტენი და ანდრიუშა

პოლონური წარმოშობის ამერიკელი მოდელი **კრისტენ პაზიკი** პროფესიონალი ბეისბოლისტის **მაიკ პაზიკის** ქალიშვილია. მან მილანში, სამოდელო სფეროში მუშაობისას ცნობილი იტალიელი დიზაინერის, **ჯორჯო არმანის** მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ წვეულებაზე უკრაინელი ფეხბურთელი **ანდრეი შევჩენკო გაიცნო**. ანდრეისა და ამერიკელი მოდელის ორწლიანი ურთიერთობა 2004 წელს ვაშინგტონში, ვიწრო წრეში გამართული ქორწილით დაგვირგვინდა. მათ ორი ვაჟი - **ჯორდანი და კრისტიანი** შეეძინათ. ანდრეი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო კრისტენი - კათოლიკე.

### დედამთილის მომზადებული ბორში

რამდენიმე თვის წინ კრისტენმა უკრაინელ ჟურნალისტებს კიევში გადასვლით გამოწვეული კმაყოფილება გაუზიარა.

კრისტენ პაზიკი: *“მომწონს კიევი. აქ, ანდრეის ბევრი ნათესავი – ბიძები, დეიდები და მეგობრები - ჰყავს. მათთან ერთად თავს კარგად ვგრძნობ. უკრაინელები ლამაზი ხალხი არიან. სახლთან ახლოს ეკლესია გვაქვს და ბავშვები ეკლესიაში ხშირად დადიან, ესწრებიან წირვა-ლოცვებსა და სანთლებსაც სიამოვნებით ანთებენ. უკრაინულ ენას ბავშვები ნელ-ნელა ითვისებენ. აქვეა ის სკოლა, სადაც ანდრეი ბავშვობაში სწავლობდა. ძილის წინ ჯორდანი და კრისტიანი უკრაინულ იავნანას სიამოვნებით უსმენენ. უკრაინული სამზარეულოდან მეც და ბავშვებსაც ბორში განსაკუთრებით გვიყვარს. ჩემი დედამთილი მას ხშირად ამზადებს და საოცრად გემრიელია”.*

### გემოვნებიანი მამა

ბოლო რამდენიმე წელიწადია ანდრეი ჯორჯო არმანისთან მეგობრობს და მისივე შეკერილი ტანსაცმლით იმოსება.

კრისტენი: *“ანდრეის კარგი გემოვნება აქვს. ძირითადად კლასიკურად იცვამს და იხდენს კიდეც. თავის გარეგნობაზე ყოველთვის ზრუნავს, ცდილობს კარგად გამოიყურებოდეს. მისი სიკოხტავე მეც მსიამოვნებს. ბავშვების მიმართ საოცრად ყურადღებიანია. ცდილობს მათ ფეხბურთის თამაში ასწავლოს, მაგრამ პატარები არიან და რთულად ალიქვავენ. ერთი წლის წინ მესამე ბავშვზეც ვფიქრობდი. მინდა, გოგო გვყავდეს”.*

### ემოციური კრისტენი

კრისტენი: *“საკმაოდ ემოციური ვარ, თუმცა მისი გაკონტროლებაც შემიძლია. აქ, უკრაინაში რაც მაკლაი, ესაა ჩემი მშობლები, რომლებიც უზომოდ მენატრებიან.*

*იმისათვის რომ სილამაზე შევინარჩუნო ზომიერად მძინავს, ვჭამ ჯანსაღ საკვებს, ვვარჯიშობ, ვუვლი კანს, თმებს და ყოველთვის ვიღიმი. მიყვარს წიგნების კითხვა. განსაკუთრებით ისტორიის, ფილოსოფიისა და ხელოვნების სფეროდან. დიდი სურვილი მაქვს, ქველმოქმედებას მივყო ხელი, მით უმეტეს, რომ სამოდელო ბიზნესში ჩართვა კიევში ისე ხშირად აღარ მიწევს. ამ შემთხვევაში ოჯახი პირველ ადგილზე დადგა”.*

### ამერიკულ-უკრაინული კონფლიქტი

კრისტენი: *“ვიცი, რომ ლობანოვსკი “დინამოს” სული და გული იყო. ანდრეის ყოველთვის გვერდით ედგა, მისი მარჯვენა ხელი იყო. მიმაჩნია, რომ ჩემი ქმარი ძლიერი პიროვნება, პროფესიონალი ფეხბურთელი და უძლიერესი სულის მქონე ადამიანია. არ აქვს მნიშვნელობა თუ სად ითამაშებს, რადგან ჩვენს მომავალს ერთად ვგეგმავთ”*, - ეს სიტყვები კრისტენმა უკრაინელ ჟურნალისტს რამდენიმე თვის წინ გაანდო. დღეს კი ბევრს ჭორაობენ ანდრეისა და მისი მეუღლის განშორებაზე. კრისტენი მეუღლის პროფესიულ საქმიანობაში საკმაოდ ინტენსიურად ერთვება.

კრისტენის აქტიურობის შედეგად ახლო წარსულში ანდრეიმ „მილანი“ დატოვა და ლონდონში გადაბარგდა. ცოლქმარმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ *“ბავშვები წამოიზარდნენ. ლონდონში კი ინგლისურს უკეთ აითვისებენ”*. კრისტენის ლონდონური ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხანს ანდრეი ისევ “მილანს” დაუბრუნდა. კრისტენს არც ეს სიამოვნებდა, რასაც ვერ ვიტყვით ანდრეიზე.

ანდრეი: *“ეს საუკეთესო არჩევანი იყო ჩემთვის. აქ, მეგობრების გვერდით თავს უკეთ ვგრძნობ. ლონდონური ჭორებისგან შორს ვარ”.*

როდესაც ანდრეიმ ფეხბურთის სათამაშოდ მშობლიურ კიევს მიაშურა, ამერიკელ მოდელს არამც თუ მოეწონა, თავდაპირველად, ქმარს სამშობლოში არ გაჰყვა. იმასაც ამბობენ, რომ უკრაინელი ფორვარდი კრისტენის საქციელმა დაღალა და განქორწინებაზეც ალაპარაკდა.

**სალომე ხარატიშვილი**





რეგიონი

მშვილდოსნობა





# ველური ბაზა, ანუ სამოთხე სიცხეში SOS

## ვინ ემზადება ასეთ პირობებში?

ანგისას სტადიონზე მშვილდოსნებთან სტუმრობისას ბათუმში ისე ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა, ბაზაზე კი ისეთი სიგრილე დამხვდა, თითქოს სიცხე დედამიწაზე არც არსებობდა. სტადიონს ირგვლივ წიწვნარის ორრიგა მწკრივი აკრავს ვიწრო ბილიკით და სპორტსმენებსაც იქ შეეფარებინათ თავი - ერთი ფარი შუა ბილიკზე დაედგათ და ვარჯიშობდნენ, რადგან იმის იქით შეუძლებელი იყო გაჩერება - ჩრდილიდან როგორც კი თავს გაჰყოფდი, ზაფხულის მწველი მზე მყისვე ჩაგასობდა მცხუნვარე კლანჭებს, ხეების ჩრდილში კი სულ სხვა გარემო მეფობდა.

სამწუხაროდ, სიგრილე აქაურობის, როგორც სპორტული ბაზის ერთადერთი ღირსებაა - ალბათ, მსოფლიოში ვერ ნახავთ მეორე ნაკრებს, რომელიც ასეთ „ველურ" პირობებში ემზადება. ბაზის მთელი ავლა-დიდება ცოტათი თუ სცდება იმას, რაც ბუნებას მოუცია ვრცელი მინდვრისა, ევკალიპტებისა და წიწვნარის ჩათვლით -აქაურობის მთელი ინვენტარი ადგილობრივთა ძალებით შეკოწიწებული სამიოდე ფარია და ისიც იმდენად მოძველებული, ნებისმიერ ქვეყანაში დიდი ხნის წინათ მოისროდნენ სანაგვეზე. აქ, პირიქით, ყოველდღიურად აკოწიწებენ, ელოლიავებიან, რომ ღმერთი არ გაუწყრეთ, თორემ ფარების გარეშე დარჩებიან. იარაღის საწყობი, გასახდელი ან სხვა სახის დამხმარე ნაგებობები რომ მოვიკითხე, მიპასუხეს, ერთი ოთახი გვაქვს და ისაა გასახდელიც, საწყობიც, დასასვენებელ-მოსასვენებელიც და ყველაფერი, ოღონდ იმდენად პატარაა, ყველა ერთად ვერც ვეტევითო. მოგვიანებით ეს გრძელი და ვიწრო ოთახი მეც ვნახე და მას მართლაც ძნელად თუ ეთქმის ბაზა. ცხადია, აქ ლაპარაკიც არაა საშხაპეზე, საოცნებოა ტრენაჟორების დარბაზი, მასაჟ-ცენტრი, აუზი, სამედიცინო ოთახი...

ღია სასროლეთი აუცილებელია მშვილდოსნებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რაც ბუნებამ მოგვცა, იმას დავჯერდეთ და კეთილმოწყობაზე არ ვიფიქროთ. ის ფარები რომ არა, ვერც იფიქრებთ, აქ თუ სპორტული ბაზაა.

არადა, ეს ის ადგილია, სადაც თავის დროზე ქართული მშვილდოსნობის ერთ-ერთი აკვანი დაირწა და რომელმაც ძნელბედობის წლებში საქართველოს მშვილდოსნობა გადაურჩინა - ქვეყნის სხვა რეგიონებში ეს სახეობა, პრაქტიკულად ჩაკვდა. ადგილობრივთა ენთუზიაზმით მხოლოდ აქ შემორჩა და დღემდე აქვე ემზადება საქართველოს ქალთა ნაკრების ძირითადი ბირთვიც, რომელთა უმეტესობაც აჭარის წარმომადგენელია. სამწუხაროდ, მოუვლელობა მთელ სტადიონს ეტყობა - ბალახი გაუკრეჭავია, აშკარად ჩანს, რომ ბურთი აქ დიდი ხანია არ გაუგორებია არავის. იქაურობა საბალახოდაა ქცეული. ბადეებშემოფლეთილი საფეხბურთო თუ ეულად მდგარი სარაგბო კარის ძელები მიტოვებულობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებენ - აქ არც მორაგბე „დათვები" ტორავენ მეტოქეებს საჩემპიონოდ და არც ქართული ფეხბურთის საიმედო რეზერვი იზრდება. ახლა აქაურობას ძირითადად მშვილდოსნები აცოცხლებენ. ბუნებრივი პირობებით, იქაურობა მშვილდოსნებისთვის ზედგამოჭრილია. ზემოდასახელებული ბილიკის აღმოსავლეთით მომიჯნავე ეზომდე 30 მეტრამდე სიგანის მდელოა, რომელიც ხეების მწკრივით ორ, დაახლოებით 100-100 მეტრი სიგრძის სასროლეთადაა გატიხრული. ერთ-ერთ მათგანზე დგას ფარებიც, თუმცა საჭიროებისამებრ მათი გადატან-გადმოტანა პრობლემას არ წარმოადგენს. ვთქვათ, ერთ ადგილას თუ სიცხე შეაწუხებთ, შეუძლიათ ჩრდილში გადადგან, ან შეჯიბრებისას, სულაც საფეხბურთო მოედანზე გააქვთ. ეგ კი არა, რადგან ბათუმში დიდი თოვლი არ იცის, ზამთარშიც გარეთ ვარჯიშობენ მოკლე დისტანციებზე. თუმცა მშვილდოსნებს გულს ულრღნით ბოლო წლებში დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ სტადიონის რეკონსტრუქცია, ტრიბუნების მოწყობაა განზრახული და შესაძლოა, იქ მათი ადგილი არ აღმოჩნდეს. ამის საპირისპიროდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი **რევაზ ხარაზი** გვაიმედებს, რომ რეკონსტრუქცია სპორტის სხვა სახეობების შევიწროება-განდევნას არ ითვალისწინებს. პირიქით - სურთ, სტადიონი კომპლექსური ბაზა იყოს და იქ სხვებმაც ივარჯიშონ. საფეხბურთო მინდორს ტრიბუნებს თუ გაუკეთებენ და კეთილმოაწყობენ, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს. მით უფრო, ლაპარაკია მძლეოსნობის ბილიკების დაგებაზეც, მაგრამ, იმედია, იქ მშვილდოსნობისთვისაც მოიძებნება ადგილი, როგორც ტრადიციული სახეობისთვის.

მშვილდოსანთა კიდევ ერთი საწუხარი იარაღია. ამ მხრივ ნაკრების წევრებს არა უჭირთ და არც ამბობენ საყვედურს, მაგრამ აი, სხვებისთვის კი ეს პრობლემაა. ინვენტარი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს, საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციამაც შეუძინათ 4 მშვილდი ბავშვებისთვის, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითაც ყიდულობენ (ძირითადად - ნახმარს, უცხოეთში), მაგრამ ეს მაინც არაა საკმარისი. ასე თუ ისე, ყველა სპორტსმენი დაკმაყოფილებულია, მაგრამ მაინც ისეთი ვითარებაა, ერთი მშვილდიც რომ გატყდეს ან დაზიანდეს, უკვე დეფიციტი შეიქმნება. ხარაზი ამ პრობლემის მოგვარებასაც დაგვპირდა - მისი სამსახური აპირებს, საგაისო ბიუჯეტში სპორტული ბაზების ინვენტარიზაციის ხარჯებიც ჩასვას.

სტადიონის ტერიტორიაზე არის რამდენიმე შენობა, სადაც მოკლე დარბაზებია, მაგრამ იქ ვარჯიში გაჭირვებისაა, ლამის მიტოვებულ შენობებში ელემენტარული ინფრასტრუქტურაც არაა, მხოლოდ ფარს თუ დადგამ და თავზე არ დაგაწვიმ-დაგათოვს. მწვრთნელებმა ერთი პატარა, დაახლოებით 4-5 მეტრი სიგრძის ოთახი მაჩვენეს, ზამთარში აქაც ვისვრითო. იქ მხოლოდ ხელს თუ გაავარჯიშებს მშვილდოსანი, სროლა რომ არ დაავიწყდეს, თორემ ეს ნამდვილად ვერ იქნება სრულფასოვანი წვრთნა. არაფერს ვამბობ გათბობაზე - შეშის ღუმელზე არიან დამოკიდებულნი. არადა, ამ პირობებში ნამზადები გოგოებისგან ოლიმპიადის ლიცენზიებს და წარმატებებს ველოდებით, რასაც ახერხებენ კიდეც. მაგალითად, წლეულს ევროპის ზამთრის ანუ დარბაზების პირველობა მოიგეს, წინა წლებში კი ამავე შეჯიბრებაზე ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს. წინა წლებში აქვე ემზადებოდა **ქრისტინე ესებუაც**, რომელიც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო **ხათუნა ნარიმანიძე** თავიდან ბოლომდე ამ ბაზაზეა დამოკიდებული. არადა, ის წლევანდელ მსოფლიოზე მერვე იყო, ერთხელ ამავე პირველობაზე მეხუთე ადგილიც მოიპოვა, პეკინის ოლიმპიადაზე კი საუკეთესო ევროპელი მშვილდოსანი გახდა.



ბაზაზე ჩემი სტუმრობისას მხოლოდ ახალგაზრდები ვარჯიშობდნენ, რადგან მსოფლიოს პირველობიდან დაბრუნებული ქალთა ნაკრების წევრები - ნარიმანიძე და **ასმათ დიასამიძე** ჯერ ისევ თბილისში იყვნენ. ვარჯიშს **თამაზ ფუტკარაძე, თემურ გორგოშაძე** და **გურამ ბასილაძე** ატარებდნენ. მოგვიანებით სპორტსმენებს ვაჟთა ნაკრების ლიდერი **ტარიელ ქადიძეც** შემოუერთდათ. მწვრთნელთა თქმით, კონტინგენტს კიდევ არა უშავს, თუმცა უკეთესიც იქნებოდა, ცოტა მეტი დაინტერესება რომ იყოს. ლაპარაკია ფინანსებზე - სხვა თუ არაფერი, სავარჯიშოდ ტრანსპორტის ფული ხომ მაინც სჭირდებათ! არადა, მოზარდებში დაინტერესება არის, მაგრამ როცა პერსპექტივას ვერ ხედავენ, ინტერესიც უქრებათ. სასურველია, ნაკრებში მოხვედრის სისტემაც უფრო დაიხვეწოს და იმატოს შეჯიბრებათა რაოდენობამაც, განსაკუთრებით - ბავშვთა შორის. თუმცა, ეს უკვე ზოგადად საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის მოსაგვარებელი პრობლემაა, ბაზას კი ერთობლივად უნდა მიხედონ ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

**ირაკლი თავაძე**

**„ლელოს" სპეც. კორ.**

---

წყალხტომა

## ვერ იუოჩალეს

შანხაიში სანცურაო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე წყალმხტომელებმა გუშინ ასპარეზობა დაამთავრეს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში. შეჯიბრების 52 მონაწილეს შორის ძალებს ცდიდნენ **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი**, რომლებმაც სინქრონულ ხტომებში მე-12 ადგილი დაიკავეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჭოლამ 356.45 ქულას მოუყარა თავი და 36-ე ადგილით დაკმაყოფილდა, შოთამ 313.50 ქულით 44-ე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი ჩინელმა **ჩონ პიმ** (554.30 ქულა) მოიპოვა. გამარჯვებულს 45.35 ქულით ჩამორჩა რუსი **ილია ზახაროვი**. 493.55 ქულით მესამე იყო **ევგენი კუზნეცოვი** (რუსეთი). ჩინელ **კაი ქინს**, რომელიც საკვალიფიკაციოში 504.75 ქულით პირველი იყო, საბოლოოდ მე-4 ადგილი (481.91) ერგო.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

## მხოლოდ სამი

ჩინურ ხანჩჟოუში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა წრიული სუპერტურნირი, რომელშიც უმაღლესი რეიტინგის მქონე 10 მანდილოსანი ეცილება ერთმანეთს პირველობას. გათამაშების ლიდერს ჩინელ **იუ ვენძიუნს** მთავარი პრიზის მოსაპოვებლად დღეს ყაიმიც ჰყოფნის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ უახლოესი მდევრები — **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი) და **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი) წარმატებას მიაღწევენ. მათი წაგორხილების შემთხვევაში იუს ნაგებაც ხელს აძლევს. თუმცა, ერთნაირი ქულების შემთხვევაში გადამწყვეტ სიტყვას კოეფიციენტი იტყვის.

გუშინ **მარი სებაგმა** (საფრანგეთი) **ანა ზატონსკიხს** (აშშ) აჯობა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა **ჟუ ჩენმა** (ყატარი) ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** დაამარცხა. დაზავდნენ: მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (ჩინეთი)-**ჟაო სიუ** (ჩინეთი), ჰარიკა დრონავალი-იუ ვენძიუნი, **ნანა ძაგნიძე**-ნადეჟდა კოსინცევა.

ბოლო ტურის წინ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: ვენძიუნი-6, ნ. კოსინცევა, დრონავალი-5-5, სებაგი-4,5, ჟაო სიუ, ჟუ ჩენი-4-4, ჰოუ იფანი-3,5, ტ. კოსინცევა, ძაგნიძე-3-3, ზატონსკიხი-2 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ტ. კოსინცევა-ძაგნიძე, ვენძიუნი-ჟუ ჩენი, ზატონსკიხი-დრონავალი, ჟაო-სიუ-სებაგი, ნ. კოსინცევა-ჰოუ იფანი.

**ვაჟა დანელია**

## სევანის ტბაზე ჯერ სიმშვიდეა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერი **ბაადურ ჯობავა** კარგა ხანია, საერთაშორისო სარბიელზე არ გამოჩენილა. და აი, გუშინ იგი კვლავ მიუჯდა 64-უჯრიან დაფას. „სევანის ტბა-2011" — ასე ჰქვია სომხეთის საჭადრაკო აკადემიისა და ამავე ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით ორგანიზებულ ტრადიციულ დიდოსტატურ ტურნირს, რომელშიც 5 ქვეყნის 10 წარმომადგენელი წრიული სისტემით იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის.

შეჯიბრების სტარტზე ხუთივე ორთაბრძოლა მშვიდობიანად დასრულდა. დაზავდნენ: **სერგეი ჟიგალკო** (ბელარუსი, 2689)-**ბაადურ ჯობავა** (საქართველო, 2713), **ავეტიკ გრიგორიანი** (სომხეთი, 2608)-**ზავენ ანდრიასიანი** (სომხეთი, 2616), **ილდარ ხაირულინი** (რუსეთი, 2649)-**ჰრანტ მელქუმიანი** (სომხეთი, 2600), **არმან პაშიკიანი** (სომხეთი, 2616)-**ტიგრან პეტროსიანი** (სომხეთი, 2636), **ჩჟოუ ძიანჩაო** (ჩინეთი, 2636)-**სამველ ტერ-საჰაკიანი** (სომხეთი, 2558).

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ანდრიასიანი-ტერ-საჰაკიანი, პეტროსიანი-ძიანჩაო, მელქუმიანი-პაშიკიანი, ჯობავა-ხაირულინი, გრიგორიანი-ჟიგალკო.

**ვაჟა დანელია**

ჰოკეი

# კავკასიის ლიგა რეალობად იქცა




საქართველოში ყინულის ჰოკეის გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, თუმცა წამოწყება წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი აღორძინება ენთუზიასტებმა 20 წლის შემდეგ სცადეს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ეს პროცესიც შეწყდა. 2001 წლიდან რეანიმაციას სათავეში ყოფილი ჰოკეისტები **დენის დავიდოვი** და **ლაშა ცაგარეიშვილი** ჩაუდგნენ თანამოაზრეებთან ერთად. 2004 წელს საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციაც დააფუძნეს, რომელიც 2009 წელს მსოფლიო ასოციაციის წევრი გახდა. შეიქმნა ოთხი კლუბი (თბილისის „რუხი მგლები", „ყინულის რაინდები", „ცეცხლოვანი ჯვაროსნები" და ბაკურიანის „მიმინო"), ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი, ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრები, რომელიც ორჯერ უკრაინაში იყო საწვრთნელ შეკრებაზე, იქვე საერთაშორისო ტურნირშიც გამოვიდა, 2008 წელს ბაკურიანში სომხეთის ნაკრების მონაწილეობით ბორჯომის თასი გათამაშდა, მომდევნო წელს კი ბათუმის თასზე სომხებთან ერთად კიევის „სოკოლის" ახალგაზრდულმა გუნდმაც იასპარეზა.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ დასახული მიზნისკენ და ახალი სიმაღლეების დალაშქვრასაც წინ არაფერი ედგა, მორწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა რომ არა: 2009 წელს დენის დავიდოვი და ლაშა ცაგარეიშვილი სომხეთის ყინულის ფედერაციის პრეზიდენტ კარენ ხაჩატრიანთან ერთად მსოფლიო ფედერაციის კონგრესზე ტუნისისკენ მიმავალნი ტრაგიკულად დაიღუპნენ. ქართული ჰოკეისთვის ეს დიდი დარტყმა იყო, მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ენთუზიასტების დაწყებული დიდი საქმე განაგრძეს. და აი, კვლავ გამოჩნდა

## შუქი გვირაბის ბოლოს

სულ მალე „კავკასიის ლიგა" შეიქმნება, რომელშიც საქართველოს და სომხეთის თითო და თურქეთის ორი გუნდი ითამაშებს. ოთხთა ტურნირი ექვს ეტაპად გაიმართება და თითოეულში მოასპარეზენი წრიული სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ ეტაპს დეკემბერში ერზრუმი უმასპინძლებს, სადაც ყინულის 5 სტანდარტული მოედანი აქვთ. საგულისხმოა, რომ ამ ქალაქში წლეულს 18-წლამდელ ჰოკეისტთა მსოფლიოს პირველობა გაიმართება.

„კავკასიის ლიგის" მეორე ეტაპის შეხვედრები ბათუმშია დაგეგმილი, სადაც, როგორც საქართველოს ყინულის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **სანდრო ვაშაკიძემ** გვითხრა, 1-ელ აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება გასაბერი ყინულის სახლი სტანდარტული მოედნითა (60X30 მ) და 2500 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნებით. წლის ბოლომდე კი მას მიუშენდება კაპიტალური ადმინისტრაციული შენობა გასახდელებით, საშხაპეებით, მწვრთნელთა და მსაჯთა ოთახებით.

— „კავკასიის ლიგის" კალენდარი აგვისტოს მეორე ნახევარში საბოლოოდ დაზუსტდება, — გვითხრა **სანდრო ვაშაკიძემ**. — 3 აგვისტოს თურქეთის ყინულის ფედერაცის ყრილობა გაიმართება, ახალ მესვეურებს აირჩევენ და სამმხრივი ხელშეკრულებაც გაფორმდება. შეჯიბრების დაწყებასაც წინ არაფერი უდგას. თბილისელებითა და ბაკურიანელებით დაკომპლექტებული ჩვენი გუნდი „ყინულის რაინდების" სახელწოდებით ჩაებმება ასპარეზობაში, რომელსაც ირაკლი ნატროშვილი გაწვრთნის. თბილისში ყინულის სახლის დაშლის შემდეგ მოთამაშეთა ერთი ნაწილი კი მიმოიფანტა, მაგრამ ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ და შეზღუდული დროით, მაგრამ მაინც ვვარჯიშობთ.

— **ინფრასტრუქტურისა და რესურსების თვალსაზრისით რა პერსპექტივა გაქვთ?**

— სამ ასაკობრივ ჯგუფში 60-მდე მოზარდი მეცადინეობს. ბევრად მეტი გვეყოლებოდა, პირობები რომ გვქონდეს. ინფრასტრუქტურა კი ისეთ რეგიონებში ვითარდება, სადაც ყინულის ტრადიციები არა აქვთ, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სახეობა დასავლეთ საქართველოშიც გაშლის ფრთებს. ზუგდიდში ჰოკეისტებს უარი გვითხრეს საწვრთნელად საათების გამოყოფაზე — ფიგურული მოციგურავეები ვარჯიშობენო. არადა, ამ რეგიონში უამრავი ენთუზიასტი გამოჩნდა და, ვფიქრობთ, ზუგდიდში ჰოკეისტთა ჯგუფის ჩამოყალიბება ახლო მომავლის საქმეა. ბათუმში კი ამ მხრივ მეტი შესაძლებლობებია ქალაქის მერიის ხელშეწყობითა და თანადგომით. „ლიგის" თამაშები ახალგაზრდების მეტ დაინტერესებას გამოიწვევს. ასე რომ, ქართულ ჰოკეის, რომელსაც თბილისსა და ბორჯომ-ბაკურიანში უამრავი გულშემატკივარი და მხარდამჭერი ჰყავს, განვითარების რეალური პერსპექტივა უჩნდება.

## ფინეთის საზაფხულო სკოლაში

ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას წესად აქვს, საწმყსოს წარმომადგენლები არდადეგებისას ერთად შეკრიბოს და სწავლება ჩაუტაროს. ამჯერად ბანაკი ფინურ ვიერუმაკიში დასცეს. საზაფხულო სკოლაში 50 ქვეყნის 400-მდე წარგზავნილმა მოიყარა თავი, მათ შორის — ექვსმა საქართველოდან. სხვადასხვა პროგრამით სწავლება გაიარეს სანდრო ვაშაკიძემ, მწვრთნელებმა — **ილია დავიდოვმა, მიხეილ ვედიაპინმა, ირაკლი ნატროშვილმა** და ახალგაზრდა ჰოკეისტებმა — **ანდრო თევზაძემ** და **სანდრო ონილმა.**

— ერთი კვირის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ, — ამბობს სანდრო ვაშაკიძე. — სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალები გვიტარებდნენ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. განსაკუთრებით საინტერესო იყო სემინარი „ისწავლე თამაში", რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ჩვენი მწვრთნელები და ახალგაზრდა ჰოკეისტები. ორგანიზატორებმა 1996 წელს დაბადებული სხვადასხვა ქვეყნის 160 მოთამაშე 8 გუნდში გაანაწილეს. დილით ვარჯიშები ჰქონდათ, საღამოობით — პაექრობები. თითოეულ გუნდს ჰყავდა ორი-ორი პროფესიონალი მწვრთნელი და მენეჯერი, ექიმი, მასაჟისტი, ანუ ყველაფერი ისე იყო, როგორც მსოფლიოს პირველობებისას. პრაქტიკულ მაგალითებზე ვსწავლობდით ყველაფერს. როგორც აღმოჩნდა, საწვრთნელ პროცესში,


ანდრო თევზაძე

თურმე, თვით ამერიკელებსაც ჰქონიათ ლაფსუსები და მათი აღმოფხვრის გზებიც გაგვაცნეს.

ფინური საზაფხულო სკოლა ჩვენთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ შევხვდი თურქეთის ჰოკეის წარმომადგენლებს და მათ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ „კავკასიის ლიგის" ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ მსოფლიოს ფედერაციის მესვეურებმა ჩვენი საქმიანობის შესახებ რომ შეიტყვეს, დამწყები ჰოკეისტებისთვის 100 მოთამაშეზე სრული აღჭურვილობა გვაჩუქეს, რომელსაც სულ მალე მივიღებთ.

## ანდრო და სანდრო

ისინი თანატოლები არიან — 15-15 წლისანი. ბიჭები ჰოკეიმ დაამეგობრა. ერთ გუნდში თამაშობენ და ფინეთშიც ერთად იყვნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ანდრო თევზაძე თბილისის 123-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა, სანდრო ონილი კი თბილისის ამერიკულ აკადემიაში სწავლობს.

— ბიჭებმა სერიოზული გამოცდილება მიიღეს, — გვითხრა სანდრო ვაშაკიძემ. — ისინი ხომ კანადელ, ამერიკელ, შვედ, ფინელ თანატოლებთან ერთად ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. ყველა ქვეყანას ამ ასაკის თითო საუკეთესო სპორტსმენი ჰყავდა ფინეთში გამოგზავნილი. ანდროც და სანდროც ცდილობდნენ, არაფრით ჩამორჩენოდნენ უცხოელებს. სანდროს გუნდმა შვიდიდან ექვსი შეხვედრა მოიგო, ანდრომ კი იმით გაგვახარა, რომ პირველსავე მატჩში გოლი გაიტანა.

**ანდრო თევზაძე:** შესანიშნავად იყო ბანაკი ორგანიზებული. ბევრ უცხოელს დავუმეგობრდით. განსაკუთრებით ის ყინული მომეწონა, რომელზეც ვვარჯიშობდით და ვთამაშობდით. ერთი-ორი ჩვენც რომ მოგვცა ასეთი...

**სანდრო ონილი:** შესანიშნავი სპეციალისტები გვამეცადინებდნენ. ყინულსა და მის გარეთ დღეში სამჯერ ვვარჯიშობდით. კარგი იყო ისიც, რომ ერთ გუნდში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ვიყავით, ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა, ინგლისურშიც გავიწაფეთ.

**ანდრო:** ფინეთში რომ ჩავედით, ნამგზავრები დიდხანს ველოდით მზის ჩასვლას, რომ დაგვეძინა. ის კი არ ჩადიოდა. შუაღამისას თვალის მოხუჭვა ძლივს მოვასწარით, რომ ისევ მზემ შემოიჭყიტა ფანჯრებში. ძლივს შევეჩვიეთ ფინურ თეთრ ღამეებს.

— **კერპი თუ გყავთ?**

**ანდრო:** ვიდეოზე ხშირად ვუყურებ წინა წლების საუკეთესო გუნდების შეხვედრებს. გრეცკი შეუდარებელია.

**სანდრო:** მე ალექსანდრ ოვეჩკინი მომწონს, „ვაშინგტონში" თამაშობს.

— **ჰოკეის გარდა, რა გიტაცებთ?**

**სანდრო:** თხილამურები. ზამთრობით ბაკურიანში სრიალით ვერთობი მეგობრებთან ერთად.

**ანდრო.** მე კი კრივზე დავდივარ. ფიზიკურ მომზადებაში მეხმარება.

— **რაზე ოცნებობთ?**

**ანდრო:** ისეთი პირობები შეგვიქმნან, რომ ჩვენმა თაობამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს.

**სანდრო:** ცხადია, არც მე ვიქნები წინაალმდეგი.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# ერთი ნაბიჯით...

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს დღეს, 20:30 საათზე ჩეხეთთან ნახევარფინალი ელის. ამ შეხვედრის მოგებული ევროპის 2012 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. თამაშისწინა ამბებზე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მცირე ინტერვიუში ილაპარაკა.

**- დანიასთან ტურნირის საუკეთესო მატჩი ითამაშეთ - შედეგიდან ასე ჩანს...**

- შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ გამარჯვება დიდი მონდომების ხარჯზე მოვახერხეთ. ბულგარეთთანაც და დანიასთანაც სოლიდური სხვაობით მოვიგეთ, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მეტოქეთა გასატეხად მთელი ძალების მობილიზება დაგვჭირდა. დანიას გამართული დაცვის წყალობით ვაჯობეთ. ამასთან ერთად, ჩვენი გუნდის წევრები წარმატებით ესროდნენ, რაც წინა ხაზის აქტიურობის შედეგი იყო. პირველ ტაიმში დანიელებს მოხსნებში ვაჯობეთ, თუმცა მეორეში სტატისტიკა შეიცვალა. აღვნიშნავ, რომ ოქმში შეცდომები იყო, თორნიკე შენგელიას არაერთი მოხსნა დააკლეს, ასევე სხვებს...

**- ტურნირზე მეორე მატჩის შემდეგ ინტერვიუში თქვით: ჩვენს გუნდს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს და კიდევ მოუმატებსო...**

- ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს, გამოცდილებას კარგად ვიყენებთ და ყოველი მატჩიდან სწორი დასკვნები გამოგვაქვს.

**- წინა შეხვედრებთან შედარებით თორნიკე შენგელია 35-40 ქულას ველარ აგდებს...**

- მან დანიასთანაც დამაჯერებლად ითამაშა და 28 ქულაც მოაგროვა. თორნიკეს შედეგიანობამ ოდნავ იკლო, რაც ბუნებრივია. ყველამ გაიგო, რომ შენგელია ჩვენი გუნდის ლიდერია და განსაკუთრებულად მეურვეობენ. თითქმის ყოველთვის ორი კალათბურთელი იცავს, თორნიკეც გონივრულად იქცევა და გამოთავისუფლებულ თანაგუნდელს პასს არ უგვიანებს. მისმა შედეგიანმა გადაცემებმა იმატა, რასაც გუნდისთვის არანაკლები სარგებელი მოაქვს.

**- რას იტყვით ჩეხეთთან მომავალ დაპირისპირებაზე?**

- მთავარ მიზნამდე ერთი ნაბიჯი გვაკლია და ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა დივიზიონის საგზური მოვიპოვოთ. ჩეხეთი კარგი გუნდია, ჰყავს როგორც ტანმაღალი მოთამაშეები, ასევე დაბალანსებული უკანა ხაზი. საბრძოლველად ვემზადებით.

# ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა!

## ინტერვიუ ანატოლი ბოისასთან

**რუსეთთან მატჩი ისეთივე რიგითია, როგორიც დანარჩენ მეტოქეებთან.**

საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი თბილისში მოემზადა და 24 ივლისს, დილას ავსტრიაში გაფრინდება, სადაც მათ მთავარი მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი, ზაზა ფაჩულია, ვლადიმერ ბოისა, ტორინ გრინი და მარკიზ ჰეინსი შეუერთდებიან.

ნაკრების შეკრებასა და სამომავლო მიზნებზე ანატოლი ბოისა გვესაუბრება.

- თბილისში მყოფი საქართველოს ნაკრების კალათბურთელები 1 ივლისს შევიკრიბეთ და ფიზმომზადების მწვრნელის, ავთო ბერიძის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობთ. ვფიქრობ, კონდიციები გავიუმჯობესეთ და 24 ივლისის ოფიციალურ შეკრებას მომზადებულები ვხვდებით.

**- ითამაშეთ ამხანაგური მატჩი ახალგაზრდულ ნაკრებთან...**

- თამაში ჩვენც წაგვადგა და ახალგაზრდებსაც, თუმცა მაშინ ვარჯიში ახალი დაწყებული გვქონდა და მოუმზადებლები ვიყავით. 20-წელამდელებს მართლაც კარგი გუნდი ჰყავთ და იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სასურველ შედეგს მიაღწევენ.

**- ეროვნულ ნაკრებს 12 საკონტროლო მატჩის ჩატარება მოუწევს.**

- რაც მეტს ვითამაშებთ, მით უკეთესად შევთამაშდებით. მოსამზადებელი ციკლი კარგადაა დაგეგმილი და ვიმედოვნებ, ოფიციალურ შეხვედრებს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდებით.

**- ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი რა არის?**

- ექვსგუნდიანი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე სამი ნაკრები ითამაშებს. ჩვენი მიზანიც ჯგუფიდან გასვლაა. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ გუნდთან მოვიგებთ და რომელთან წავაგებთ – მთავარია მიზანს მივაღწიოთ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია პირველივე შეხვედრის მოგება: ბელგიელებთან მატჩს ჩვენთვის ასმაგი დატვირთვა აქვს. ამ გუნდთან შარშან ორივე შეხვედრა დავთმეთ და რევანში გვწყურია. ამასთან, უნდა ითქვას, რომ რეალურად ნამდვილად შეგვიძლია ბელგიის ძლევა.

**- ფავორიტებთან დაპირისპირებებზე რისი თქმა შეიძლება?**

- ბევრი ლაპარაკობს საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა დაპირისპირებაზე. თუ გულშემატკივრისთვის ეს იქნება ყველაზე პრინციპული მატჩი, ჩვენთვის, კალათბურთელებისთვის რიგითი ორთაბრძოლა უნდა იყოს – სპორტი სპორტია და თუ წარმატებაზე ვფიქრობთ, ბოლო შეტევამდე უნდა ვიბრძოლოთ. მნიშვნელობა არა აქვს მეტოქე რუსეთია, ბულგარეთი თუ ბელგია. არც ის შეიძლება, ტურნირის დასაწყისი კარგად ჩაატარო და შემდეგ მოუკლო. ბევრს გადაწყვეტს სტაბილურობა. საქმეს ისიც ართულებს, რომ ბელგიას, ბულგარეთს, საქართველოსა და უკრაინას ერთი გამსვლელი ადგილი გვრჩება (რუსეთი და სლოვენია ფავორიტები არიან და ძნელია, მათ საგზურის მოპოვებაში შეეცილო).

**- 7 ივლისს გაიმართა ევროჩელენჯის წილისყრა და გაირკვა „არმიის" მეტოქეები ჯგუფურ ეტაპზე...**

- „არმიის" მთავარი ამოცანა საშინაო მატჩების მოგება იქნება. შეხვედრებს მაქსიმალურად მობილიზებულები უნდა შევხვდეთ და გულშემატკივარი არ გავაწბილოთ. დარწმუნებული ვარ, დარბაზი პირამდე გაივსება. მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ შეცდომების რაოდენობა... რაც შეეხება გასვლით შეხვედრებს, მათი მოგების მხოლოდ ერთი გზაა - ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა! გვაქვს შანსი, დავამტკიცოთ, რომ ევროსარბიელზე ღირსეულად გამოსვლა შეგვიძლია.

**- მეტოქეების, ჰოლანდიური „ლეიდენისა" და გერმანული „გოტინგენის" შესახებ ინფორმაციებსაც გაეცნობოდი...**

- დღეს მოწინააღმდეგეთა შესახებ მსჯელობა რთულია, რადგან ისევე როგორც „არმია", სხვებიც სრულად არ არიან დაკომპლექტებულნი. როცა შემადგენლობები ჩამოყალიბდება, მერე შეგვეძლება მსჯელობაც და პლუს-მინუსების შეფასებაც.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ქართული სპორტი

**ჩოგბურთი**

# მსოფლიოს მესამე ჩოგანს 3 საათი ეომა

გუშინ **ანა ტატიშვილმა** (93) კიდევ ერთხელ დაგვაიმედა - 21 წლის ჩოგბურთელმა ბაქოს ცენტრალურ კორტზე მსოფლიოს მე-3 ჩოგან **ვერა ზვონარევას** 3-საათიანი ომი გაუმართა. და, ვინ იცის, ჩვენებურს მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, 220-ათასიან „ბაქოს თასზე" დიდი სენსაციაც გვეხილა. შეგახსენებთ, რომ ანა კარიერაში პირველად თამაშობდა ვტა-ს ტურნირის მეოთხედფინალში. ტატიშვილმა ერთი სეტი მოუგო კიდეც რუს ფავორიტს, რომელიც ბაქოში პირველ ნომრად არის განთესილი, თუმცა მესამეში ძალა აღარ ეყო - 5:7, 7:6 (4), 2:6. ჩვენებურმა 70 სარეიტინგო ქულა და 5,3 ათასი დოლარი მოიხვეჭა და ორშაბათს მოწინავე 80-ეულში მოხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



**სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი**

# დანავსული დღე

ნაგოიას ბაშოს მე-13 დღე ნავსიანი გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის - სამივე ჩვენებურმა წააგო, მაგრამ მხოლოდ თარს რიცხვს ვერ დავაბრალებთ მათ წარუმატებლობას, ივლისის ბაშოზე უკვე მესამედ მოხდა, რომ ქართულმა ტრიომ მარცხით დაასრულა დღე. ვაღიაროთ, ჩვენი რიკიშები სათანადოდ ვერ მომზადებულან სუპერტურნირისთვის.

**ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**, რომელიც კომუსუბის ტიტულს ემშვიდობება, **ტაკეკაძესთან** წააგო, ხოლო **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) - საგაცუკასასთან**. ელიტაში მოასპარეზე ორ ჩვენიანს 9-9 მარცხი დაუგროვდა. ნაგოიას ბაშოს ან ოძეკი **ჰარუმაფუჯი** მოიგებს (13-0) ან დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** (12-1), სხვებმა კი თეორიული შანსიც დაკარგეს, მათი დაპირისპირება დღეს შედგება. ასე რომ, იმპერატორის თასი კვლავ მონღოლეთში გაემგზავრება.

ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **კოკაის (ლევან ცაგურია)** 7-6 ბალანსი აქვს.

**XIII დღე:** ჰაკუჰო-კოტოოშუ (შიტატენაგე), ჰარუმაფუჯი-ბარუტო (კირიკაეში), ოკინოუმი-კოტოშოგიკუ (კოტენაგე), კისენოსატო-ამინიშიკი (ოშიდაში), კაკურიუ-ვაკაკოიუ (იორიკირი), ტოიონოშიმა-გოეიდო (კატასუკაში), ტაკეკაძე-**ტოჩინოშინი** (ცუკიოტოში), იოშიკაძე-კაისეი (შიტატენაგე), ტამავაში-კიოკუტენჰო (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-ვაკანოსატო (ჰატაკიკომი), არანი-დაიდო (უვატენაგე), ტოიოჰიბიკი-ტოკიტენკუ (ოშიდაში), საგაცუკასა-**გაგამარუ** (შიტატეჰინერი), შოტენრო-ტოჩიოძანი (კიმედაში), კიმურაიამა-მიაბიამა (ოშიდაში), ჰომაშო-ტაკაიასუ (იორიტაოში), ასასეკირიუ-ტაკარაფუჯი (იორიკირი), კიტატაიკი-ფუჯიაზუმა (იორიკირი), ტამაასუკა-ტაკამისაკარი (იორიკირი), ბუშუიამა-ტოჩინონადა (ოშიდაში). ძურიო: იომიაზუმა-**კოკაი** (აბისეტაოში).

**სატურნირო მდგომარეობა**

13-0: ჰარუმაფუჯი (ოძეკი).
12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
10-3: ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ჰომაშო (მაეგაშირა 9).
9-4: არანი (მ 6), ფუჯიაზუმა (მ 15)... 4-9: ტოჩინოშინი (კომუსუბი), გაგამარუ (მ 7).

**XIV დღე:** ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი, ბარუტო-კოტოოშუ, კისენოსატო-ოკინოუმი, კაკურიუ-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-ვაკანოსატო, ტოჩინოშინი - ამინიშიკი, ტამავაში-გოეიდო, იოშიკაძე-ვაკაკოიუ, ტოიონოშიმა -კაისეი, კიოკუტენჰო-გაგამარუ, არანი-ტაკაიასუ, ტოკიტენკუ-კიმურაიამა, მიაბიამა-ტოიოჰიბიკი, ტოჩიოძანი-ტაკამისაკარი, ასასეკირიუ-საგაცუკასა, ჰომაშო-ფუჯიაზუმა, ტაკარაფუჯი-შოტენრო, კიტატაიკი-დაიდო, ტოჩინოვაკა-ტამანოშიმა, ტოჩინონადა-მაცუტანი. ძურიო: კოკაი-სოტაირიუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






1992 წელი. ალბერვილი, საფრანგეთი. ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი

**თარიღი**
**23-29 ივლისი**

**23. 1972 წ.** „ტურ დე ფრანსი" ზედიზედ მეოთხედ მოიგო ბელგიელმაველომრბოლმა **ედი მერქსმა.**

**23. 1976 წ.** დაიბადა **იუდით პოლგარი** — ჭადრაკი (უნგრეთი).

**24. 1969 წ.** არმიაში სამსახურზე უარის გამო სუპერმძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე **მუჰამედ ალი** ამერიკის მართლმსაჯულებამ დამნაშავედ სცნო.

**24. 1971 წ.** დაიბადა **დინო ბაჯო** — ფეხბურთი (იტალია).

**25. 1992 წ.** ბარსელონაში გაიხსნა ზაფხულის XXV ოლიმპიური თამაშები.

**25. 1892 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ჰერტა" (გერმანია).

**26. 1953 წ.** დაიბადა **ფელიქს მაგათი** — ფეხბურთელი და მწვრთნელი (გერმანია).

**26. 2006 წ.** „ბარსელონას" პრეზიდენტობიდან გადადგა **ხუან ლაპორტა.**

**27. 1996 წ.** ატლანტის ოლიმპიადის მსვლელობისას ოლიმპიურ პარკში ბომბი აფეთქდა, ერთი ადამიანი დაიღუპა, 110 მძიმედ დაიჭრა.

**28. 1984 წ.** ლოს ანჯელესში (აშშ) გაიხსნა ზაფხულის XXIII ოლიმპიური თამაშები.

**28. 1943 წ.** დაიბადა **ბილ ბრედლი** — კალათბურთი.

**29. 1924 წ.** დიდი ბრიტანეთის არმიის მაიორმა **ვინგფილდმა** ტრანსპორტირებადი საჩოგბურთო კორტი დააპატენტა.

**29. 1948 წ.** განახლდა მეორე მსოფლიო ომის გამო შეწყვეტილი ოლიმპიური თამაშები. ამ დღეს ლონდონში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის XIV ოლიმპიადა.

**ვიქტორინა**

**ეძღვნება კოპა ამერიკას წლევანდელ გათამაშებას**

**1. რამდენჯერ ფლობდა კოპა ამერიკას ჩემპიონის ტიტულს პარაგვაის ნაკრები?**
ა — მხოლოდ ერთხელ, 1953 წელს
ბ — ორჯერ 1952 და 1963 წლებში
გ — არცერთხელ

**2. რომელი ქვეყნის გუნდი გავიდა არსებობის ისტორიაში პირველად კოპა ამერიკას ნახევარფინალში?**
ა — პარაგვაი
ბ — ჩილე
გ — ვენესუელა

**3. „გმადლობთ, ბიჭებო! ჩვენი ხალხი ამ სიხარულისთვის დიდ მადლობას გიძღვნით". რომელი ქვეყნის პრეზიდენტმა მიმართა კოპა ამერიკაზე ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ თავის ფეხბურთელებს?**
ა — ვენესუელის პრეზიდენტმა
ბ — პერუს პრეზიდენტმა
გ — ურუგვაის პრეზიდენტმა

**4. პარაგვაი-ვენესუელის მატჩში ჯგუფურ ეტაპზე ვინ დასახელდა საუკეთესო ფეხბურთელად?**
ა — რონდონი (ვენესუელა)
ბ — ალკარასი (პარაგვაი)
გ — ლუკას ბარიოსი (პარაგვაი)

**5. რომელ წელს ჩატარდა პირველად კოპა ამერიკას ტურნირი?**
ა — 1903 წელს
ბ — 1916 წელს
გ — 1932 წელს

პასუხები: 1-ა, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

**რეგიონული ასპარეზობები**

# თანამეგობრობის თამაშები





**თანამეგობრობის თამაშები.** კომპლექსური შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მონაწილეობენ ყოფილ ბრიტანეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების სპორტსმენები. პირველად გაიმართა 1930 წელს ბრიტანეთის იმპერიის თამაშების სახელით. 1954 წლიდან ეწოდებოდა ბრიტანეთის იმპერიისა და თანამეგობრობის თამაშები, 1970-იდან _ ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშები, 1978-იდან _ თანამეგობრობის თამაშები (Commonwealth Games). ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთი ირლანდია თამაშებში ცალ-ცალკე მონაწილეობენ, ისევე როგორც ბრიტანეთზე დამოკიდებული ტერიტორიები (მაგ. მენის კუნძული). იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ. ასპარეზობის პროგრამაში შეტანილია, როგორც ოლიმპიური, ისე არაოლიმპიური სახეობები (მაგ. ნეტბოლი, ლაუნ-ბოულზი და სხვ.).

ბრიტანეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების ერთობლივი თამაშების იდეა ეკუთვნის ემლი კუპერს, ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენელს. 1891 წელს მან გაზეთ „თაიმსის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში წამოაყენა წინადადება, რომ პანბრიტანულ-პანანგლიკანური ერთობის განსამტკიცებლად ოთხ წელიწადში ერთხელ სპორტული ფესტივალი გამართულიყო. 1911 წელს გეორგ V-ის კურთხევასთან დაკავშირებით ლონდონში მოეწყო სპორტული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრალია, კანადა, სამხრეთი აფრიკა და დიდი ბრიტანეთი (პროგრამაში იყო კრივი, ჭიდაობა, ცურვა და მძლეოსნობა). 1930 წელს ჰამილტონში (კანადა) ჩატარდა ბრიტანეთის იმპერიის პირველი თამაშები, რომლის ორგანიზატორიც იყო კანადელი ბობი რობინსონი. თანამეგობრობის ყველა თამაშებში მონაწილეობდნენ ავსტრალია, კანადა, ინგლისი, ახალი ზელანდია, შოტლანდია და უელსი.

**ბრიტანეთის იმპერიის თამაშები**

1930 _ ჰამილტონი, ონტარიო, კანადა
1934 _ ლონდონი, ინგლისი
1938 _ სიდნეი, ავსტრალია
1950 _ ოკლენდი, ახალი ზელანდია

**ბრიტანეთის იმპერიისა და თანამეგობრობის თამაშები**

1954 _ ვანკუვერი, ბრიტანეთის კოლუმბია, კანადა
1948 _ კარდიფი, უელსი
1962 _ პერთი, ავსტრალია
1966 _ კინგსტონი, იამაიკა

**ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშები**

1970 _ ედინბურგი, შოტლანდია
1974 _ კრაისტჩერჩი, ახალი ზელანდია
1978 წლიდან ტარდება თანამეგობრობის თამაშების სახელწოდებით.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ლეგენდარული ბრაზილიელი საფეხბურთო მწვრთნელი; 6. ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 7. "ფიორენტინას" მცველი; 9. "მანჩესტერ იუნაიტედის" ექსკაპიტანი; 10. ცნობილი ნიდერლანდელი ნახევარმცველი ედგარ ...; 11. "იუვენტუსის" თავდამსხმელი; 14. ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 15. "მილანი", ... ბერლუსკონი; 17. არგენტინა, ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი; 18. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 19. ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც ორჯერ აქვს მოგებული უეფას ჩემპიონთა ლიგა; 21. ხევსურეთში გავრცელებული დოლის სახეობა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად; 25. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, პატრიკ ... ; 26. ფეხბურთში: კუთხურის მოძველებული სახელწოდება; 28. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 31. ირლანდია, ფეხბურთი, "მანჩესტერ იუნაიტედი" დენის ...; 32. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი; 33. 2004 წლის, ზაფხულის ოლიმპიადა, ქალაქი.

**შვეულად:** 1. ბადმინტონის ბურთი; 2. საფრანგეთი, საფეხბურთო კლუბი; 3. "პორტუს" კოლუმბიელი თავდამსხმელი; 4. ნიჩბოსნობის ცენტრი აჭარაში; 5. ჭადრაკის ფიგურა; 6. ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მსაჯი; 8. გამოჩენილი ამერიკელი კალათბურთელი პატრიკ ...; 12. იხ. სურათი: მოსკოვის "სპარტაკის" ქართველი ნახევარმცველი; 13. ქალაქი, სადაც ფიფას შტაბ-ბინა მდებარეობს; 14. უიმბლდონი 2011-ის ტრიუმფატორი ... ჯოკოვიჩი; 16. "ბავარიის" ხორვატი თავდამსხმელი; 20. "ბარსელონასა" და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მცველი; 22. ნავის მოსასმელი; 23. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 24. ლეგენდარული ფრანგი ავტომრბოლელი; 27. ნეპალელი ალპინისტი, თენსინგ ... ; 29. რუმინეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 30. პელეს ტიტული ფეხბურთში.

**შეადგინა ლალი ქიქინაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმშენებლობა



# ქუთაისში რაგბის კომპლექსის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი

დღეს ქუთაისში, 27-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალი სარაგბო კომპლექსის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. ამ მიზნით ქუთაისში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი**, რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** და ვიცე-პრეზიდენტი **გია გორგასლიძე** იმყოფებოდნენ. კომპლექსის ბალავერში სიმბოლური „კაფსული" ლადო ვარძელაშვილმა, გიორგი ნიჟარაძემ, იმერეთის გუბერნატორმა **ლაშა მაქაცარიამ** და „აიას" მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** ჩაუშვეს.

პროექტის მიხედვით თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი კომპლექსი 8 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. აქ გაშენდება 4 სრული მოედანი (3 ბუნებრივი და 1 ხელოვნური საფარით), რაგბის აკადემია, სასტუმრო 52 ადგილზე, საერთო საცხოვრებელი, ფიტნეს დარბაზი, სასადილო, გასახდელები და ავტოსადგომი. სტადიონებს ირგვლივ 3000 და 1000-ადგილიანი ტრიბუნები ექნებათ. მშენებლობა ორ ეტაპად განხორციელდება და 2013 წლის ბოლოს დასრულდება.

გიორგი ნიჟარაძე: „ქუთაისი დიდი სარაგბო ტრადიციების მქონე ქალაქია. „აია" საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი იყო. ტრადიციები დღესაც გრძელდება და რიონისპირა ქალაქში რაგბი კიდევ უფრო რომ განვითარდეს, ჩვენი გადაწყვეტილებით აქ აშენდება საქართველოში ყველაზე დიდი სარაგბო კომპლექსი. პროექტისთვის მიწა სახელმწიფომ გამოგვიყო. კომპლექსს კი საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" აშენებს. ბოლოს და ბოლოს „აიასაც" ეღირსება საკუთარი სტადიონი. კომპლექსის დასრულების შემდეგ აქ რამდენიმე ათასი ბავშვი ივარჯიშებს. ამაზე დიდი ბედნიერება კი რა შეიძლება იყოს?

ლადო ვარძელაშვილი: „ქუთაისი ნამდვილად იმსახურებს, რომ აქ იყოს დიდი და საუკეთესო რაგბის სკოლა. ეს პროექტი ძალზედ მნიშვნელოვანია ქართული რაგბის გაძლიერებისთვის. გვაქვს რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც სპორტის ამ სახეობას სოლიდურ ფინანსურ დახმარებას ვუწევთ. პროგრამაში ჩართულია კერძო სექტორი, კერძოდ „ქართუ ბანკი, რომელიც ინფრასტრუქტურის მოწყობაში გვეხმარება და დაახლოებით ორ წელიწადში საქართველოში გვექნება 20 ახალი რაგბის სკოლა, მათ შორის კი ყველაზე დიდი ქუთაისში იქნება .

ბესიკ ხამაშურიძე: „საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი, ყველა ქუთაისელის ოცნება იყო, რომ „აიას საკუთარი მოედანი ჰქონოდა. შენდება არა მარტო სტადიონი, არამედ ბაზა და სასტუმრო. კომპლექსში შევა რაგბის აკადემია, რომლისთვისაც ბავშვები მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით შეირჩევა და აქ მხოლოდ საუკეთესოები მოხვდებიან. მინდა, წარმატება ვუსურვო ქუთაისურ რაგბის, ეს იქნება არა მარტო ერთი ქალაქის, არამედ მთლიანად ქართული რაგბის გამარჯვება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან




ტესტი

# მოლოდინი არ გამართლდა, ოლ ბლექსი უძლეველია

**ახალი ზელანდია-ფიჯი 60:14**

ახალი ზელანდია (15-9) მულიაინა, გილფორდი, კ.სმითი, ნონუ, სივივატუ (ბ.სმითი 50), სლედი (კარტერი 64), ქოუანი (ვიპუ 53). (1-8) კროკეტი (ფლინი 68), ჰორი (აფოა 66), ფრენქსი, ჰოეთა (ვაითლოქი 53), ვილიამსი, ტომსონი, მაკქოუ, მესამი (კაიონო 65).

8ლ: სივივატუ, ჰორი, სლედი, თომსონი, კ.სმითი, ვიპუ, საჯარიმო, მულიაინა. 7გ: სლედი (4), კარტერი (3). 2ს: სლედი.

ფიჯი (15-9) კერესონი, ნაგუსა (გონევა 55), ვულივული, ფატიაკი, ნალაგა, ბაიკეინუკუ, სრელევუ (ბუატავა 65). (1-8) მააფუ (სოვოსა 69), კოტო (ვეიკოსო 79), მანუ, კალუ, ნასიგა (დომოლაილაი 69), ვაკანიბუროტუ, ქერა (რავოლო 60), მატადიგო.

2ლ: სერელევუ, გონევა. 2გ: ბაიკენიკუ.

ერთი კვირის წინათ სამოას ნაკრებმა სენსაციური მარცხი აგემა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებს. ამიტომ ახალი ზელანდიისა და ფიჯის ნაკრებების გუშინდელ დაპირისპირებას ყველა დიდი ინტერსით მოელოდა. ყველა ფიქრობდა, რომ კიდევ ერთი სენსაცია თუ არ შედგებოდა, ფიჯელები მეტოქეს მედგარ წინააღმდეგობას მაინც გაუწევდნენ.

მოლოდინი არ გამართლდა. ახალი ზელანდიის ნაკრებმა, დანიდინში „ქარისბრუკზე" მეტოქეს რვა ლელო გაუტანა და საკმაოდ სოლიდური სხვაობით 60:14 დაამარცხა. „ოლ ბლექსის" უპირატესობა, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მგეზავის **დენ კარტერის** გარეშე თამაშობდა, პირველივე ნახევარში გამოიკვეთა. მასპინძლებმა ოთხი ლელო მიითვალეს, რომელთაგან ერთი ძირითად შემადგენლობაში პირველად მოთამაშე **კოლინ სლედის** ანგარიშზეა.

მეორე ტაიმში მოედანზე კარტერიც გამოჩნდა, მას ცხრა ნომერი **პირი ვიპუც** მიჰყვა და „ოლ ბლექსმა" კიდევ ოთხი ლელო დადო, თუმცა მეტოქესაც ორის გატანის საშუალება მისცა. ფიჯელთაგან თავი **ვერენიკი გონევამ** და **ნეემია სერელევუმ** გამოიჩინეს.

ერთი სიტყვით, ახალი ზელანდიის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შინ, მსოფლიოს თასის გათამაშებაში უმთავრესი ფავორიტია.

**ბესიკ ჯანგავაძე**


მაა ნონუ

სამი ერი

# ვოლაბები შელახული ღირსების აღდგენას ეცდებიან

ავსტრალიის ნაკრები დღეს, სიდნეიში სამი ერის გათამაშების პირველ მატჩში, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ვოლაბები" ერთი კვირის წინათ სამოას ნაკრებთან წაგების შემდეგ საკუთარი ქომაგების წინაშე ვალში არიან. მათ ხომ მეტოქეს, ფაქტობრივად, ისტორიული გამარჯვება აჩუქეს.

ავსტრალიელთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს, თუ სამოასთან წაგებას „ბოკესთან" წარუმატებლობაც მოჰყვა. არადა, აქაურებს ზე რაგბის გათამაშებაში ბრისბენის „რედსის" ტრიუმფის შემდეგ იმედი მიეცათ, რომ ორ თვეში, მსოფლიოს თასზე მათი სათაყვანებელი გუნდი ვებ ელისის თასისთვის რეალურად იბრძოლებს.

„ვოლაბები" მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდებიან. საეჭვო იყო მგეზავი **ქუადე კუპერის** თამაში, რომელსაც გრიპი შეეყარა, თუმცა გამოჯანმრთელება მოასწრო და ახლა მწყობრშია. ავსტრალიელთა თავკაცმა **რობი დინსმა** ძირითად განაცხადში არ შეიყვანა შუამარბი **მეთ გიტო**. რომელმაც, მისი აზრით, სამოასთან ძალიან სუსტად ითამაშა, თუმცა როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, გიტოს ჯერ კიდევ აქვს შანსი ვითარება გამოასწოროს და ახალ ზელანდიაში, მსოფლიოს თასზე საასპარეზოდ გაემგზავროს.

რაც შეეხება სამხრეთ აფრიკის ნაკრებს, მსოფლიოს თასის ამჟამინდელ მფლობელს პრობლემები გაცილებით მეტი აქვს. ამ დროისათვის სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები აქვს და მკურნალობს ეროვნული გუნდის 20 მორაგბე. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია და „ბოკეს" თავკაც **პიტერ დე ფილეირსს** შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა, საქმეში ახალგაზრდა, იმედის მომცემი მორაგბეები გამოსცადოს.

ავსტრალია: **15. კართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. პეტ მაკკები, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. სეკოპე კეპუ, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. რობ საიმონსი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოქოკი, 8. ბენ მაკკელმენი.**

სამხრეთ აფრიკა: **15. ხიო ეპლონი, 14. ბიორნ ბესონი, 13. იან დე იონგი, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ლუაზი მვოვო, 10. მორნი სტეინი, 9. რუნ პინარი. 1. დინ გრეილინგი, 2. ჯონ სმითი, 3. ვერნერ კრუხერი, 4. ფილიპ ფან დერ მერვე, 5. ალისტერ ჰარგრეივსი, 6. დეონ სტიგმანი, 7. დენი როსუ, 8. ეშლი ჯონსონი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

მსოფლიოს თასი

# იტალია მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნებობს

იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** გუნდის 30-კაციანი სია გააცხადა, რომლებიც ახალ ზელანდიაში, მსოფლიო თასზე იასპარეზებენ.

მალეტის სიაში მოხვდა იტალიელთა მესამეხაზელი **მაურო ბერგამასკო**, რომელსაც ტრავმის გამო წელიწადზე მეტი გაუცდა. „სკუადრა აძურას" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რვა ნომერი, არგენტინული წარმოშობის მორაგბე სერჯო პარისე უკაპიტნებს.

ყველაზე დიდი პრობლემა მალეტს, რომელსაც მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფრანგული „პერპინიანის" ყოფილი თავკაცი **ჟაკ ბრუნელი** შეცვლის, უკანა ხაზის მოთამაშეების არჩევისას შეექმნა. ტრავმის გამო ახალ ზელანდიაში ვერ ითამაშებს ძირითადი მგეზავი **კრეიგ გროვერი.** მალეტმა მის ნაცვლად **ლუჩანო ორკუერა** და **რიკარდო ბოჩინო** აირჩია.

*„ვფიქრობ, ორკუერა ამ პოზიციაზე ყველაზე ღირსეული კანდიდატია. საერთო ჯამში, ეს გუნდი, რომელიც მსოფლიოს თასზე იასპარეზებს, ოთხი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და დარწმუნებული ვარ, მეოთხედფინალში გასვლას შევძლებთ"* - თქვა ნიკ მალეტმა.

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურას" ჯგუფური ტურნირი არასდროს გადაულახავს. წლეულს საამისოდ მას ავსტრალიის, ირლანდიის, აშშ-ისა და რუსეთის ნაკრებების წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს.

იტალიის ნაკრები 13 აგვისტოს იაპონიის ეროვნულ გუნდთან გამართავს ტესტ მატჩს, ერთი კვირის თავზე კი ედინბურგში, „ბორჯღალოსნების" მეტოქეს, შოტლანდიას დაუპირისპირდება.

**იტალიის ნაკრები**

შერკინება: **მარტინ კასტროჯოვანი, ლორენცო ჩიტადინი, ალესანდრო ლო ჩიჩერო, სალვატორე პერუჯინი, ტომაზო დაპიკე, ლორენცო ჯილარდინი, ფაბიო ონგარო, მარკო ბორტოლამი, კარლო ანტონიო დელ ფავა, ქვენტინ გელდენჰაუზი, კორნელიუს ფან ზილი, რობერტო ბარბიერი, მაურო ბერგამასკო, პაულ დერბიშირი, სერჯო პარისე, ალესანდრო ძანი.**

უკანა ხაზი: **ტომაზო ბენვენუტი, მირკო ბერგამასკო, გონსალო კანალე, გონსალო გარისა, ანდრეა მასი, ლუკ მაკლინი, მატეო პრატიკეტი, ალბერტო სგარბი, ჯულიო ტონიოლატი, პაბლო კანავოზიო, ედუარდო გორი, ფედერიკო სემენცატო, ლუჩანო ორკუერა, რობერტო ბოჩინო.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ფორმულა 1. გერმანიის გრანპრი. პრაქტიკა

# ახალი უქმეები დაიწყო

ერთწლიანი შესვენების შემდეგ ფორმულა 1 ნიურბურგრინგზე დაბრუნდა. გერმანია პილოტებს ტრადიციული ღრუბლიანი ამინდითა და მაღალი ტენიანობით შეხვდა, თუმცა პრაქტიკის დროს წვიმა არ წამოსულა.

პირველ სესიაში **ნიკო ჰიულკენბერგმა პოლ დი რესტა** შეცვალა „ფორს ინდიას" საჭესთან, **ნარაიან კართიკეიანმა** HRT-ში **ვიტანტონიო ლიუცის** ადგილი დაიკავა, ხოლო **კარუნ ჩანდჰოკმა** მთელი უქმეები **იარნო ტრული** ჩაანაცვლა „ლოტუსის" რიგებში.

გუნდები ნიურბურგრინგს ბევრი ტექნიკური სიახლით ეწვივნენ, ასე რომ, საბურავების დამატებითი კომპლექტი, თუნდაც უცნობი მახასიათებლებით, მისწრება იყო მათთვის.

საუკეთესო შედეგები რბილი საბურავებით დაფიქსირდა. წრეზე საუკეთესო დრო **ფერნანდო ალონსოს** ჰქონდა.

ყველაზე საინტერესო ბოლო ათ წუთში მოხდა: **მიხაელ შუმახერისა** და **სებასტიან ბუემის** ტრასიდან გადავარდნა. გერმანელი იოლად გადაურჩა ამ ინციდენტს, ბუემის უფრო მეტი პრობლემა შეექმნა.

■ ■ ■

არც მეორე სესიის დროს წამოსულა წვიმა, რითაც გუნდებმა გააგრძელეს სიახლეებზე მუშაობა და თან საბურავების ორი შემადგენლობა შეამოწმეს ცვეთაზე. ტრადიციული „მედიუმისა" და „სოფტის" ნაცვლად გამოიყენებოდა ექსპერიმენტული რბილი შემადგენლობა, რისი წყალობითაც პილოტებმა უფრო დიდი დისტანცია გაიარეს, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აკეთებდნენ.

სესიის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ **დანიელ რიკარდომ** ტრასის მიღმა გააჩერა მანქანა - HRT-ს ძრავამ უმტყუნა. ბევრმა პილოტმა ვერ აიცილა თავიდან ტრასიდან გადავარდნა, თუმცა სერიოზული გართულებების გარეშე. **ჯენსონ ბატონმა** და სებასტიან ბუემიმ ვადაზე ადრე დაასრულეს სესია ტექნიკური პრობლემების გამო.

ამჯერად პრაქტიკა **მარკ უებერმა** მოიგო - მან მეათედ წამზე უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე პირველ სესიაში ალონსომ.

### I პრაქტიკა

1. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - 1:31.894
2. მარკ უებერი (რედ ბული) - +0.323
3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +0.374
4. ფელიპე მასა (ფერარი) - +0.787
5. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +1.102
6. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +1.734
7. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +1.893
8. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1.938
9. ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) - +1.964
10. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +1.969
11. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - ++2.200
12. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +3.221
13. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +3.477
14. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +3.495
15. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +3.550
16. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +4.477
17. ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +4.498
18. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +4.948
19. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +4.988
20. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +6.610
21. კარუნ ჩანდჰოკი (ლოტუსი) - +6.871
22. დანიელ რიკარდო (HRT) - +7.385
23. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +8.215
24. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +8.534

### II პრაქტიკა

1. მარკ უებერი (რედ ბული) - 1:31.711
2. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +0.168
3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +0.373
4. ფელიპე მასა (ფერარი) - +0.643
5. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +0.700
6. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +0.846
7. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +1.013
8. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +1.387
9. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +1.427
10. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1.500
11. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +1.514
12. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +1.588
13. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2.402
14. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +2.633
15. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +2.776
16. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +2.780
17. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +3.285
18. ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +4.042
19. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5.229
20. კარუნ ჩანდჰოკი (ლოტუსი) - +5.537
21. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +5.602
22. ვიტანტონიო ლიუცი (HRT) - +6.434
23. დანიელ რიკარდო (HRT) - +9.026
24. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - დროის გარეშე

● მძლეოსნობა

# ბოლტს მხოლოდ ოქრო აინტერესებს

სპრინტში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის წინ თავისი მიზნების შესახებ გამოაცხადა. ლეგენდარული იამაიკელის თქმით, მისთვის მთავარია 100 და 200 მეტრზე ტიტულების დაცვა, ხოლო ამ ეტაპზე მსოფლიოს რეკორდების დამყარება მეორეხარისხოვანია.

გარდა ამისა, ბოლო დროს გადატანილი ტრავმებიდან გამომდინარე, მსოფლიოს უსწრაფესმა ადამიანმა აღიარა, რომ ის შორს არის ოპტიმალური სპორტული ფორმისგან, რაც აისახება კიდეც მიმდინარე სეზონში ნაჩვენებ შედეგებზე.

● კრივი

# ახალი ტურნირი იქნება

მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) გადაწყვიტა ნახევრადმძიმე წონაში (79,4 კგ) ჩაატაროს ტურნირი, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის აუცილებელ პრეტენდენტს გამოავლენს.

პირველ ეტაპზე უკრაინელი მოკრივე **ისმაილ სილაჰი** ამერიკელ **კრის ჰენრის** შეხვდება, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფრანგი **ჟან პასკალი** კი უნგრელი **ზოლტ ერდეის** წინააღმდეგ გავა რინგზე. ამ ბრძოლებში გამარჯვებულები ფინალში გაარკვევენ აუცილებელი პრეტენდენტის ვინაობას, რომელიც ბოლოს ტიტულის ამჟამინდელ მფლობელს **ბერნარდ ჰოპკინსს** შეხვდება.

● ჩოგბურთი

# რაფა და ნოვაკი მექსიკაში

მსოფლიოს რეიტინგის ლიდერები - სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი** ამ შემოდგომაზე მექსიკაში ჩაატარებენ საჩვენებელ შეხვედრას. პროექტის სახელწოდებაა - El partido por la Paz და მისი მიზანია დაანახოს ყველას, რომ მეხიკო მშვიდი და უსაფრთხო ქალაქია.

მექსიკის ტურიზმის მინისტრმა **ალეხანდრო როხასმა** სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ უკვე ორივე ჩოგბურთელისგან მიიღო წინასწარი თანხმობა. ზუსტი თარიღის მოსაძებნად დრო არის საჭირო, რადგან რთულია ნადალისა და ჯოკოვიჩის კალენდარში თავისუფალი ფანჯრის მონახვა.

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი



შლეკს ყვითელი მაისურა უხდება

# ასეთი ტური დიდი ხანია არ გვინახავს

## კონტადორმა წააგო, ფრანგულ ველომარათონს ახალი ჩემპიონი ეყოლება

ყველამ კარგად მოდა, რომ ბოლო ორი ალპური ეტაპი გადამწყვეტი იქნებოდა წლევანდელ ტურში. მართალია, გენერალურ კლასიფიკაციაში ჯერ არაფერია გარკვეული, მაგრამ მე-18 ეტაპმა ბევრ კითხვას გასცა პასუხი. რაც მთავარია, ახლა თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ტურ დე ფრანსს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

ამ ეტაპზე ველომრბოლებს უმაღლესი კატეგორიის სირთულის სამი მთა უნდა გადაელახათ. აქედან ერთი - ანჟელი ტურის ისტორიაში ყველაზე მაღალია (2744 მეტრი). ასევე რთული უნდა ყოფილიყო ფინიში გალიბიეს მთაზე: 8.5 კილომეტრი აღმართი, რომლის დახრილობა ცხრა პროცენტს აღწევდა.

ყველაზე საინტერესო ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე დაიწყო, როცა მეორე მთაზე პელოტონს **ანდი შლეკმა** შეუტია და მთავარი ფავორიტებიდან ვერავინ გარისკა რეაგირება. რთული სათქმელია, როდის მოიფიქრეს ძმებმა შლეკებმა ეს ავანტიურული იერიში, მაგრამ ფაქტია, რომ უმცროსი ძმა ვა-ბანკზე წავიდა, უფროსი კი ძირითად ჯგუფში **ალბერტო კონტადორის** სადარაჯოდ დარჩა. სულ რაღაც ორი კილომეტრის შემდეგ ანდი უკვე წუთს უგებდა პელოტონს.

მეორე მთიდან დაშვებისას შლეკს პირველი გაქცევისას დაწინაურებული თანაგუნდელი **მაქსიმ მონფორტი** ელოდა. ანდი გაქცეულების ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდა და პარტნიორის დახმარებით უკვე ორწუთნახევრამდე გაზარდა პელოტონთან უპირატესობა.

გალიბიეს ძირში ანდი შლეკის ჯგუფი დაეწია წინ ეულად მიმავალ ლიდერ **მაქსიმ იგლინსკის**. „ლეოპარდის" წევრები წინ მარტო მუშაობდნენ, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, პელოტონთან უპირატესობა მხოლოდ იზრდებოდა. **კეიდელ ევანსის, ივან ბასოსა** და კონტადორის გრეგარები შეწყობილად ვერ მოქმედებდნენ, თავად კაპიტნები კი დროზე ადრე შეტევას ვერ რისკავდნენ. საბოლოოდ, ასეთი ტემპის გამო პელოტონს ჩამორჩენილებიც დაეწივნენ, ანდი შლეკი კი წინ თანდათან იშორებდა თანამგზავრებს და მალე მისმა უპირატესობა ოთხ წუთს გადააჭარბა.

ბოლო მთის დახრილობის ზრდასთან ერთად პელოტონის წევრები მიხვდნენ, რომ გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლა იყო საჭირო და წინ გავიდნენ ევანსი და კონტადორი. ავსტრალიელი კარგა ხანი მარტო „მიათრევდა" ტურის ჩემპიონსა და მთელ პელოტონს. მას არავინ ენაცვლებოდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კონტადორი უსინდისოდ იქცეოდა და ევანსს უმოწყალო ექსპლუატაციას უწევდა. მაგრამ მალე გაირკვა ყველაფერი - ალბერტოს ძალა არ ჰქონდა შლეკის შეტევის მოსაგერიებლად და ის მალე ჩრდილში წავიდა. დამხმარეების გარეშე დარჩენილი ევანსი კი დიდი გაჭირვებით ამცირებდა ანდისთან ჩამორჩენას.

პირველმა რბოლის რითმს **სამუელ სანჩესმა** ვერ გაუძლო. ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე კი თვით კონტადორიც ჩამორჩა. ბოლოსკენ ევანსს ბასო შეუერთდა და ამ დუეტმა ყვითელი მაისურა შეანარჩუნებინა **ტომას ვიოკლერს**. ამასობაში, **ფრანკ შლეკმა** შეუტია და ეს სამეული უკან ჩამოიტოვა, რითაც მან საერთო ჩათვლაში ევანსის გასწრება და მესამე ადგილზე გადასვლა შეძლო. ვიოკლერი ამ ჯგუფიდან ბოლო მივიდა ფინიშთან. ნახევრად გონწასულმა ფრანგმა მოასწრო წამზომის ნახვა, გახარებულმა ხელები ზემოთ აღმართა და შემდეგ ღონემიხდილი ასფალტზე დაეცა.

კონტადორი კი ფინიშზე სამი წუთისა და 5 წამის ჩამორჩენით მივიდა და შემდეგ აღიარა, რომ ასეთ სიტუაციაში ტურის მოგება შეუძლებელი იქნება.

■ ■ ■

გუშინდელი ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე მოკლე იყო ტურზე (109 კმ), მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე რთული. ველომრბოლებს უწევდათ გალიბიეზე კიდევ ერთხელ ასვლა, ხოლო ფინიში ლეგენდარულ ალპ დ'იუეზზე იყო დაგეგმილი.

თავდაპირველად იყო ტრადიციული გაქცევა ნაცნობი სახეებით - **ჯონი ჰოგერლანდი, ხუან ანტონიო ფლეჩა**, იგლინსკი, **კრისტოფ რიბლონი** და სხვები. მაგრამ, როგორც კი ველომრბოლები პირველ რთულ აღმართს შეუდგნენ, მთელი ყურადღება პელოტონზე გადავიდა. კონტადორმა ფინიშამდე 90 კილომეტრით ადრე დაიწყო შეტევა, რითაც ანდი შლეკის წინა დღის იერიშს უპასუხა. ესპანელს თავდაპირველად სწორედ ანდი გამოეკიდა, მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ევანსი და ვიოკლერი.

ამასობაში, ლიდერთა ჯგუფს ჩამოშორდა ევანსი, რომელსაც ველოსიპედი დაუზიანდა. მოგვიანებით ჩამორჩა ვიოკლერიც. კონტადორი და შლეკი კი გაქცეულებს დაეწივნენ და იქ მოკავშირეების ძებნა დაიწყეს, რათა საბოლოოდ გაქცეოდნენ კონკურენტებს.

ძალიან გაუჭირდა ყვითელი მაისურის მფლობელ ვიოკლერს. ის თანდათან კარგავდა ლიდერებთან შეერთების იმედს. გადამწყვეტი აღმართის წინ ფრანგის ჯგუფი პელოტონს შეუერთდა და შეიძლება ითქვას, რბოლა თავიდან დაიწყო, რადგან აქვე იყვნენ ფავორიტები. პირველი მთაში ფრანგული ველოსპორტის ამომავალი ვარსკვლავი **პიერ როლანი** გაიქცა, მაგრამ მისი აქტიურობა არაფრად ჩააგდეს გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებმა. პირველმა „ფეხი შეამოწმა" ევანსმა, მაგრამ ავსტრალიელის შეტევა სწრაფად დაიჭირეს შლეკებმა. თუმცა კონტადორის შემდეგი იერიში უპასუხოდ დარჩა. ესპანელმა სულ რაღაც ერთ კილომეტრში ნახევარი წუთი მოიგო და ლიდერებს დაეწია. ვერც როლანი, ვერც მისი მეწყვილე **ჰეშედალი** და პელოტონის სხვა წევრი ვერ უძლებდა კონტადორის ტემპს. თუმცა ფინიშამდე კიდევ 12 კილომეტრი რჩებოდა და ესპანელის შეტევა, შეიძლება ნაადრევი გამომდგარიყო.

კონტადორს ეტაპზე გამარჯვება თუ სურდა, გადამწყვეტი დარტყმა სადღაც შვიდი-რვა კილომეტრით ადრე უნდა განეხორციელებინა, მაგრამ მაქსიმალისტი ალბერტო ვა-ბანკზე წავიდა და ვინ იცის, გულის სიღრმეში, შესაძლოა, ყვითელ მაისურზეც ფიქრობდა. ბოლოს ასეთი ავანტიურა **მარკო პანტანის** გასული საუკუნის ბოლოს გამოუვიდა, მაგრამ მას შემდეგ ველოსპორტი ძალიან შეიცვალა. შესაძლოა, ტურის სამგზის ჩემპიონს მართლაც მოეგო პრესტიჟის ეტაპი, მაგრამ მას „საჩუქარი" გაუკეთა თანამემამულემ და მეგობარმა სამუელ სანჩესმა, რომელმაც ბოლო კილომეტრებზე მიუყვანა როლანი.

სანჩესს იმედი ჰქონდა, რომ თავისი საფირმო სპურტით ეტაპს მოიგებდა, მაგრამ ახალგაზრდა ფრანგმა ბრწყინვალე შეტევით ესპანელები უსაქმოდ დატოვა. როგორც ჩანს, საფრანგეთს მართლაც ეზრდება ვარსკვლავი, რომელიც დიდხნიანი შესვენების შემდეგ ქვეყანას ტიტულს დაუბრუნებს.

მდევართა ჯგუფი ბოლო კილომეტრებს მშვიდად გადიოდა, რადგან გრძნობდა, რომ კონტადორი ბევრს ვერ მოუგებდა. მხოლოდ ბოლო კილომეტრზე გააქტიურდა **დამიანო კუნეგო**, რომელსაც მხარი ევანსმა აუბა, შემდეგ კი შლეკები გადავიდნენ კონტრშეტევაზე. სპრინტი უკეთ ავსტრალიელს გამოუვიდა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუგო კონკურენტებს.

დღეს კი დროზე განცალკევებითი რბოლაა. ანდი შლეკსა და კეიდელ ევანსს შორის წუთზე ნაკლებია სხვაობა. თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში, სამი წლის წინ, ევანსმა ვერ გააბათილა წუთნახევრიანი სხვაობა **კარლოს სასტრესთან**, სამაგიეროდ, ყოველთვის უგებდა შლეკებს წუთზე მეტს. ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან საინტერესო ეტაპი გველის, სადაც ორივე პრეტენდენტს თანაბარი შანსი აქვთ. სხვათა შორის, უფროსი შლეკის ჩამოწერაც არ შეიძლება.

### XVIII ეტაპი

1. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - 6.07,56; 2. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,07; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,15; 4. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +2,18; 5. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +2,21; 6. **პიერ როლანი** (საფ, EUC) - +2,27; 7. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +2,33... 15. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +3,05... 18. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +4,42...

### XIX ეტაპი

1. **პიერ როლანი** (საფ, EUC) - 3.13,25; 2. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +0,14; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +0,23; 4. **პეტერ ველიტსი** (სლოვაკ, THR) - +0,57; 5. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 6. **ტომას დე გენტი** (ბელ, VCD) - იგივე დრო; 7. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო; 8. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 9. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 15. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +2,06... 20. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +3,22...

### საერთო ჩათვლა

1. ანდი შლეკი (ლუქ, LEO) - 82.48,43; 2. ფრანკ შლეკი (ლუქ, LEO) - +0,53; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრა, BMC) - +0,57; 4. ტომას ვიოკლერი (საფ, EUC) - +2,10; 5. დამიანო კუნეგო (იტა, LAM) - +3,31; 6. ალბერტო კონტადორი (ესპ, SBS) - +3,55; 7. სამუელ სანჩესი (ესპ, EUS) - +4,22; 8. ივან ბასო (იტა, LIQ) - +4,40...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოლიმპიზმი




# კორუფციით აშენებული ოლიმპიადა

### სოჭში ბიუჯეტის თანხებს იტაცებენ, მშენებლობებს კი შვიდი ადამიანი ემსხვერპლა

რუსეთში სკანდალით მიმდინარეობს სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება. 2011 წლის დასაწყისიდან დღემდე აღძრულია სისხლის სამართლის 50 საქმე, რომელიც ზამთრის თამაშებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის თანხების მითვისებას უკავშირდება. *„ზარალი დაახლოებით 38 მილიონ მანეთს უტოლდება“*, - ამბობენ კრასნოდარის მხარის პროკურატურაში.

სულ სამართალდამცავ ორგანოებში შევიდა 105 შეტყობინება დანაშაულებებზე, რომელიც ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესს უკავშირდება. აქედან 50 შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დარღვევების 60 პროცენტი სწორედ საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას უკავშირდება. ამასთან, 26 საქმეში სხვა ქალაქის წარმომადგენლები გადიან, რომლებიც დაკავებული იყვნენ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაზე.

ასევე, პროკურატურა აცხადებს, რომ ნახევარი წლის განმავლობაში საწარმოო ტრავმის შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა. პროკურატურამ სრულმასშტაბიანი შემოწმება ჩაატარა შრომის პირობების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ამ შემოწმების პერიოდში 74 ორგანიზაციის მოღვაწეობაში გამოვლენილი იქნა კანონმდებლობის 400 დარღვევა. ამის გამო პროკურატურამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ უამრავი საქმე აღძრა.

გარდა ამისა, პროკურატურის შემოწმებამ გამოავლინა დარღვევები სახელმწიფო მუნიციპალური დამკვეთების საქმიანობაში: თანხის გადახდა დაუმთავრებელი სამუშაოებისთვის, ფედერალური ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა, კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების არადროულად დასრულება...

# მერდოკს ოლიმპიადა წაართვეს

ტელეფონების მოსმენასთან დაკავშირებული სკანდალის გამო, ბრიტანეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კონტრაქტი გაწყვიტა **რუპერტ მერდოკის** ჰოლდინგ News International-თან. ამ ხელშეკრულების თანახმად, ავსტრალიელი მედიამაგნატის კორპორაციას 2012 წლის თამაშებზე ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების წევრთა ცხოვრებისა და ასპარეზობის გაშუქების ექსკლუზიური უფლება ჰქონდა.

ამ კონტრაქტის გაფორმების შესახებ 2011 წლის დასაწყისში საზოგადოებას **რებეკა ბრუქსმა** ამცნო, რომელიც მაშინ News International-ს ედგა სათავეში. *„ეს უნიკალური შეთანხმება ჩვენს გაზეთებს საშუალებას მისცემს ოლიმპიადის დღეებში მუდმივად ბრიტანელი სპორტსმენების გვერდით იყვნენ*, - განაცხადა მაშინ ბრუქსმა. - *ჩვენ შევძლებთ მხარი დავუჭიროთ გუნდს და მკითხველებს სრული ინფორმაცია მივაწოდოთ ოლიმპიელების ცხოვრების შესახებ“.*

შეთანხმების თანახმად, მერდოკის კორპორაციაში შემავალი გაზეთები - The Times, Sunday Times, Sun და News of the World წამყვან ბრიტანელ სპორტსმენებთან (ველომრბოლი **კრის ჰოი**, მოცურავე **რებეკა ედლინგტონი**, მძლეოსანი **ჯესიკა ენისი...**) ურთიერთობის ექსკლუზიურ უფლებას იღებდნენ. ამასთან, ჩამოთვლილ გამოცემებს მიენიჭებოდათ სტატუსი - „2012 წლის გუნდის ოფიციალური გაზეთი“.

მაგრამ ბრიტანელი მოქალაქეების ტელეფონების მოსმენასთან დაკავშირებული ხმაურიანი სკანდალის გამო მერდოკს სასწრაფოდ მოუწია გაზეთ News of the World-ის დახურვამ. ბრიტანეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ნაკრების პარტნიორი ოთხი გაზეთი იქნებოდა, მაგრამ ერთ-ერთის დახურვის შემდეგ თავად კონტრაქტი არალეგიტიმური გახდა, ამიტომაც ის გააუქმეს.




## კალათბურთი




# დირკ დირკი ევრობასკეტზე მიდის

**დირკ ნოვიცკიმ** და **კრის კამანმა** გამოაცხადეს, რომ ისინი ევრობასკეტზე გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ. ორივენი უახლოეს დღეებში შეუერთდებიან **დირკ ბაურმანის** გუნდს.

*„დიდი ხნის დასვენება არ გამოგვივიდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ ეროვნული გუნდისთვის დახმარება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვიყო. მოუთმენლად ველი თანაგუნდელებთან შეხვედრას“*, - განაცხადა დირკ ნოვიცკიმ.

■ ■ ■

ერთი კალათბურთელი დაკარგა თურქეთის ნაკრებმა - ბოლო ვარჯიშზე ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა „ეფეს პილსენის“ მძიმე ფორვარდმა **ქერემ გიონლუმმა**. ის დაახლოებით ნახევარი წელი ვერ შეძლებს თამაშს. შესაბამისად, თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ორჰიუნ ენე** ვერ იახლებს გიონლუმს ევრობასკეტზე.

გასულ სეზონში გიონლუმი თურქეთის ჩემპიონატში საშუალოდ 12.0 ქულასა და 7.0 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ლოკაუტის გამო, შესაძლოა, 2012 წელს NBA-ის „ყველა ვარსკვლავის მატჩი“ არ გაიმართოს.

როგორც ერთ-ერთი კლუბის მფლობელმა განაცხადა, საგაისო „ოლ სტარი“ საფრთხის ქვეშაა. სავარაუდოდ, მატჩი, რომელსაც 26 თებერვალს ორლანდომ უნდა უმასპინძლოს, გაუქმდება.

ანალიტიკოსები აანალიზებენ მფლობელის ამ სიტყვებს და აცხადებენ, რომ ლოკაუტი, როგორც მინიმუმ, მომავალი წლის თებერვლამდე გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მანიშა-ლიბერეცი | 1:2 |
| დენ ბოში-ვაალვიკი | 1:2 |
| მაასტრიხტი-სენტ ტრუიდენი | 3:0 |
| ომონია-კატანია | 1:2 |
| ოსასუნა-ეიბარი | 1:1 |
| ვეენდამი-ფეიენოორდი | 1:2 |
| მორეკამბი-დერბი | 1:1 |
| ბრენტფორდი-სტოკი | 1:0 |
| ქროული-კრ. პალასი | 0:0 |
| საუთენდი-იფსვიჩი | 1:1 |
| სელტა-ბრაგა | 2:1 |

#### გერმანია

##### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ფრანქფურტი | 1:0 |
| ინგოლშტადტი-აუე | 0:0 |
| დუისბურგი-კოტბუსი | 1:2 |

##### III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ჰაიდენჰაიმი-ოფენბახი | 2:1 |

#### საფრანგეთი

##### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ამიენი-ნიმი | 2:0 |
| ბულონი-სტრასბური | 3:0 |
| შატორუ-გრენობლი | 3:0 |
| გინგამი-ლავალი | 2:0 |
| ისტრი-ბასტია | 3:2 |
| ჰავრი-მეცი | 4:4 დ.დ. 5:4 |
| ლე მანი-არლი | 1:0 |
| ლანსი-კლერმონი | 3:0 |
| რეიმსი-ნანტი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| ტური-ანჟერსი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ვანი-ტრუა | 1:1 დ.დ. 2:1 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტარტი-მიოლდე | გადაიდო |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ვაასა-ინტერი | 3:3 |

#### ავსტრია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-ვენა | 2:1 |
| ჰარტბერგი-გრიოდიგი | 2:4 |
| სტ. პოლტენი-ლუშტენაუ | 3:0 |
| სტ. ანდრა-ბლაუ ვაისი | 3:2 |
| ლინცერი-ალტახი | 0:2 |

#### შვეიცარია

##### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| პრინსი-ბილი | 2:4 |
| ლუგანო-ბრული | 3:1 |

#### საბერძნეთი

##### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| დიაგორასი-დოქსა | 0:1 |
| ლევადია-ოფი | 0:1 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| დერი-დანდალკი | 0:0 |
| დროგედა-გალვეი | 1:0 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ლიმერიკი-მონეგანი | 0:2 |
| მერვუ-უოტერფორდი | 1:1 |
| შელბურნი-სოლტჰილი | 4:1 |
| უექსფორდი-ფინ ჰარპსი | 0:2 |

#### ჩეხეთი

##### სუპერთასი

| | |
|---|---|
| პლზენი-ბოლესლავი | 1:1 პენ. 4:2 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ტერეკი-რუბინი | 0:1 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| ზორია-ოლექსანდრია | 2:0 |
| დინამო-ობოლონი | 4:0 |

#### ხორვატია

| | |
|---|---|
| კარლოვაცი-ისტრა | 2:1 |
| ლუჩკო-ზადარი | 1:1 |
| ოსიეკი-რიეკა | 1:1 |
| სლავენი-ზაგრები | 1:0 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-დებრეცენი | 0:2 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| რაპიდი-ვასლუი | 3:0 |
| დინამო-ტარგუ | 1:0 |
| მოივენი-უნივერსიტატეა | 0:1 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| გომელი-ვიტებსკი | 2:2 |

##### ბელარუსის თასი

| | |
|---|---|
| გოროდეია-ბატე | 0:7 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| კლაიპედა-კაუნასი | 1:2 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ატლანტა

| | |
|---|---|
| ანდერსონი-**ფ. მიულერი** | 6:7, 6:7 |
| **ისნერი**-ლუ | 6:1, 6:2 |

#### ATP. ჰამბურგი

| | |
|---|---|
| **იუჟნი**-ჩილიჩი | 4:6, 6:3, 7:6 |
| მონფილსი-**სიმონი** | 4:6, 6:3, 0:6 |
| ფ. მაიერი-**ალმაგრო** | 6:7, 6:7 |
| **ვერდასკო**-მელცერი | 6:3, 2:6, 6:4 |

#### WTA. ბაქო

| | |
|---|---|
| **ვოსკობოევა**-პავლიუჩენკ. | 6:7, 6:4, 6:3 |
| კ. ბონდარენკო-**კორიტცევა** | 5:7, 4:6 |
| **პერვაკი**-რეზაი | 6:1, 6:2 |
| **ზვონარევა**-ტატიშვილი | 7:5, 6:7, 6:2 |

## TV პროგრამა

### 23 ივლისი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპის მიმოხილვა.
**10:30** კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. კოლუმბია-პერუ. არგენტინა.
**13:00** კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ჩილე-ვენესუელა. არგენტინა.
**15:00** კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
**17:00** ამხანაგური მატჩი. ფინალი. ტოტენჰემი-ორლანდო პაირეტსი (LIVE).
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**20:00** კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
**22:50** კოპა ამერიკა 2011. მე-3 ადგილისთვის. პერუ-ვენესუელა. არგენტინა (LIVE).
**01:00** ამხანაგური მატჩი. ფინალი. ტოტენჰემი-ორლანდო პაირეტსი.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. კაიზერ ჩიფსი-ორლანდო პაირეტსი.
**11:45** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ორლანდო-ნიუ იორკი.
**13:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**14:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**14:45** ჩოგბურთი ATP-ის ტური. მიმოხილვა. ჰამბურგი. გერმანია.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
**20:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ფინალი. ტულუზა-მონპელიე.
**22:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო გოიანენსე (LIVE).
**00:45** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ორლანდო-ნიუ იორკი.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:55** კოპა ამერიკა 2011. მე-3 ადგილისთვის. პერუ-ვენესუელა. არგენტინა (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**23:30** კალათბურთი. WNBA-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
**05:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ამირ ხანი-ზაბ ჯუდა. აშშ (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
**01:25** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო გოიანენსე (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**19:40** რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-ტომი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**15:00** ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).

#### SPORT+

**22:55** ფეხბურთი. კოპა ამერიკა 2011. მე-3 ადგილისთვის. პერუ-ვენესუელა. არგენტინა (LIVE).

#### EUROSPORT

**13:15** სანყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 3 მ. ქალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**15:55** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ირლანდია. რუმინეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-სერბეთი. რუმინეთი (LIVE).
**05:00** სანყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**13:30** სნუკერი. ავსტრალიის ღია პირველობა. ვიტორია. ავსტრალია (LIVE).
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია (LIVE).
**18:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია (LIVE).
**22:15** კალათბურთი. ამხანაგური მატჩი. სლოვენია-მაკედონია. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).
**00:00** ექსტრემალური სპორტი. Dew Tour. BMX. I დღე. იუშენ-სიტი. აშშ (LIVE).

### 24 ივლისი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. არგენტინა-ურუგვაი. არგენტინა.
**13:00** კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა.
**15:30** ამხანაგური მატჩი. ტაილანდი XI-ჩელსი (LIVE).
**17:30** კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
**19:30** კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
**22:15** პროგრამა - სპორტის ვარსკვლავები.
**22:50** კოპა ამერიკა 2011. ფინალი. ურუგვაი-პარაგვაი. არგენტინა (LIVE).
**01:00** ამხანაგური მატჩი. ტაილანდი XI-ჩელსი.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნაციონალი-სან პაულუ.
**11:45** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.
**14:15** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია.
**15:45** ჩოგბურთი ATP-ის ტური. მიმოხილვა. ჰამბურგი. გერმანია.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბელგია.
**22:00** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ყაზანი. რუსეთი.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.
**01:30** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:50** კოპა ამერიკა 2011. ფინალი. ურუგვაი-პარაგვაი. არგენტინა (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**23:30** კალათბურთი. WNBA-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
**05:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ამირ ხანი-ზაბ ჯუდა. აშშ (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

**17:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
**19:40** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-დინამო (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**16:10** რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-სპარტაკი (LIVE).
**18:30** რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ამკარი (LIVE).
**20:45** რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-ზენიტი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**16:00** ATP-ის ტური. ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).

#### SPORT+

**22:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი (LIVE).

#### EUROSPORT

**11:30** ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ნიურბურგრინგი. გერმანია (LIVE).
**12:00** სანყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 10 მ. კაცები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**13:45** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ჰოკენჰაიმი. გერმანია (LIVE).
**14:30** სანყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**16:25** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ეტაპი (LIVE).
**20:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (იუნიორები). ტალინი. ესტონეთი (LIVE).
**05:00** სანყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**13:30** სნუკერი. ავსტრალიის ღია პირველობა. ვიტორია. ავსტრალია (LIVE).
**14:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. II რბოლა. ზალცბურგი. ავსტრია (LIVE).
**15:00** სნუკერი. ავსტრალიის ღია პირველობა. ვიტორია. ავსტრალია (LIVE).
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია (LIVE).
**18:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. იტალია (LIVE).
**22:15** კალათბურთი. ამხანაგური მატჩი. სლოვენია-პოლონეთი. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).
**00:00** ექსტრემალური სპორტი. Dew Tour. BMX. II დღე. იუშენ-სიტი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვირის ბოლოს



ნოვაცია

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ჩოგბურთი

# ახლები მოდიან

ქალთა და მამაკაცთა ტურში მიმდინარე მოვლენებზე თვალის მიდევნება ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროფესიული ტური - ეს მსოფლიოს საჩოგბურთო პირამიდის მწვერვალია. ყოველ წელს იქ ასვლას ცდილობენ ახალგაზრდა ტალანტები. ვებგვერდი 10sballs.com შეეცადა ეპოვნა ახალი ვარსკვლავები ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) იუნიორთა რეიტინგში.

იუნიორთა ტური მთელი მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელებს საკუთარი ნიჭის წარმოჩენის უნიკალურ საშუალებას აძლევს. მაგალითად დღევანდელი ვარსკვლავების დასახელება შეიძლება - **როჯერ ფედერერმა** 1998 წელს იუნიორთა უიმბლდონი მოიგო, რაც მისი დიადი გამარჯვებების ერთგვარ რეპეტიციად იქცა. 2006 წელს გოგონათა შორის უიმბლდონზე **კაროლინ ვოზნიაცკიმ** გაიმარჯვა და ამით სერიოზული განაცხადი გააკეთა პროფესიულ ტურში ლიდერობისკენ.

დღეს იუნიორთა ჩოგბურთში თამაშობს რამდენიმე ამომავალი ვარსკვლავი - ბიჭები და გოგონები, რომლებსაც შეუძლიათ ტოპ-მოთამაშეები გახდნენ.

# ლიდერები ბიჭებში

ისე მოხდა, რომ ITF-ის იუნიორთა რეიტინგში პირველი სამი ადგილი ეკუთვნით წელს უკვე ჩატარებული „დიდი სლემის“ ტურნირების ჩემპიონებს.

ჩეხმა **ირჟი ვესელიმ** 2011 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. ვესელი ძალიან მრავალმხრივი მოთამაშეა და სრულიად სამართლიანად ლიდერობს ITF-ის კლასიფიკაციაში.

ავსტრალიელმა **ლიუკ სევილმა** მოიგო უიმბლდონი და ახლა რეიტინგში მეორე ადგილზე იმყოფება. საერთოდ, ინდივიდუალურ ჩათვლაში მას ვესელიზე მეტი ქულა აქვს, მაგრამ ITF-ის რეიტინგში ერთდროულად ითვალისწინებენ ერთეულთა და წყვილთა თანრიგში მოპოვებულ ქულებს და ჩეხი თავისი უნივერსალიზმის წყალობით უფრო მაღლა დგას. სხვათა შორის, ლიუკი პირველი ავსტრალიელია **ბერნარდ ტომიჩის** შემდეგ, ვინც „დიდი სლემის“ იუნიორთა ტურნირზე გაიმარჯვა.

დაბოლოს, რეიტინგში მესამე ადგილი ეკუთვნის ამერიკელ **ბიორნ ფრატანჯელოს** - როლან გაროსის იუნიორთა ტურნირის გამარჯვებულს. ბიორნმა ჩოგბურთის თამაში ოთხი წლის ასაკში მამის - **მარიო ფრატანჯელოს** მეცადინეობით დაიწყო. ეს თანამშრომლობა დღემდე გრძელდება. ამ მომენტისთვის ფრატანჯელომ ერთეულთა თანრიგში 23 მატჩი მოიგო და მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა. შემთხვევითი არ არის, რომ ის ამერიკული ჩოგბურთის მთავარი იმედია.

# შარიპოვა შარაპოვას კვალდაკვალ

უზბეკი **საბინა შარიპოვა** ჯერჯერობით მხოლოდ 63-ე ადგილს იკავებს ITFის კლასიფიკაციაში, მაგრამ მასზე ყურადღების შეჩერება მაინც ღირს. უკანა ხაზზე აგრესიული თამაშითა და ძლიერი მოწოდებით, საბინას „დიდი სლემის“ ტურნირების სამგზის ჩემპიონს **მარია შარაპოვას** ადარებენ. წელს შარიპოვას სტატისტიკა ერთეულებში 16 მოგებასა და 7 წაგებას უდრის. თუ ნიჭიერი უზბეკი ასეთი ტემპით გააგრძელებს პროგრესს, ვინ იცის, იქნებ სულ მალე ვიხილოთ შეხვედრა: შარაპოვა-შარიპოვა.

# ფედერერის მემკვიდრე

დღეს იუნიორ შვეიცარიელებს შორის საუკეთესოდ მიიჩნევა **დმიტრი ბრეტინგი**, რომელიც ATP-ის რეიტინგის საუკეთესო ორმოცდაათეულში მოხვედრაზე ოცნებობს. იუნიორთა ტურში ბრეტინგმა მთელი კარიერის განმავლობაში 62 მატჩი მოიგო და 24 წააგო. განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მან თავის საყვარელ საფარზე - გრუნტზე მიაღწია. რა თქმა უნდა, ფედერერამდე მას ბევრი უკლია, მაგრამ დმიტრის მართლაც შეუძლია გახდეს შვეიცარიული ჩოგბურთის ახალი ლიდერი.

# ლიდერები გოგონებში

**ან-სოფი მესტაში** პირველ ადგილს იკავებს ITF-ის რეიტინგში გოგონებს შორის. ნიჭიერმა ბელგიელმა ჩოგბურთელმა წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, სულ 20 მატჩში მხოლოდ ორჯერ დამარცხდა და იმედი აქვს, რომ ოდესღაც **კიმ კლაისტერსის** მემკვიდრე გახდება. მესტაში აგრესიული თამაშით არის გამორჩეული, უძლიერესი მოწოდება აქვს, განსაკუთრებით კარგად კი ჰარდსა და ბალახზე თამაშობს.



ან-სოფი მესტაში

მესტაშის შემდეგ რეიტინგში ორი რუსი მოდის - **დარია გავრილოვა** და **ირინა ხრომაჩოვა**, რომლებმაც ბოლო დროს კრიზისში შესული რუსული ჩოგბურთი უნდა გამოაცოცხლონ. მეოთხეზეა წლევანდელი უიმბლდონის ფინალში ხრომაჩოვას მძლეველი, ავსტრალიელი **ეშლი ბარტი**, ხოლო ხუთეულს ასრულებს იუნიორთა როლან გაროსის ჩემპიონი, ტუნისის წარმომადგენელი **ონს ჟაბერი**. წესით, დიდხნიანი შესვენების შემდეგ ის პირველი აფრიკელი უნდა გახდეს WTA-ის ტოპ-ასეულში.

საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩინური ბომბი



კაი კინს წამები აშორებს კატასტროფასთან

საწყლოსნო სახეობებში გუშინ მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. უკვე მოსაბეზრებელი გახდა სინქრონულ ცურვაში რუსი **ნატალია იშჩენკოს** დომინირება - მან ამჯერად დუეტებში თავისუფალი პროგრამა მოიგო და შანხაიში მეხუთე, კარიერაში კი მსოფლიოს ჩემპიონატის მე-15 (!) ოქრო მოიგო.

გუშინვე გაირკვა ორი გამარჯვებული „ღია წყალზე“ ცურვაში - ქალებმა და მამაკაცებმა 5-კილომეტრიან დისტანციაზე გაარკვიეს საუკეთესო. ყველაზე საინტერესო კი წყალში ხტომაში მამაკაცების გამოსვლა იყო - ისინი სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

როგორც ყოველთვის, ჩინელები დუბლს უმიზნებდნენ და მეხუთე ცდამდე მათი სცენარი წარმატებით ვითარდებოდა. ლიდერი ოლიმპიური ჩემპიონი **კაი კინი** იყო. მორიგი ნახტომისას, რომელსაც 3.8 სირთულის კოეფიციენტი ჰქონდა, მას ოთხ-ნახევარი ბრუნი უნდა შეესრულებინა. ეს ყველაზე რთული ნახტომი იყო კაის პროგრამაში. სწორედ აქ მოხდა კატასტროფა - მეორე ბრუნის შესრულებისას ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფეხი „დაკარგა“ და საბოლოოდ, წყალში ისე ჩახტა, ბავშვობაში ყველა „ბომბას“ რომ ეძახდა.

მაყურებლებმა ერთხმად ამოიოხრეს, კინს კი წყლიდან ამოსვლის არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ბოლოს მაინც ამოვიდა და ქვითინი აუვარდა. ასე დარჩა ის მედლის გარეშე, თუმცა ჩინეთის პრესტიჟი **ჰე ჩონმა** დაიცვა, რომელმაც თავის გუნდს რვა შესაძლებლიდან მერვე ოქრო მოუტანა.

**ცურვა**

კაცები. 5 კმ

1. **ტომას ლიურცი** (გერ) - 56.16,6; 2. **სპიროს გიანოტისი** (საბ) - 56.17,4; 3. **ევგენი დრატცევი** (რუს) - 56.18,5...

ქალები. 5 კმ

1. **სვან ობერსონი** (შვეიც) - 1:00.39,7; 2. **ორელი მიულერი** (საფ) - 1:00.40,1; 3. **ეშლი გრეიჩ ტვიჩელი** (აშშ) - 1:00.40,2...

**წყალში ხტომა**

კაცები. 3 მ

1. **ჰე ჩონი** (ჩინ) - 554,30; 2. **ილია ზახაროვი** (რუს) - 508,95; 3. **ევგენი კუზნეცოვი** (რუს) - 493,55...

**სინქრონული ცურვა**

**დუეტები**

1. **რუსეთი** - 98,490; 2. **ჩინეთი** - 96,810; 3. ესპანეთი - 96,500...

ქრივი

# კლიჩკომ აფროამერიკელი შეიყვარა



ჯესიკა უაიტი

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** თავის ყოფილ გერლფრენდს, ჰოლივუდის ვარსკვლავ **ჰაიდენ პენეტიერის** შემცვლელი მოუნახა.

უმცროსი კლიჩკოს ახალი შეყვარებული **ჯესიკა უაიტი** გარეგნულად სრულიად განსხვავდება წინამორდებისგან. ჰაიდენი იტალიური წარმოშობის მინიატურული ქერათმიანი ქალია, ჯესიკა კი მაღალი აფროამერიკელია. რა თქმა უნდა, სუპერმოდელი.

როგორც NEW York Post წერს, ამ დღეებში წყვილი ნიუ იორკის ერთ-ერთ რესტორანში შენიშნეს. *„ჯესიკა ვლადიმერს საკუთარი თავის შესახებ უყვებოდა. ძალიან თბილი საუბარი ჰქონდათ“*, - წერს ჟურნალისტი.

27 წლის უაიტს ბრწყინვალე კარიერა აქვს. მას ხშირად იხილავთ პოპულარული გამოცემების პირველ გვერდზე, მაგალითად, Sport's illustrated-ზე. აგრეთვე მას უმუშავია ისეთ ცნობილ მოდელიერებთან, როგორებიც არიან **ტომი ჰილფიგერი, რალფ ლორენი** და **მარკ ჯეიკობსი**.

საინტერესოა, რომ პენეტიერისთან განშორების მთავარ მიზეზად კლიჩკომ ოკეანის სხვადასხვა მხარეს ცხოვრება დაასახელა. თუმცა ჯესიკაც ამერიკელია და მუდმივად ნიუ იორკში ცხოვრობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**